

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

მერი ლომია

თანამედროვე ქართული ოფიციალურ-საქმიანი
დოკუმენტაციის ენობრივი პრობლემები

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
ფილოლოგიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

თბილისი

2016

სარჩევი

ანოტაცია.....	3
წინასიტყვაობა.....	8
თავი I.	
ქართული ენის ფუნქციონირების ისტორია.....	14
ქართული ენის ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქამდე.....	14
ქართული ენის ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქაში.....	32
თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა.....	36
თავი II.	
ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სახეები.....	41
სამართლებრივი აქტები.....	43
საქმიანი საბუთები.....	48
დიპლომატიური დოკუმენტაცია.....	62
თავი III.	
ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი თავისებურებები.....	72
ექსტრალინგვისტური ფაქტორები	72
ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის მორფოლოგიური თავისებურებები: სახელები.....	84
ზმნა.....	100
სახელზმნა.....	112
ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სინტაქსური თავისებურებები.....	119
მიმართვა.....	147
დასკვნა.....	162

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ოფიციალური ენის ფუნქციონირებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების საკითხების შესწავლას. ფუნქციური სტილისტიკის მიმართულებით ეს სფერო დღემდე უკვლევეა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ენობრივ პრობლემათა სიმრავლე და სპეციალისტთა თუ პრაქტიკოსთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ოფიციალური საქმისწარმოების სფეროს მიკუთვნებული ენობრივი საკითხებისადმი. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობამ, ქვეყნის დღევანდელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ შეცვალა ენობრივი გარემოც და ენობრივი პრიორიტეტებიც. ახალმა ვითარებამ (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ) სრულიად სხვა პირობები შესთავაზა სახელმწიფო ენას, როგორც მისი ფუნქციურობის, ისე ოფიციალური საქმისწარმოების თვალსაზრისით. სახელმწიფო მოხელეებისა თუ საზოგადოების რიგითი წევრებისაგან ოფიციალური ენობრივი გარემოს მოწესრიგებულობა, სახელმწიფო ენის მიმართ განსაზღვრული უფლება-მოვალეობითი დამოკიდებულება, თანამედროვე ქართული ენის უნიფიცირებული ნორმებისა და უნარ-ჩვევების ცოდნა და სათანადოდ გამოყენება მოითხოვა. წარმოდგენილ ნაშრომში შესწავლილია ოფიციალურ-საქმიანი სტილის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები, საქმიანი დოკუმენტების სახეები, გაფორმების წესები და ის პრობლემები, რომლებიც ამგვარი საბუთების ორგანიზების დროს იჩენს თავს.

წინამდებარე ნაშრომში ოფიციალური ენა განხილულია არა როგორც ოდენ სტილურად შეფერილი ენობრივი ვარიანტი, არამედ როგორც გარკვეული ლექსიკურ-გრამატიკული ნორმების ერთობლიობა. შესწავლილია ენობრივ ერთეულთა გამოყენება საქმისწარმოების სფეროში, რაც განპირობებულია საკუთრივ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, როგორცაა: ადმინისტრირების ხასიათი, სოციალურ-პოლიტიკური დისკურსი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეტიკეტური ნორმები, გამონათქვამის შინაარსი, ფორმა, კომუნიკაციის მიზნები, ტიპები, სიტუაციები და სხვ.

მასალაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოებაში მიმდინარე ენობრივი პოლიტიკა, დამახასიათებელი სტერეოტიპები და კლიშეები, დიპლომატიური (და არა მხოლოდ) ენის ეტიკეტი, საერთაშორისო და საეკლესიო სფეროს მიკუთვნებული დოკუმენტაციის გაფორმების საკითხები და სხვ.

ზემოჩამოთვლილ პრობლემათა შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეული დასკვნების გამოტანა, პრაქტიკულ შედეგად კი გვაქვს რეკომენდაციები ოფიციალური საქმისწარმოების სრულყოფის, სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების, დღეს არსებული ენობრივი პრობლემების უკეთ გადასაჭრელად. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართისაგან.

ნაშრომის შესავალში მოცემულია საკვლევი თემის ზოგადი დახასიათება, დასაბუთებულია საკითხის აქტუალობა, მეცნიერული სიახლე, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, განსაზღვრულია მიზანი და ამოცანები.

პირველ თავში წარმოდგენილია ოფიციალური საქმისწარმოების ისტორია სახელმწიფოებრიობის განვითარების ყველა ეტაპზე, გაანალიზებულია ადრეული პერიოდის, აგრეთვე ქართულ-სპარსული და ქართულ-ოსმალური სახელმწიფო და სამართლებრივი დოკუმენტების წარმოების თავისებურებები, ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი საბჭოთა ეპოქაში, თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა, ოფიციალურ-საქმიანი სტილის საკითხები და სხვ.

მეორე თავში განხილულია ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სახეები: სამართლებრივი აქტები, საქმიანი საბუთები და დიპლომატიური დოკუმენტაცია. განმარტებულია თითოეული დოკუმენტის სტანდარტი, მოცემულია მათი გაფორმების წესი და საჭირო რეკვიზიტების ნუსხა.

მესამე თავი ოფიციალური დოკუმენტაციის ენობრივ თავისებურებებს ეხება, კერძოდ, წარმოდგენილია საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი ექსტრალინგვისტური ფაქტორები და გამოხატვის ემოციურ-ექსპრესიული

მახასიათებლები, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, ცალკეა გამოყოფილი მიმართვა ოფიციალურ დოკუმენტებში, აღწერილია სხვადასხვა სფეროში გამოყენებული მიმართვის სპეციფიკური ფორმები.

დასკვნაში გადმოცემულია ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენის შესწავლის შედეგები არა მხოლოდ დიაქრონიაში, არამედ სინქრონიულ ჭრილში; თავმოყრილია ყველა სახის საქმიანი საბუთის ნიმუში დამახასიათებელი თავისებურებებით; დაფიქსირებულია განხილული ტექსტების სპეციფიკური ლინგვისტური ნიშნები სათანადო რეკომენდაციებით.

Annotation

The thesis work aims to study the issues of the official language functioning and its practical use. In terms of functional stylistics this field isn't still studied from theoretical as well as practical point of view, that to some extent has conditioned those language problems and different attitudes, which today are connected with the field of official record management. The construction of independent statehood, the current domestic and external circumstances have changed the language environment and development trends, offered to the state language completely new terms from the point of view of its functionality, as well as from official record management. They have required from the State officials or members of the public official language environment orderliness, defined attitude with regard to rights and obligations towards the state language, knowledge of modern Georgian language unified standards and skills and their proper use. The work includes the characteristic features of the language of the official-business style, forms of business documents, their processing rules and the problems that are characteristic for such documents.

In the work are presented the issues of functioning of the State language, as the language of the legal proceedings, and its development. The official language is considered not as having a stylistically tinted language means, but as having a dynamic and functional purpose, there is examined the use of linguistic units in the field of record management, conditioned by the extra linguistic factors, such as: the content of the expression, its form, communication objectives, types, situations and so forth. There are presented the official-business documentation morphological and syntactic features.

In the process of work with the material were identified important issues, such as: the current language policy of official documentation, typical stereotypes and clichés, diplomatic language etiquette, issues of executing of the documents, appertained to international and church fields, etc.

Study of the aforementioned problems made possible to draw certain conclusions, and as the practical result we have recommendations for improvement of the official proceedings, the appropriate functioning of the state language, and better solution of the current language problems. The dissertation consists of introduction, 3 chapters, conclusion, list of references and annex.

In the introduction is given a general description of the research topic, substantiated its actuality, scientific novelty, theoretical and practical value of the work, are defined the goals and objectives.

In the first chapter is given the history of the official record management at all stages of the statehood development, analyzed the execution of state and legal documents of the early period, as well as those of Georgian-Persian and Georgian-Ottoman state and legal documents, issue of functioning of the Georgian language in the Soviet era, the modern language policy, official-business style issues and so forth.

The second chapter discusses the types of official-business documentation types: legal acts, business documents and diplomatic documentation, is defined the standard of each document, are given the rules of their design and the necessary requisites' list.

The third chapter deals with the peculiarities of the language of official documentation, in particular, there are presented the extra factors, characteristic for the business papers and the emotional-expressive features of expression, morphological and syntactic features, separately is highlighted address in the official documents, are described specific forms of address and application, used in various fields.

In the conclusion are set out the results of study of the official-business documents language not only diachrony, but also in synchronic perspective; it includes the samples of all kinds of business documents with their characteristic features; are recorded specific linguistic marks of the examined texts with appropriate recommendations.

წინასიტყვაობა

ქართული ენა საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა. ქართული ენა დღეს ქვეყნის კონსტიტუციითაა განსაზღვრული და საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას. ამ ენაზე ქვეყნდება სამართლებრივი აქტები, მიმდინარეობს სასამართლოს წარმოება, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებების საქმისწარმოება და სხვ.

ოფიციალური საქმისწარმოების ტრადიციებს ჩვენს ქვეყანაში შორეულ წარსულში დაედო სათავე. როგორც ისტორიული მასალების შესწავლა ცხადყოფს, სახელმწიფოებრიობის ნიშნების გაჩენას თან მოჰყვა საქმიანი მიმოწერისა და სხვადასხვა სამართლებრივი აქტის გამოცემის აუცილებლობა. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესაბამისად, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა საქმიანი დოკუმენტაციის ენა, სტილი, სტრუქტურა, მეფეებისა და მთავრების ტიტულატურა, ჩნდებოდა ახალი ტერმინები, მიმართვის ფორმები და სხვ. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ყოველთვის მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ოფიციალური საბუთების ფორმასა და შინაარსს, საბუთთა მრავალფეროვნებასა და მასზე სხვადასხვა ქვეყნის საქმისწარმოების წესის გავლენას.

ამასთან, ენა განუწყვეტლივ განიცდის მეტ-ნაკლებ ცვლილებებს თავისი ფუნქციური სტილების ყველა რგოლში, მიმდინარეობს მისი უწყვეტი შემოქმედებითი ცხოვრება და უდავოა, რომ ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, თავად ენის მოწყობის (აგებულების) პრინციპებსა და მისი მოხმარების ფუნქციურ მექანიზმებშია ჩადებული. ჩვენი ქვეყნის განვითარების არნახულმა ტემპმა, დემოკრატიზაციისა და გლობალიზაციის პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროზე და, მათ შორის, ენაზეც. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც ახალ მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს მას. თუ ლიტერატურის, თეოლოგიისა და ფილოსოფიის სფეროში ქართული ენის გამოყენებას უძველესი ტრადიცია აქვს, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენა, სტილი ძირითადად XIX საუკუნის მონაპოვარია, ენათმეცნიერული სტილისტიკა მხოლოდ ამ პერიოდში

ჩამოყალიბდა, უძველესი დროისათვის ის მაინც მხატვრული ენის ფუნქციონირების ასპარეზად მოიაზრებოდა, რამდენადაც სხვა სფეროები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი. მე-19 საუკუნიდან გაჩნდა სალიტერატურო ენათა ფუნქციონირების სრულიად ახალი მასშტაბები და ასპარეზი განათლების, მეცნიერების, საინფორმაციო ურთიერთობების, საქმისწარმოების სფეროში. თუმცა საქმიანი მიმოწერისა და საკანცელარიო სტილის ელემენტები უძველესი დროიდანვე არსებობდა და ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური ვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირი იყო. ქართული ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება დასტურდება ფარნავაზის მოღვაწეობის დროს: „არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“ და გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში, როცა საფუძველი ჩაეყარა ბაგრატიონთა დინასტიას და ეკლესიის წიაღში გაისმის: „არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებს...“. კლასიკური ქართული ნორმების შესაბამისადაა დაწერილი სიგელ-გუჯრებიც. მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ენის ნორმების დადგენა და გამოყენება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ოფიციალურ დოკუმენტებსა და საქმიან მიმოწერაში. სალიტერატურო ენის ფუნქციონირებასა და სტილებრივ თავისებურებებს ცალკეულ სფეროში ფუნქციონალური (ფუნქციური) სტილისტიკა შეისწავლის. გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური სტილები: **სამეცნიერო, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი, სასაუბრო (ზეპირმეტყველებითი)** (არაბული, 2004, 191-192).

ოფიციალურ-საქმიანი სტილი წიგნურ სტილს განეკუთვნება, რომელთანაც ფუნქციონირების საერთო პირობები აქვს: გამონათქვამის წინასწარი მოფიქრება, მონოლოგურობა, ენობრივ ერთეულთა მკაცრი შერჩევა და სწრაფვა ნორმირებული მეტყველებისაკენ. ამ სტილს მხოლოდ წერითი მეტყველება ახასიათებს და შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და ადამიანთა ოპტიმალური, ოფიციალური და საქმიანი ურთიერთობის საშუალება. საქმიანი საბუთები წინასწარ მზადდება, იწერება და მისი შინაარსი ძირითადად განზოგადებული, ობიექტური და გაუპიროვნებელია. ლოგიკურობა, სიცხადე, სიზუსტე მეტ-ნაკლებად ყველა ფუნქციურ სტილს ახასიათებს, მაგრამ ყველა ეს თვისება საკუთრივ ოფიციალურ-საქმიანი სტილის

მოთხოვნაა, როგორც მისი არსებობის საფუძველი. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფუნქციონირების სფეროებია: სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივი ურთიერთობანი. აქ იგულისხმება როგორც მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წერილობითი, საქმიანი ურთიერთობა, ისე ის მრავალგვარი საქმის ქაღალდი, რომელთა გარეშე თანამედროვე სამოქალაქო სუბიექტის არსებობა წარმოუდგენელია. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტაციას მიეკუთვნება: კანონი, ბრძანებულება, განკარგულება, დადგენილება, გადაწყვეტილება, ხელშეკრულება, შეთანხმება, დეკრეტი, ბრძანება, ოქმი, განაჩენი, განჩინება, მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია, პატაკი, წერილი, წესდება, დებულება, სამოქმედო გეგმა, პროგრამა, განმარტება, რეცენზია, მემორანდუმი, ნოტა, აქტი, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, პროექტი, დასკვნა, დახასიათება, განცხადება, ცნობა და სხვ.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- ამოცანის (მიზნის) გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე;
- ლაკონიზმი და სიმშრალე;
- ფორმოზრივი სტანდარტულობა (ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტის არსებობა);
- ინფორმაციულობა და რაციონალურობა (მოთხოვნების სიზუსტე და დასაბუთების მკაცრი ლოგიკურობა);
- ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა, გარკვეული შტამპებისა და კლიშეების არსებობა (მაგ. "ცნობა ეძლევა მასზედ, რომ...");
- სალიტერატურო ენის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა; შესაბამის სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის გამოყენება, ემოციისა და ექსპრესიის გამომხატველი ენობრივი საშუალებების მაქსიმალური შეზღუდვა;
- ზმნათა განზოგადებული მესამე პირისა (გაიგზავნა, წარედგინა ...) და აღწერილობითი ვნებითის (გაგზავნილ იქნა, შესწავლილ იქნა ...) გამოყენება;
- ოფიციალური კანცელარიული და სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;

- მხოლოდ საქმიანი ურთიერთობებისათვის ნიშანდობლივი სახელწოდებებისა და ტერმინების გამოყენება (მობინადრე, მეანაბრე, პაციენტი, აბონენტი და მისთ.);
- სალიტერატურო ენის ზოგი ლექსიკური ერთეულის თავისებური (ვიწრო) მნიშვნელობით გამოყენება (მაგ. პირი - „მოდავე პირი“, მხარე - „ხელშემკვრელი მხარეები“...);
- შემოკლებებისა და აბრევიატურების გამოყენება
- დათარიღებისადმი ერთგულება (ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია, ჩვეულებისამებრ, შესრულებისა და სხვა თარიღების ზუსტ მითითებას მოითხოვს);
- ტექსტის ოფიციალური დამოწმება (ხელმოწერა ან ხელმოწერა და ბეჭედი). (არაბული, 2004, 201).

მეცნიერთა (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ.კვარაცხელია, ა. არაბული, ც. კალაძე, გრ. კიკნაძე, თ. ღვინაძე, შ. აფრიდონიძე და სხვ.) კვლევები ამ მიმართულებით არ იძლევა ოფიციალურ-საქმიანი სტილის ერთიან ენობრივ სტანდარტსა და ამ სფეროს საქმისწარმოების ერთიან სისტემას. ამიტომ ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების თვალსაზრისით დღეისათვის ჯერაც ბევრი პრობლემა, საკითხი და ნორმა დასადგენი და გადასაწყვეტი.

ამასთან ერთად, აღვნიშნავთ, რომ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება, მისი ფუნქციონირებადი პლასტების ფლობა-უნიფიცირება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ენის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი საბოლოოდ მაინც სახელმწიფო მოხელეთა „მწერლურ“ მონაცემებზეა დამოკიდებული, დოკუმენტის ენობრივი შესრულების ხარისხი მაინც მოხელეების „კვალიფიციურობითა“ თუ „არაკვალიფიციურობით“ არის განპირობებული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები, ფაქტობრივად, არ გაგვაჩნია, არც სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს მოეთხოვებათ გარკვეული ენობრივი ნორმების ცოდნა, არ არსებობს სახელმწიფო მოხელეთა მომზადებისა და დაოსტატების შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, ხელისუფლების ხშირი ცვლა კი ამ სფეროში

დასაქმებულ ადამიანთა შემადგენლობის ხშირ ცვლას იწვევს (ამის გამო პირად პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნის მქონე სპეციალისტი, ფაქტობრივად, ახალი კადრისათვის თავისი გამოცდილების გადაცემასაც კი ვერ ახერხებს), შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურ - საქმიანი დოკუმენტების შედგენისა და გამართვის თვითნებურად წარმართული ენობრივი პოლიტიკა საერთო ჯამში სახელმწიფო ენის განვითარებას უშლის ხელს და აფერხებს მას.

ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკის შესწავლას, პრობლემების გამოვლენას, მეცნიერულ ანალიზსა და შესაბამისი დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწე მოხელეებისა და, ზოგადად, სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების თანამშრომლებისათვის. წინამდებარე გამოკვლევა განხორციელდა ოფიციალური ენის ფუნქციური და შიდასტრუქტურული განვითარების ურთიერთმიმართების განხილვის გზით. ოფიციალურ-საქმიანი სტილი რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილებსა და სხვადასხვა ჟანრს შეიცავს, მათ აქვთ საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები, რაც ერთიანობაში მის სტილურ ხასიათს ქმნის. სტილისტიკის (და, შესაბამისად, ფუნქციურ სტილთა) შესწავლის ძირითადი და ტრადიციული მეთოდია ამ სფეროს შესწავლა ენისა და აზროვნების, ენისა და საზოგადოების, ენის სოციალური არსის გათვალისწინებით. აქ, ცხადია, საჭირო ხდება სემანტიკურ-სტილისტიკური, შეპირისპირებითი და შეპირისპირებით-დიაქრონიული მეთოდების მომარჯვება. ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით გვაქვს გაანალიზებული ქართული ისტორიული დოკუმენტაციის სტილებრივი თავისებურებები, მაგრამ ნაშრომის მთავარი მიზანი თანამედროვე პრაქტიკის თეორიული ახსნა და ამ საფუძველზე რეკომენდაციათა დასახვა იყო. ამ მიზნით კი ვიყენებით მიდგომას „ფუნქციიდან საშუალებებისაკენ“, რაც შესაძლებლობას იძლეოდა დაგვედგინა, როგორი და რომელი ენობრივ/სამეტყველო საშუალებებით ხორციელდება ენაში სხვადასხვა სტილური ფუნქციის (ჩვენ შემთხვევაში, ოფიციალურ-საქმიანი) შესრულება, ანუ ვიყენებით ფუნქციური ანალიზის, დისკურს ანალიზისა და კომუნიკაციურ-სისტემური ანალიზის მეთოდებს.

ოფიციალურ დოკუმენტებში წარმოდგენილი მასალა უაღრესად მრავალ-ფეროვანია, აქ ასახულია საზოგადოებრივი ცხოვრების, სახელმწიფოს მმართველობის, საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება, საერთაშორისო ურთიერთობები, აქედან გამომდინარე, საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელია შესაბამისი ლექსიკა, რაც მის სტილურ თავისებურებას განსაზღვრავს კიდევ. ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებული ლექსიკის კვალიფიკაციით შესაძლებელია განვსაზღვროთ: ეპოქა (დრო), პოლიტიკური ვითარება, ქვეყნის მისწრაფებები და გეგმები, დამოკიდებულება სხვა ქვეყნებისადმი და ა.შ. ამის შესაბამისად, საქმიანი საბუთები გამოხატავს დამოკიდებულებას, განწყობას ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესისა თუ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისადმი. ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა, განხილვა და ანალიზი ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

თავი I

ქართული ენის ფუნქციონირების ისტორია

ქართული ენის ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქამდე

ჩვენამდე მოღწეული ოფიციალური დოკუმენტებისა და საბუთების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უძველეს ხანაში საბუთებს „დაწერილი“ ერქვა, ბაგრატ IV-ის განჩინების წიგნში გუარამ მამფლის საბუთის სახელად ორჯერვე ნახმარია „დაწერილი“. X საუკუნის მეორე მეოთხედიდან XV საუკუნის დამდეგამდის მეფეთა მიერ ნაბოძები საბუთების საზოგადო სახელი იყო „სიგელი“, ზოგჯერ კი „გუჯარი“. ერთნაირმა მნიშვნელობამ XVIII საუკუნის დამდეგს ეს ორი ტერმინი გააერთიანა. ერეკლე I-ის მიერ 1703 წლის ქვათახევის მონასტრისადმი ბოძებულ ერთიან საბუთს „სიგელ-გუჯარი“ ეწოდებოდა, თუმცა კერძო პირთა, თვით კათოლიკოსების საბუთების სახელად კვლავ „დაწერილი“ რჩებოდა. „წიგნი“ ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი იყო (ჯავახიშვილი, 1996, 407- 409).

ერთგვარი საბუთების მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები: “ხელითწერილი”, “ნიშანი”, “პიტაკი”, თუმცა შემონახულ დოკუმენტებში ისინი არცთუ ხშირად გვხვდება.

ახალ ქართულ სამწერლობო ენაში ჩვეულებრივ და აუცილებელ ტერმინად ქცეული „საბუთი“ XVIII საუკუნემდე არ დასტურდება.

მონღოლთა ბატონობის დროს ქართულ მწერლობაში შემოდის ტერმინი “იარლაყი” ანუ “იარლუყი” (<თურქ. *yarlık* || *yarluk* ‘ ხანის ბრძანება, იარლიყი’), რომელიც მონღოლთა ყაენის წყალობის წიგნის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. XVII-XVIII სს. ჩნდება აგრეთვე “რაცამი”, ოსმალეთის სულთნის წყალობისა თუ ფიცის წიგნისა და სიგელის აღმნიშვნელი ეს ტერმინი ქართული საბუთებისთვისაც უხმარიათ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ჯავახიშვილი, 1996, 413).

წყალობა და მოწყალება იმდროინდელი სახელმწიფო სამართლის მრავალი საბუთის შინაარსს შეადგენდა და ქართული ფეოდალიზმის განვითარების ყველა ეტაპზე საჯარო ხელისუფლების უფლებას გამოხატავდა. ერთგული სამსახური იყო წყალობის გაცემის მიზეზიცა და მიზანიც. XV-XVI საუკუნეებიდან უკვე მრავლად გვხვდება მეფის მიერ ან მისი სახელით დაწერილი ასეთი სიგელ -გუჯრები. XI-XIII სს. მეფეთა სიგელები და წყალობის წიგნები ერთსა და იმავე დროს სიგელადაც და

ბრძანებადაც ითვლებოდა, რადგან ყველა მათგანში ნათქვამია: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ეს ჩუენიო”. მაგრამ ნამდვილ ბრძანებად მაინც მიიჩნეოდა ხელქვეითი მოხელის ან დაწესებულებისადმი განკარგულების შემცველი წერილობითი ძეგლი. მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნისა თუ მივლინების დროს მეფე არჩეულ პირს აძლევდა სიგელს, რომელსაც წყალობის წიგნის თვისებები ჰქონდა, მაგრამ მისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასში მოხელის უფლება-მოვალეობა და სარგოს ოდენობა იყო აღნიშნული, ასეთ საბუთს „გარიგების წიგნი” ერქვა. XVII საუკუნეში ეს ქართული ტერმინი სპარსულით შეიცვალა და ეწოდა „დასტურლამალი” ან მოკლედ „დასტურლამა”, რომელიც რეგლამენტს, გარიგებას, სამდივნო წიგნს ნიშნავს (ჯავახიშვილი, 1996, 415).

სახელმწიფო სამართლის სიგელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „დავთარი”, რომელიც ყოველგვარი ანგარიშის წიგნს ეწოდებოდა და „ბარათი”, რომელიც რაიმე საფასურის მიღებისა და გაცემის დამამტკიცებელი საბუთი იყო.¹

უფრო მრავალფეროვანი იყო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საბუთები: „სიგელნი მკვიდრობისანი” სპარსეთისა და ბიზანტიის მეფეებისაგან მემკვიდრეობით მინიჭებული ხელისუფლების დამამტკიცებელ საბუთს ერქვა; „შეუვალობის სიგელი”, რომელსაც მონღოლთა ბატონობის დროიდან „სითარხნის წიგნს”, ზოგჯერ „აზატობის წიგნსაც” უწოდებდნენ, გადასახადისაგან ან ყმობისაგან გათავისუფლების საბუთი იყო; „გარდაწყვეტილობის წიგნი” სასამართლოს განაჩენის შემცველ დოკუმენტს ერქვა; „განაჩენი” კი – სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ამის გარდა იყო: „საფიცრის წიგნი” – დადებული ფიცისა და აღთქმის წერილობითი პირობა; „თავდახსნილობის სიგელი” – საყმო დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების დამადასტურებელი საბუთი; „ნასყიდობის წიგნი” – საფასურით შეძენილობის საბუთი; „შეწირულობის წიგნი” – ეკლესია-მონასტრებისათვის უძრავ-მოდრავი ქონების შეწირვის საბუთი; „თავშეწირულობის წიგნი” – ეკლესია-მონასტრისათვის თავის თავის შეწირვის საბუთი;

¹ ეს ლექსემები სულხან-საბას შემდეგნაირად აქვს განმარტებული: “ბარათი სხუათა ენაა, მცირე ნაწერსა ჰქვიან, ქართულად ავთრათი ეწოდების”.

„სათავდებო წიგნი“ – საშუამავლო მოლაპარაკების დროს პირობის დარღვევის ასაცილებლად შუამდგომელის თავდებობის საბუთი; „საშუამავლო წიგნი“ – ჩამოვარდნილი უთანხმოების ან უფროსის გულისწყრომისა და მრისხანების დასამშვიდებლად, შუამდგომელად დადგენილი პირის შესახებ“; „შენდობის წიგნი“ – ეპისკოპოსისაგან ბრალდებულის ცოდვის შენდობის და მიტევების აღმნიშვნელი საბუთი; „აღთქმის წიგნი“ – მხოლოდ აღთქმის შემცველი საბუთი; „პირობის წიგნი“ – დადებული პირობის აღმუხსველი დოკუმენტი; „სააღაპო წიგნი“ – ეკლესია-მონასტრებისათვის დაწესებული აღაპი (შესაწირავი); „თამასუქი“ – ვალის აღებისა და გადახდის პირობის შემცველი საბუთი; „ძმობის წიგნი“ – ძმობა-ერთობის შემცველი დოკუმენტი; „მზითვის წიგნი“ – ქალიშვილისათვის მზითვად გატანებული ქონების აღმუხსველი საბუთი; „ამხანაგობის წიგნი“ – ურთიერთდახმარების პირობის შემცველი საბუთი; „ნაშვილებობის წიგნი“ – შვილად აყვანის შესახებ; „ანდერძი“ – ადამიანის გარდაცვალების შემდეგ აღსასრულებელი ნების შემცველი საბუთი. კერძო ხასიათის საბუთ-წერილებიდან აღსანიშნავია: „ვედრების წიგნი“, „მოკითხვის წიგნი“, „მიჯნურობის წიგნი“, „წვეულობის წიგნი“, „სამძიმრის წიგნი“, „პირობის წიგნი“ (ჯავახიშვილი, 1996, 419-425).

საქართველოს მეფეებისა და კათოლიკოს-პატრიარქთა სიგელ-გუჯრებს ყოველთვის სამეფო კარის განსაკუთრებული მოხელეები, მდივან-მწიგნობრები, წერდნენ. ქართული საბუთების ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ მდივნებსა და მწიგნობრებს შესაფერისი განათლება ჰქონდათ მიღებული და თავიანთ საქმეში სათანადოდ იყვნენ დახელოვნებული. ძველ საქართველოში ყველა მწიგნობარი მწიგნობართუხუცესსა და პირველ ვეზირს, ჭყონდიდელს, ექვემდებარებოდა, სიგელის დაწერის შესახებ განკარგულებასაც ის გასცემდა. როგორც ვახტანგ VI-ის დასტურლამალიდან ჩანს, ქართლის სამეფოში ორი მთავარი მდივანი იყო: ერთს „მეფის მდივანი“ ეწოდებოდა, მეორეს – „დედოფლის“. არსებობდა „სიგელების დაწერილობის წესიც“, რომლის შესაბამისადაც უნდა შედგენილიყო საბუთი. ამგვარი წესი ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ სამდივნო წიგნებშია მოცემული.

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა შინაარსი და დანიშნულება ჰქონდა საბუთს, შეიძლება გამოვყოთ: სახელმწიფო სამართლისა და სახელმწიფო დაწესებულებების

მოქმედებასთან დაკავშირებული საბუთები; სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საბუთები; საქმიანი მიმოწერისათვის საჭირო საბუთები;

სიგელი 3-4 ნაკვეთისაგან შედგებოდა: პირველი ნაკვეთი ღვთისადმი მიმართვა იყო, მეორე – სიგელის მიმცემის შესახებ შეიცავდა ცნობებს, მესამე იყო თხრობა, ჰაჯა ანუ ვედრება მოხსენებითურთ, მეოთხე – განგებულება, დასასრულად ხელრთვა და დამოწმება იყო მიჩნეული.

„სიგლის თავი” ღვთის ხსენების შემდეგ მეფეთა წოდებულებით იწყებოდა. წოდებულება კი საქმიანი დოკუმენტების უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც ისტორიული თანდათანობით მეფის უფლებას-მფლობელობას გამოხატავდა („აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე”); „შაჰობის” („შარვანშა”, „შაჰანშა”) მქონებლობასაც აღნიშნავდა და საქართველოს მეფის საერთო მპყრობელობის შესახებაც შეიცავდა ცნობებს (“ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა”). გიორგი III-ის 1170 წლის სიგელის გარდა მეფის წოდებულება ყველა საბუთში სრულ იგივეობას წარმოადგენდა (ჯავახიშვილი, 1996, 435-436).

სიგელ-გუჯრებში წარმოდგენილი მეფისა და სამეფო ხელისუფლების ტიტულატურა, მათი სახელდება-წოდებულება გვიჩვენებდა იდეალიზებულ წარმოდგენას მეფის პერსონაზე: მეფე იყო ქრისტიანული სათნოების ნიმუში, განასახიერებდა უმაღლესი სამართლიანობისა და მოწყალების იდეას - მფარველობდა ეკლესიას და ზრუნავდა მისი მატერიალური კეთილდღეობისათვის. ამასთან, იგი იყო წინაპართა იურიდიული და ზნეობრივი მემკვიდრე და მათი საქმეების გამგრძელებელი. XI-XIV საუკუნეებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ზუსტად შეესაბამებოდა საქართველოს მეფის ძალაუფლებას და თითქმის უცვლელად გადადიოდა შემდეგ საუკუნეებში. გიორგი II-ის 1082 წლის სიგელში ვკითხულობთ: “სახელითა ღმრთისაჲთა, ესე ბრძანებაჲ ჩემი არს, გიორგი ბაგრატუნისა, ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისაჲ, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმყრობელისაჲ”, თამარ მეფის 1189 წლის სიგელში ნათქვამია: “სახელითა ღმრთისაჲთა, მე თამარ ბაგრატუნისაჲ, ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა

თუთიმპყრობელმან”, დავით ნარინის 1266-1268 წწ. სიგელებში იკითხება: “სახელითა ღმრთისაჲთა, დავითისგან ბაგრატუნაინისა, რუსუდანის ძისა, ნებითა ღმრთისაჲთა, აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოჲსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა...” და სხვ. XV საუკუნის სიგელებში ქართველ მეფეთა სახელდებაში ბიბლიური გენეალოგიის სხვადასხვა ვარიანტი ჩნდება: “იესიან - დავითიანი, იესიან -დავითიან - სოლომონიან - ბაგრატუნაინი, ბაგრატუნაინ - ხოსროიანი”, რომელიც ასევე მეფეთა წარსულის ერთგვარ გაიდებლასა და ქართველ მეფეთა პოლიტიკური ძალაუფლების უწყვეტ მემკვიდრეობას უსვამდა ხაზს (ჯავახიშვილი, 1996, 451-452; სურგულაძე, 2006, 223,224,235).

XIV-XV სს. მეფეთა შეწირულების სიგელებში მეფის პერსონის განმადიდებელი მოტივები თითქმის აღარ ჩანს, უფრო სჭარბობს რელიგიური განწყობილების გამომხატველი მოტივები: საუკუნო სახსენებლის, ცოდვათა მიტევების თხოვნები, ქველი საქმის ჩადენის სურვილი და სხვ. წინა პლანზე წამოწეულია საეკლესიო იერარქიის დიდებულება, მისი დამსახურება ამქვეყნიური მშვიდობიანი და ძლევამოსილი ცხოვრებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სვეტიცხოვლის საბუთები, XIV-XV სს. სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ მეფეთა სიგელებში გამოკვეთილია ტაძრის ყოვლისშემძლეობა და ყოვლისმფარველობა, მისი, როგორც ქართული ეკლესიის სიმბოლოს, მსოფლიოს საყდრებთან გატოლების თემა: “უდიდებულესო და უაღმატებულესო, ადამისთგან ვიდრე მოაქამომდე ყოველთა და ვიდრე აღსასრულამდე ყოფილთა და ყოფადთა საყდართა და ეკლესიათა დიდებო, სიმტკიცეო, სიქადულო, საფარველო და გუირგუინო მორწმუნეთაო...” და ა.შ. სხვაგვარია იმერეთის მეფეების წყალობის სიგელები (XVII ს.). იმერული საბუთები მცირე მოცულობისაა და არ ჰგავს ქართლის სამეფოში გავრცელებულ წყალობის წიგნებს. საღვთისმეტყველო თემაც გამარტივებულია და მეფეთა ტიტულატურაც. გვხვდება მარტივი ფორმა – „მეფე/მეფეთ-მეფე“ და რთული: “ღმრთივ-აღმართებული, ძლიერი”; „ღმრთივ-ღვთივგვირგვინოსანი“, იშვიათად – „ლიხთ იმერისა და ამერის მეფე“ (სურგულაძე, 2006, 152).

ოფიციალურ-საქმიანი სტილის შეფერილობა აქვს განგებულების ლექსიკურსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, მაგალითად: „გიბრძანებთ, დაუმტკიცეთ, გიბოძეთ თარხანი შეიქენით ხვეწნით...“; „აწე გიბრძანებთ კარის წარვლენილნო ვექილ-ვეზირნო, მდივანნო მოსაქმენო ჩვენნო, ქალაქის მოურაო და მელიქ-მამასახლისო ბრძანება და ნიშანი თქვენც ასრე დაუმტკიცეთ“ (ტაბიძე მ., 2010, 255).

სხვადასხვანაირი იყო საუფლო ხელრთვა, ზოგჯერ ის სახელ-ვინაობასაც შეიცავდა:

„ესე ვითა ზემოთ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზს დაუწერია და საქმე სულისა მისისათვის გაუგია, მე ბაგრატ ნებითა ღმრთისაძთა, აფხაზთა მეფესა და კურაპალატსა ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია: მტკიცე არს და უქცეველი ნებითა ღმრთისაძთა“ (ბაგრატ მეფის ხელრთვა);

„სიმტკიცეო ყოველთაო ღმერთო დაამტკიცე მტკიცედა უქციე“ (დავით აღმაშენებლის ხელრთვა);

„ქ. მტკიცე არს ნებითა ღმრთისაძთა“ (გიორგი III-ის ხელრთვა);

„ქ. ესე ვითა დამიწერია...სასოებით და გულისმოდგინებით ჩემისა საქმისა... განაჩენი ჩემითა ხელითა ცოდვილთა დამიმტკიცებია“ (თამარ მეფის ხელრთვა);

XIII საუკუნიდან ხელრთვაში უკვე სახელიც ჩნდება და ფორმაც შედარებით მარტივია: „მეფე დავით“; „მე ვახტანგსა დამიმტკიცებია“; „ალექსანდრე ვამტკიცებ“; „ქ. მეფე გიორგი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისაძთა, ამენ“.

საქართველოში ირანის პოლიტიკური ბატონობის დროს, XVI-XVIII საუკუნეებში, როცა ქართლსა და კახეთში ტახტზე ირანის შაჰის მიერ დანიშნული მეფეები ისხდნენ ან ქვეყანას მათ მიერვე გამოგზავნილი ხანები მართავდნენ, შედგენილი საბუთები ორენოვანი – ქართულ-სპარსული – იყო. ერთსა და იმავე ქალაქსა თუ ეტრატზე მოცემული იყო ორი დოკუმენტი – ქართული და სპარსული, ორივე იდენტური შინაარსის, მაგრამ არა ერთიმეორის თარგმანი, არამედ დამოუკიდებლად შედგენილი ტექსტები. უძველესი ქართულ-სპარსული საბუთია 1580 წლის 30 ივნისით დათარიღებული სვიმონ I-ის წყალობის წიგნი, ყველაზე გვიანდელი კი 1757 წლის აპრილის თვითაა დათარიღებული. შინაარსის მხრივ ამ პერიოდის საბუთები ძირითადად იყო: ქართველი მეფეების მიერ გაცემული ყმის, მამულისა და სახელის

ბოძებისა და სითარხნის წყალობის წიგნები, ბრძანებები და საკანონმდებლო აქტები, ნასყიდობის წიგნები, ქართლში ან კახეთში მჯდომი ხანებისა თუ ბეგლარბეგების ბრძანებულებები და წყალობის წიგნები, კერძო პირთა შორის დადებული შეთანხმებები, გარდაწყვეტილობის წიგნები, გვარიშვილობის დამამტკიცებელი საბუთები. ირანის პოლიტიკური ბატონობის დროს თითქოს ბუნებრივი იყო, რომ სახელმწიფო აქტები ქართულის გარდა სპარსულ ენაზეც დაწერილიყო.

ორენოვანი წყალობის წიგნების სპარსული ნაწილი იწყებოდა ლოცვითი ფორმულით, რომელსაც მოსდევდა საბუთის მიმცემის (ქართველი მეფის) მუსლიმანური სახელი, მაგალითად: სვიმონ I იხსენიებოდა როგორც „სულთან მაჰმუდ-ხანი“, როსტომ მეფე კი – როგორც „როსთემ-ხანი“. ირანის შაჰების ფირმანები და ჰოქმები (ბრძანებულებები) ასე იწყებოდა: „გამოვიდა უზენაესი (უაღვუსტოესი) ფირმანი“, ან „გამოვიდა იმის ბრძანებულება, ვისაც ემორჩილება ქვეყნიერება“ (ე.ი. შაჰისა). ხანებისა და წვრილი მფლობელების მიერ გაცემული საბუთების შესავალში უფრო მარტივი გამოთქმები იყო გამოყენებული: „გამოვიდა მაღალი ბრძანებულება“ ან „დადგენილ იქნა“ (ფუთურიძე, 1955, შესავალი).

ყმისა და მამულის წყალობის წიგნები სხვა მხრივაც საინტერესოა, მათში შესანიშნავად აისახა ქართულ-სპარსული პოლიტიკური ურთიერთობები. საბუთების სპარსული ნაწილი ისე იყო შედგენილი, თითქოს მის გვერდით იმავე საბუთის ქართული ტექსტი არ არსებობდა. მაგალითად, ნაწყალობევი მამული „თიულად“ („თიული“ მემკვიდრეობით არ გადაიცემოდა) იხსენიებოდა, შეწყალებული ქართველი ფეოდალი – „თიულდარად“, ყმა გლეხები კი – „რაიათებად“. ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობა კი სულ სხვა საფუძველზე იყო დამყარებული და მისთვის უცხო იყო „თიული“ და „რაიათი“, მაგრამ ამ საბუთების სპარსული სათიულო სიგელის წესით აგებაში გამოიხატებოდა ირანის მთავრობის მცდელობა, მოეშალა ქართული მიწათმფლობელობის სისტემა, დაემკვიდრებინა ყიზილბაშური სათიულო წესი და ამით საბოლოოდ დაემორჩილებინა ქართლ-კახეთი, მაგრამ XVI საუკუნის ბოლოს შინაური არეულობებისა და ოსმალეთთან მძიმე ომების გამო უკვე იგრძნობოდა ირანის გავლენის შესუსტება ქართლ-კახეთზე და შესაბამისად, XVII-XVIII საუკუნეების ორენოვან საბუთებში ტერმინ „თიულს“ უკვე ქართული „მამულის“ შინაარსი აქვს

მიცემული, რადგან თან ახლავს განსაზღვრება – “სამუდამო”, „სამკვიდრო”. ამ პერიოდის ორენოვან საბუთებში ფორმის მხრივაც უკვე აშკარაა ქართული ტექსტის გავლენა სპარსულზე – პირველ გვერდზე ქართული ტექსტი იყო მოცემული, მეორეზე – სპარსული. ამასთან ერთად, აღნიშნული დოკუმენტების სპარსულ ნაწილში ჩნდება ქართული ტერმინები: „ზვარი”, „ხოდაბუნი”, „მოურავი”, „ნახირისთავი” და სხვ. (ფუთურიძე, 1955, შესავალი). (იხ.დანართი № 1).

ოფიციალური საქმისწარმოების თვალსაზრისით, სულ სხვა ვითარება იყო საქართველოში ოსმალობის ხანაში. ჩვენი ქვეყანა წლების განმავლობაში ატარებდა ოსმალთა ბატონობის მძიმე უღელს. ყველა გადაწყვეტილებას იღებდა სულთანმა და „უზენაესი კანცელარია” მისი სახელით გამოსცემდა ფირმანს, ბერათს, რომელიც ოსმალეთიდან იგზავნებოდა. სულთანმა ერთგული სამსახურისათვის მიწებით ძირითადად გამაჰმადიანებულ ქართველებს აჯილდოებდა. „თიმარ-ბერათი” იყო მიწის ჩაბარების დოკუმენტი. ასეთი საბუთი გადაეცემოდა ოსმალების სასარგებლოდ მოლაშქრე გამაჰმადიანებულ ქართველთა დაბალ ფენას, საშუალო ფენა უფრო დიდ მიწის ნაკვეთს იღებდა, დიდებულებს კი, სულთნის გადაწყვეტილებით, მემკვიდრეობით გადაეცემოდა სახასო მიწა, რომელიც სინამდვილეში მათი სამემკვიდრეო მამული იყო. ასეთ დოკუმენტებში ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნებოდა ქართველთა განსაკუთრებული დამსახურება ოსმალების წინაშე. ფირმანის თავში იყო მოხატული თურა, რომელიც სულთნის ხელმოწერას წარმოადგენდა, მასში გამოყვანილი იყო სულთნის სახელი, მამის სახელი და ფორმულა – „მარადის გამარჯვებული”. ფირმანსა და ბერათში ქართველისადმი მიმართვა ყოველთვის მთავრდებოდა სიტყვებით: „... კეთილად დასრულდეს მისი სიცოცხლე...” ანუ „გამაჰმადიანდეს” (ეს ცნობილი გამოთქმაა ქრისტიანთა მიმართ). რაც შეეხება ქართველი დიდებულების წერილებს ხონთქართან, მათ სპეციალური ფორმით ადგენდნენ, რომელიც უზენაესი ხელისუფალისადმი აღმატებული ქება-დიდებათა და ხოტბით იწყებოდა. „ხვანთქართან მიიწერება ბაგრატოანთაგან: „მლთისაგან დიდებით სახელამაღლებულო და ოთხთავე კიდეთა ჳმა განფენილო მლთის მაგიერად ქვეყანაზედ მოსამართლედ დადგინებულო, ზღვისა და ჳმელეთის მჭირაო. ყოვლთა თემთა და შარისტანთა პატრონო. ვითარცა მზე ეგრეთ ქვეყანის მაშვენებელო, სამოთხის მზგავსად

შვენიერებით შემკობილო: ყოველთა ადამის ნათესავთაგან დიდებით საქებარო, აშენებულთა სამართლად მიმხედველო, ოხერთა და ვერანთა ადგილთა მაშენებელო...” და სხვ. მას კი მოსდევდა თხოვნა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (აბულაძე, 1973, 224-226).

ოსმალურ დიპლომატიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ოსმალეთის ხელისუფლება საქართველოს პოლიტიკური ერთეულების მეთაურებს მოიხსენებს როგორც მელიქს, ხანს, ჰაქიმს, რომელიც მთავრის, მმართველის, განმგებლის ტიტულია. ოსმალურ დოკუმენტებში ქართველთა წოდებულებაც შენარჩუნებული იყო და დიდებულები თავადებად და აზნაურებად მოიხსენებოდნენ. რაც შეეხება სამართლებრივ დოკუმენტებს, ადგილობრივ სამართლებრივ ურთიერთობებს განაგებდა ყადი და შარიათის სასამართლო, სასამართლოს დავთრებიდან ამონაწერი ეძლეოდა მოსარჩელეს გადაწყვეტილების – „ხუატის“ სახით (აბულაძე, 2011.). (იხ.დანართი № 2).

როგორი იყო ქართული სამართლის ძეგლები, კერძოდ, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო - სამართლებრივი აქტები?

წარმოვადგენთ მე-18 საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლო არზა-ოქმებსა და კერძო-სამართლებრივ აქტებს, რომლითაც მთხოვნელები სამოქალაქო მმართველობას მიმართავდნენ. აღნიშნული სამართლებრივი აქტები საინტერესოა როგორც სტრუქტურული აგებულებითა და შინაარსით, ასევე მორფოლოგიურ - სემანტიკური თვალსაზრისითაც. ისევე როგორც სიგელ-გუჯრები, არზებიც იწყება ასოთი - ქ.(ქანწლი), რაც ქრისტეს ნიშნავს, არზის დასაწყისშივე ხელმწიფისადმი აღმატებული ფორმით მიმართვა და ადრესანტის ვინაობაა წარმოდგენილი, მაგალითად:

„ქ. მათის უმაღლესობის ბედნიერის კელმწიფის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის ხერხეულიძე ჯამასპისა“ (დოლიძე, 1985,606).

„...ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მოსცეს მათს მონასა ბერძენიშვილს იოანეს“ (დოლიძე,1985,71).

„ქ. ღმერთმან ჩვენის ყოვლად მოწყალის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათის უმაღლესობის მარადის მლოცველს ურბანელს იუსტინეს“ (დოლიძე,1985,100).

„ღმერთმან ბედნიერის საქართველოს დედოფლის ჭირი მოსცეს თუმანიშვილის ზურაბის ყმის მარდისშვილის გოგიას ქალებს“ (დოლიძე, 1985,90).

საქმის არსის მოხსენებითი ნაწილის შემდეგ, მეტად საინტერესოა არზის დასკვნითი ნაწილიც, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას შეიცავს. გადაწყვეტილება მიმართვით იწყება. აღნიშნულ საბუთებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მე-18 საუკუნის სამართლებრივ აქტებში მიმართვა საკმაოდ ვრცელია და იგი შეიცავს მისამართი პირის თანამდებობას, სახელს, ზოგჯერ გვარსაც, გამოყენებულია თავაზიანობის გამომხატველი სხვადასხვა სიტყვაც:

„ქ. ჩვენი ბრძანება არის თიანეთის მოურაო დიმიტრი!“ (დოლიძე,1985,607).

„ქ. უგანათლებულესო შვილო ბატონო დავით!“ (დოლიძე, 1985,607).

„...ყოვლად სამღვდელოვ უფალო ნინოწმინდელი იოანე!“ (დოლიძე,1985, 246).

„ქ. უწმინდესო, ჩვენო ღმრთის წყალობავ, კათალიკოზ-პატრიარქო ანტონი!“ (დოლიძე, 1985, 101).

„ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებ მოურაო მირზაშვილო თამაზ!“ (დოლიძე, 1985, 72).

თუმცა თუ განსასჯელ პირს ბრალი უკადრის საქციელში ედებოდა, მას მხოლოდ სახელითა და გვარით მოიხსენიებდნენ და ასეთი მიმართვის ტონიცა და ფორმაც კატეგორიული იყო:

„ქ. ხერხეულიძე ავთანდილ! ამ არზის პატრონისათვის რომ მამული წაგირთმევია, რომლისაც საბუთით ამას ფალავანდიშვილი ბიძინა ედავება, სანამდის ისიც თავის საბუთს ჩვენთან გამოაცხადებდეს და იჩივლებდეს, მანამდის ეგ მამულიც ამ არზის პატრონსვე მოაბარე“ (დოლიძე, 1985, 70).

ყველა არზა თუ სამართლებრივი აქტი დათარიღებით, მეფისა თუ დედოფლის ხელრთვითა და ბეჭდით დასტურდებოდა, მაგალითად:

„არზა დარჩიაშვილის ქვრივისა ყმობის თაობაზე

დარეჯან დედოფლის ოქმით

...

ბეჭედი. დედოფალი დარეჯან“ (დოლიძე, 1985, 70).

„არზა აბრამის ქვრივისა დუქნის გაყიდვის თაობაზე

...

ხელრთვა: კათალიკოზი“ (დოლიძე, 1985, 609). (იხ.დანართი № 3).

ოფიციალური საბუთების ენა და სტილი იმდროინდელი ქართული ნორმების შესაბამისი იყო. თვალსაჩინოა არქაიზმები: ჟამი, ვითარ, მუნ, კვალად, დავშთებით და სხვ., აგრეთვე ძველ ქართულში დამკვიდრებული გრაფემები: ჯ, ძ, ზ, ჯ, ჟ. აღსანიშნავია, რომ სიგელ-გუჯრებსა და სასამართლოს არხებში რიცხვთა გამოსახატავად გამოყენებულია არა ციფრები, არამედ ასოები; რაც შეეხება ტექსტების მორფოლოგიურ-სინტაქსურ აგებულებას: სახელთა ბრუნებისას დაცულია ძველი წესი, ფუძეხმოვნისანი ზოგადი სახელები სახელობით ბრუნვაში არცთუ იშვიათად დაირთავს იოტას – ცვალებაძ სიცოცხლეძ; მოთხრობითის ნიშნად გამოყენებულია მან – მპყრობელმან, პირველმან; მსაზღვრელ-საზღვრული ნათესაობითში ბრუნვის სრული ფორმანტით არის წარმოდგენილი, მაგ. აბრამის ქვრივისა, დარჩიაშვილის ქვრივისა; ნათესაობითის ნიშანს ინარჩუნებს მსაზღვრელი მოქმედებითშიც მაგ. წერილობითის თხოვნით; დოკუმენტებში სიტყვათა წარმოების ძველი წესია გამოყენებული: საქართველოსა შინა, მბრძანებლობასა ქვეშე, ნამდვილსა ზედა, ხელმოწერილ არს და სხვ. ოფიციალურ ტექსტებში გამოყენებულია ნარ-თანისანი მრავლობითი: ნიშანნი, მოძღვართ, თავადთ; არქაული ზმნისწინები: წარ-მოგზავნილი და მისთ.; თანდებული -გან შეცვლილია დიალექტური გამ-ით და სხვ.

ამრიგად, საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალური საქმისწარმოების განვითარების რთული გზა გაიარა, საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მთლიანად ასახულია იმდროინდელ სიგელ-გუჯრებსა და სახელმწიფო სამართლის საბუთების ფორმასა და შინაარსზე, მის ლექსიკასა და სტრუქტურაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამდივნო წიგნებში არსებობდა „სიგელების დაწერილობის წესი“ და გვყავდა განსწავლული მწიგნობრებიც, საქართველოში ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა და ქართულ სინამდვილეში საუკუნეების განმავლობაში დაამკვიდრა ამ ქვეყნების საქმისწარმოების წესი და ტერმინოლოგია.

სულ სხვა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში რუსეთის მმართველობის დროს. მართვა-გამგეობის რუსულმა სისტემამ გარდაქმნა-ევოლუციის სხვადასხვა ეტაპი

გაიარა, მაგრამ ყველა ეტაპზე მისი მთავარი მიზანი საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევა და ქართველი ხალხის გარუსება იყო. ამ პერიოდის ოფიციალური დოკუმენტაცია და საქმიანი ქაღალდებიც ამ მიზანს ემსახურებოდა.

1811 წელს არსებითად დასრულდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროცესი. უმაღლეს ხელისუფლად კავკასიაში მდგარი რუსეთის ჯარის სარდალი გამოცხადდა, რომელსაც მთავარმართებელი ეწოდებოდა. მას დაექვემდებარა „საქართველოს უზენაესი მთავრობა“. ხელმძღვანელ თანამდებობებზე რუსი მოხელეები დასვეს, ქართველი თავადები კი „მრჩევლებად“ დანიშნეს. თავადაზნაურთა წარმომადგენლები დაუშვეს პოლიციასა და სამაზრო სასამართლოებშიც. საქმისწარმოება მთლიანად რუსული გახდა. რუსული ბიუროკრატიული მმართველობა ოფიციალური ხმარებიდან ქართული ენის აღმოფხვრასა და რუსულის გაბატონებას ცდილობდა. რუსეთის მთავრობის მიერ შემოღებული მართვა-გამგეობის წესები ქართველი ხალხისათვის გაუგებარი იყო. ყველა საქმეს მთავარმმართველი, მმართველი, ექსპედიციის უფროსები და კაპიტან-ისპრავნიკები განაგებდნენ. ქართველი მრჩეველ-მსაჯულები კი (ქართველი მოხელე თავადაზნაურობის შედარებით მცირე ნაწილი მოხვდა საქართველოს უზენაეს მმართველობასა და სამაზრო სასამართლოებში) ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი იყვნენ. ისინი გასამრჯელოს იმისთვის იღებდნენ, რომ მდუმარედ ყოფილიყვნენ და რუსი მოხელეების თვითნებობისათვის ხელი არ შეეშალათ. დროთა განმავლობაში კი ქართველი მოხელეები საერთოდ განდევნეს რუსული მმართველობის სისტემიდან (ბენდიანაშვილი, დაუშვილი, 2008, 70).

1830 წელს საქართველოში საადმინისტრაციო საკითხების გასარკვევად პეტერბურგიდან გამოგზავნილი სასენატო კომისიის წევრები უმაღლესი მთავრობისადმი გაგზავნილ მოხსენებაში წერდნენ: “ყველგან სხვადასხვაობაა მმართველობაში, ყველგან თანამდებობის პირთა უფლებებისა და მოვალეობის გაურკვეველობაა, ყველგან რუსული კანონების აღრევაა ქართულ კანონებსა და ადათებთან, ზოგიერთ ადგილებში კი არ გააჩნიათ არც პირველი და არც მეორე, რის გამოც სრული თვითნებობაა საქმეთა გადაწყვეტაში..... არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში არ არის საქმისწარმოების ფორმასა და წესებში აჩრდილიც კი იმ წესრიგისა, რომელიც დადგენილია კანონით: ზოგიერთ დაწესებულებაში – მათი

არაწესიერი მოწყობის გამო, ხოლო ზოგიერთში – მოხელეთა უუნარობისა და გამოუცდელობის გამო.....”, მაგრამ სენატორების დასკვნა იმას კი არ აღნიშნავდა, რომ ასეთი განუკითხაობა იმ უვარგის და მიუღებელ სისტემაში მდგომარეობდა, რომელიც სრულიად არ ეგუებოდა ადგილობრივ პირობებსა და ზნე-ჩვეულებებს, არამედ ისინი ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ მმართველობიდან ჯერ კიდევ არ იყო განდევნილი ადგილობრივი სამართალი და ადგილობრივი ელემენტები. ამ აზრის მიმდევრები იყვნენ მთავარმმართველი პასკევიჩი და ბარონი როზენიც (ბენდიანაშვილი, დაუშვილი, 2008, 72).

1833 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოსთან შეიქმნა კავკასიის კომიტეტი, რომელსაც დაევალა ამ მხარისათვის ერთიანი „ადმინისტრაციული კანონდებულების“ მომზადება. კანონი ითვალისწინებდა საოკუპაციო რეჟიმიდან სამოქალაქო თვით-მმართველობაზე გადასვლას, მხარის მთავარმმართველის პოსტი კავკასიაში მდგარ რუსეთის ჯარის სარდალს შეუთავსეს. კანონი მას საშუამავლო ფუნქციას აკისრებდა სამხრეთ კავკასიის ადმინისტრაციასა და რუსეთის სამინისტროებს შორის. სამხრეთ კავკასია გაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: საქართველო-იმერეთის გუბერნია და კასპის გუბერნია. შეიქმნა სამსაფეხურიანი მმართველობა: მთავარი სამმართველო - მთავარმართველი და მასთან არსებული საბჭო, საგუბერნიო-საოლქო და სამაზრო სამმართველო.

მთავარმართველს განსაკუთრებული უფლება - მოვალეობა ჰქონდა მინიჭებული: მას შეეძლო გაეუქმებინა საგუბერნიო დაწესებულებათა დადგენილებები, სხვაგვარი ბრძანება გაეცა, თანამდებობრივად არაკომპეტენტური და არასასურველი მოხელეები თავისი შეხედულებისამებრ გადაეყენებინა, რთული სიტუაციის შექმნის დროს არ დალოდებოდა ზედა ინსტანციებიდან მითითებებს და ყველა ზომა ეხმარა წესრიგის დასამყარებლად. რუსი მოხელეები იმედოვნებდნენ, რომ „სამოქალაქო მმართველობა”, მმართველობის სისტემიდან ადგილობრივი ელემენტების განდევნა, ადმინისტრაციისა და სასამართლოს საქმეთა მონოპოლიზაცია, რუსული კანონისა და რუსული ენის სრული გაბატონება გააადვილებდა რუსეთის კოლონიურ-რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას.

1837-1840 წლებში ბარონ ჰანის თავმჯდომარეობით შემუშავებული მართვა-გამგეობის ახალი პროექტი ფაქტობრივად იყო რუსული საქმისწარმოებისა და სასამართლო საქმეების გარჩევის გადმოღებული მოდელი, რთული კანცელარიულ-ბიუროკრატიული წესით. საბოლოო ჯამში კი ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირებას. ადგილობრივი თავადაზნაურობა, რომელიც აქამდე მრჩევლებისა და მდივანბეგების სახით მონაწილეობდა მმართველობაში, მთლიანად ჩამოიცილეს და მთელი მმართველობა რუს ჩინოვნიკებს ჩაბარდა. დამყარდა მოუქნელი, ადგილობრივ მოსახლეობასთან წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო დაცილებული ბიუროკრატიული მმართველობა, რომელიც მთლიანად კორუფციაზე იყო დაფუძნებული. თუ მანამდე საქართველოში სამოქალაქო საქმეებისათვის ვახტანგ მეფის კანონები მოქმედებდა, ახლა ეს კანონები გააუქმეს და სამოქალაქო სამართალშიც რუსული კანონები შემოიღეს. ბიუროკრატიული ფორმალიზმი და დაწესებულებებს შორის რუსულ ენაზე გაუთავებელი მიწერ-მოწერა უკმაყოფილებას ბადებდა და ეს უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო სერიოზულ სახეს იღებდა, ამან რუსეთის ხელისუფლება დააფიქრა, გადაწყდა, თბილისში გაგზავნილიყო მმართველი მეფისნაცვლის ხარისხით, რომელსაც მთელი კავკასია დაემორჩილებოდა. 1844 წელს ნიკოლოზ პირველმა კავკასიაში მეფისნაცვლად მიხეილ ვორონცოვი დანიშნა, რომელიც დამოუკიდებელი მმართველი იყო, არაფერს ეკითხებოდა რუსეთის მინისტრებს და თავის საქმიანობას მხოლოდ იმპერატორს უთანხმებდა. მეფისნაცვალმა გარკვეული ადგილი ადმინისტრაციასა და სასამართლოში ქართველ თავადაზნაურობას დაუთმო, წოდებრივ საქმეთა თვითმმართველობის უფლება დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას მისცა, სამოქალაქო სამართლის სფეროში ერთხანს კიდევ დაუშვა ქართული კანონები და ადათ-წესები (ბენდიანაშვილი, 1980, 34).

ალექსანდრე III-ის იმპერატორობისას იმპერიის მმართველობაში მაშინვე დამყარდა მკაცრი თვითმპყრობელობითი რეჟიმი, რამაც გავლენა კავკასიის მმართველობაზეც იქონია. კერძოდ, თუ აქამდე მეფისნაცვალს ჰქონდა დამოუკიდებლად მმართველობის უფლება და ის ემორჩილებოდა პირდაპირ

იმპერატორს, ახლა კავკასიის მმართველი რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს დაექვემდებარა. ამ გადაწყვეტილებას ქართული საზოგადოება უარყოფითად შეხვდა, რადგან მეფისნაცვალს შესაძლებლობა ჰქონდა ადგილობრივი პირობებისათვის ანგარიში გაეწია, მთავარმართველს კი სურვილის პირობებშიც არ შეეძლო ეს. ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ გამოიტანა დადგენილება შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, რომ საქართველოში შემოღებულიყო საერო მმართველობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომ სასამართლოში დამკვიდრებულიყო ქართული ენა, რომ ქართულ ენას მისცემოდა გარკვეული ასპარეზი და სხვ. მაგრამ ეს მოთხოვნები საერთოდ არ შეეფერებოდა საიმპერიო მმართველობის კურსს და ამიტომ ქუთაისის თავადაზნაურობის საგუბერნიო კრების ეს შუამდგომლობა არც განუხილავთ (ბენდიანაშვილი, 1980, 54).

1883 წელს დამტკიცდა კანონ-დებულება, რომლის მიხედვითაც ყველა დაწესებულება და მოხელე თავის საქმიანობაში იმპერიის საერთო კანონებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამასთან ერთად ანგარიშს უწევდა მხარის თავისებურებებს.

თუ ცენტრის საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბრძანება-დადგენილებაში არ იქნებოდა აღნიშნული, რომ ის კავკასიაზეც ვრცელდებოდა, მთავარმართველს უნდა გადაეწყვიტა, გატარებულიყო თუ არა ის კავკასიაშიც და თავისი დასაბუთებული აზრი ეცნობებინა შესაბამისი სამინისტროსათვის. მინისტრთა საბჭოს ბრძანება-განკარგულებების ასლები კავკასიის მთავარმართველსაც ეგზავნებოდა, თუ მთავარმართველი ვეტოს დაადებდა და ამ გადაწყვეტილებას ცენტრი არ დათანხმდებოდა, მთავარმართველს უნდა მოეხსნა ეს შეზღუდვა. კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭო, მართალია, არ ერეოდა აღმასრულებელი ნაწილის საქმეებში, მაგრამ დიდ როლს ასრულებდა ცენტრიდან მოსული და ადგილზე შედგენილი კანონპროექტების განხილვასა და ზოგჯერ დამტკიცების საქმეში. საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ჰქონდა და მთავარმმართველს ეხმარებოდა იმის გარკვევაში, გავრცელებულიყო თუ არა კავკასიაზე ცენტრიდან მოსული კანონი, ამასთან ერთად, მონაწილეობდა მთავარმმართველის მიერ შედგენილ კანონ-დებულებათა სრულყოფაში.

მოსახლეობის უმეტესობისათვის რუსული ენა გაუგებარი იყო. საჭირო იყო მიღებული დადგენილებებისა და კანონების განმარტება და მასებამდე დაყვანა, ამის საუკეთესო საშუალებად ქართული გაზეთი იქცა. 1819 წლის 8 მარტს პირველი ქართული გაზეთის – „საქართველოს გაზეთის“ – გამოცემას ხელისუფლება ხელმძღვანელობდა, კერძოდ, რედაქციასთან თანამშრომლობდნენ მთავარმართებელი ერმოლოვი, გუბერნატორი ხონევი, პოლკოვნიკი ნაუმოვი და სხვა წარჩინებული მოხელეები. გაზეთში სისტემატურად ქვეყნდებოდა სახელმწიფო დოკუმენტები: დადგენილებები, წესდებები, მიმართვები, მოხელეთა წარჩინება-დაჯილდოების ცნობები და ამ მასალებს ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეთმობოდა. მაგალითად, გაზეთის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ა. ერმოლოვის განკარგულება, მთავარმართებელი აღნიშნავდა, რომ “აზერბაიჯანელებისათვის დამახასიათებელია ხშირი აყრა, რაც იწვევს მამულების გამო გაუთავებელ დავას, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ ვცანი შემდეგი კანონის შემოღება: ვინც საზღვარგარეთ წავა ან რუსეთის თუ საქართველოს სხვა პროვინციაში გადასახლდება, მის მიერ დატოვებული მამული უნდა განაწილდეს დარჩენილთა შორის. მთელი სოფელი როცა აიყრება, მაშინ მიწები გადაეცემა მახლობელი სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც სახნავ-სამოვრების ნაკლებობას განიცდიან, თუ მათ არ სჭირდებათ, მაშინ იმავე თემის სხვა სოფლების ბინადართ და არაერთი თემიდან მეორეში უმიზეზოდ მოხეტიალეთ”(ტაბიძე ნ.,1969,54). გაზეთში იბეჭდებოდა აგრეთვე სხვადასხვა სახის დოკუმენტი, კერძოდ, გამოიცემოდა ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებები: თბილისის კეთილმოწყობის შესახებ; თბილისში შემოტანილ სხვადასხვა პროდუქტზე ბაჟის აღების გამო დაშვებული უკანონობის აღმოსაფხვრელად; ვალის გადაუხდელობის გამო მიწების, ყმების, ზოგჯერ მთელი სოფლების გაყიდვის თაობაზე, ჩინოვნიკთა ფუნქციის გასარკვევად ან განცხადებები ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლად და სხვ. მაგალითად, ხელისუფლება იუწყებოდა, რომ “თუ რომელთაც თავისუფალთა კაცთა საჭიროთა სწავლათა და ცოდნათ მქონებელთა ჰსურდესთ და თანახმა იყვნენ, რათა შევიდნენ თელავისა და სიღნაღის ოკრუჟნის სასამართლოთ მთარგმნელთ თანამდებობათ აღსრულებაში, მაშინ იგინი გამოსცხადდნენ მათ სასამართლოთა შინა” (ტაბიძე ნ.,1969 , 55).

გაზეთი რუსულად მზადდებოდა და შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად, რათა ქართულზე უმძრახად მყოფ ხელმძღვანელებს რამე არ გამოჰპარვოდათ. გაზეთის ნომრები ვიწრო ჯგუფის ხელით კეთდებოდა. რედაქცია დასაბეჭდად ძირითადად ოფიციალურ დოკუმენტაციას იღებდა: ბრძანებებს, განკარგულებებს, განცხადებებს, იბეჭდებოდა რუსეთის იმპერატორის მანიფესტები, თითქმის ყველა ნომერში იყო სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეთა დაწინაურება-დაჯილდოების ცნობები. ყველა ეს დოკუმენტი უკიდურესად დაწურულ-შემჭიდროებული და ძირითადად ქრონიკის სახით იყო წარმოდგენილი (ტაბიძე ნ.,1969,60). მისი ენა და სტილი იყო რთული, აზრი ბუნდოვანი და ძნელად გასაგები. ლექსიკა გაჯერებული იყო რუსიციზმებით: ნაჩალნიკი, სუდი, ოკრუჟნი, სეკრეტარი, უკაზი, ღრამატა და სხვ. გვარსახელები რუსული წესით იწარმოებოდა. მაგალითად: ციციანოვი, ვახვახოვი და სხვ., თუმცა ზოგჯერ ქართული დაბოლოებითაც გვხვდებოდა: ციციშვილი, ვახვახიშვილი და ა.შ. რიცხვთა გამოსახატავად გამოყენებულია არა ციფრები, არამედ ასოები. წინადადებები რუსული კონსტრუქციითა აგებული – “გუშინ ჰყვანდათ გამოკითხვაში” და ა.შ. საერთო ჯამში კი ტექსტი მოსახლეობისათვის რთულად აღსაქმელი იყო.

რუსეთის იმპერატორის მანიფესტები, განკარგულებები და სხვა სამთავრობო ცნობები იბეჭდებოდა გაზეთ “ТИФЛИССКИЙ ВЪСТНИКЪ»-შიც და ქართულ გაზეთში “ტფილისის უწყებანი”, მაგალითად:

„უმაღლესი ღრამატა

წყალობითა ღვთისათა

ჩუჴნ ნიკოლოოზ პირველმან

იმპერატორმა და თუთ მპყრობელმან ყოვლისა რუსეთისამან

და სხუათა და სხუათა და სხუათა

ჩუჴნს ღენერალ-ლეიტენანსტ მეგრელის მთავარს თავადს დადიანს.

აღმოსაჩენად ერთ მთავრულისა ყურადღებისა ჩუჴნისა განსხვავებულთ სამსახურთათვის და სამაგალითოდსა მჯნეობისათვის თქვენ მიერ ჩუჴენებულთა დროსა ოსმალს ციხის ფოთის გარეშემოდგომისა და აღებისა, ყოვლად უმოწყალებად

გიბობებთ თქუჲს ამასთან წარმოგზავნილნი აღმასის ნიშანნი წმიდის ანნის პირველი ხარისხის ორდენოსანი; დავმთებით იმპერატორებითის მოწყალებითა ჩუჲსნიტა

თქუჲსნდა კეთილმდრეკილნი.

ს. პეტერბურღს

ივ-ს თებერვალს, ჩყკთ წელსა;

ნამდვილსა ზედა ხელმოწერილ არს საკუთართა მისის იმპერატორებითის დიდებულების ჯელიტა: ნიკოლოზ” (ტფილისის უწყებანი, № 11, 1828).

ოფიციალურ დოკუმენტებში იმპერატორის ტიტულატურა მთელი მისი დიდებულებით იყო წარმოდგენილი:

**“МЫ АЛЕКСАНДРЪ ВТОРЫЙ ИМПЕРАТОРЪ И САМОДЕРЖЕЦЪ
ВСЕРОССИЙСКИЙ**

**ЦАРЬ ПОЛЪСКИЙ ВЕЛИКИЙ КНЯЗЪ ФИНЛЯНДСКИЙ И ПРОЧАЯ И ПРОЧАЯ И
ОБЪЯВЛЯЕМЪ ВСЕМЪ ВЕРНЫМЪ НАШИМЪ ПОДДАННЫМЪ...”**

“На подлинность Собственного Его Императорского Величества рукою подписано:

„АЛЕКСАНДРЪ” (ТИФЛИССКИЙ ВЪСТНИКЪ № 52, 1874).

„ბრძანება

კავკასიის მხედრობისადმი

აპრილის 12-სა დღესა, 1877 წ. ტფილისი.

კავკასიის მხედრობის ლაშკარნო!

უმაღლესი ნება ხელმწიფე იმპერატორისა

გიწვევთ თქვენ, რათა თოფ-იარაღით დაიცვათ ჩვენის მამულის პატივი და ღირსება.

თქვენს უკან - კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია, თქვენ წინ - მინდორნი და სიმაგრენია, სადაც თქვენს მამებს და ძმებს თავისი სისხლი დაუნთხევიათ.

ამხედრდით და წარემართენით ღვთით სამშობლოსა და დიდი ხელმწიფისათვის!

ნამდვილს აწერია:

მთავარ-სარდალი კავკასიის მხედრობისა

გენერალ-ფელცენმეისტერი მიხეილ“ (გაზეთი „ივერია“ № 7, 1877).

ამრიგად, საქართველოში რუსეთის მართვა-გამგეობამ, ფაქტობრივად, რუსული საქმისწარმოებისა და სასამართლო საქმეების გარჩევის გადმოღებული მოდელი, რთული კანცელარიულ-ბიუროკრატიული წესი დაამკვიდრა, ქართული ენა განიდევნა ოფიციალური საქმისწარმოებიდან, ჰყვაოდა მექრთამეობა, ყველა უწყებაში რუსი მოხელეები მოღვაწეობდნენ. სახელმწიფო დოკუმენტები: დადგენილებები, წესდებები, მიმართვები, მოხელეთა წარჩინება-დაჯილდოების ცნობები და ამგვარ მასალები, 1819 წლიდან რუსულად მზადდებოდა, შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად და იბეჭდებოდა „საქართველოს გაზეთში“ (იხ.დანართი № 4).

ქართული ენის ფუნქციონირება საბჭოთა ეპოქაში

საბჭოთა სივრცეში ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მახასიათებელი ჰქონდა: საყოველთაო რუსიფიკაცია და რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებში ეროვნული ენების განვითარება (ამ შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებას ეძლეოდა გარკვეული ინიციატივის გამოჩენის უფლება და ამასთან მკაცრად კონტროლდებოდა ამ უფლებათა მასშტაბები).

რუსული ენის ექსპანსიის საკითხის გაანალიზებისას გამოყოფენ ოთხ ფაზას:

1. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დევიზით ერთიანდება სხვადასხვა ისტორიის, რელიგიისა და კულტურის ხალხი. ამ პერიოდში ეროვნულობის ყველა გამოვლინება გაიგივებულია ოპოზიციასთან, მტრობასთან;
2. იზრდება რუსული ენის მნიშვნელოვნება და რუსული ენა საბჭოთა რესპუბლიკებშიც სავალდებულო ენად ცხადდება;
3. რუსულთან “მშობის” ნიშნით იგი ყველა რესპუბლიკისათვის სავალდებულოა, მაგრამ უმრავლესობისათვის ის ”რესპუბლიკის სახელმწიფო ენაცაა”.
4. საერთო ეკონომიკური სივრცის ცენტრალიზებული მართვის მიზნით რუსული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ფუნქციასთან ერთად ერთადერთ ” სახელმწიფო ენის” ფუნქციასაც იჩემებს (ტაბიძე მ., 2005,168).

საქართველომ რუსული ენის ექსპანსიის ოთხივე ფაზა გაიარა, რა თქმა უნდა, მას შეეხო რუსული ენის გავლენა, რომელიც ამ ენის უფლებებისა და როლის ზრდით

რუსულ-ნაციონალური ბილინგვიზმის დამკვიდრებასა და ეროვნული ენების „გარუსულებას“ ისახავდა მიზნად. ეს პროცესი მოიცავდა ენის ფუნქციონირების თითქმის ყველა სფეროს. რუსული სავადებულო ენა იყო ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, რუსული თარგმანით გადიოდა ფილმების უდიდესი ნაწილი კინოთეატრებსა და ტელევიზიაში, უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, ცენტრალური სამინისტროები და სამსახურები მოსკოვში იყო განთავსებული, მოსკოვი ამტკიცებდა ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს. სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულ ენაზე იქმნებოდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი, რუსულ ენაზე იმართებოდა დედაქალაქის ან რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და ადმინისტრაციული სხდომები (ტაბიძე მ., 2005,175).

რუსეთის ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ენობრივი ცენზურა, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ბეჭდვით სიტყვას, ოფიციალურსა და არაოფიციალურს. კერძოდ, ოფიციალური ბეჭდური პროდუქციისა და მასთან ერთად პიესებისა და სხვა სასცენო ნაწარმოებების, კინო-ფოტო და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების შინაარსს, რათა, ხელისუფალთა აზრით, არ მომხდარიყო მანკიერი, არასასურველი მოძღვრების, აზრებისა თუ ცნობების გავრცელება. შუა საუკუნეებში ცენზურას საეკლესიო ხელისუფლება ახორციელებდა. მე-16 საუკუნიდან ცენზურა თანდათან საერო ხელისუფლების ხელში გადავიდა.

ცენზურის ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესი იდეოლოგიური სამსახურია, რომელიც სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს. ცენზურა, უპირველესად, ტექსტთან ურთიერთობას გულისხმობს და შეიძლება ტექსტის სხვადასხვა მხარეს: შინაარსს, საკვანძო სიტყვებს, სიმბოლოებს, ქვეტექსტებს, პარალინგვისტიკურ მხარეს, სტილსა და ორთოგრაფიას, კონკრეტული საკითხისადმი დამოკიდებულების გამოხატვას შეეხოს. შესაბამისად, ცენზურის სამსახური ტექსტთან ერთად ისეთ არაენობრივ მოვლენებზე, საზოგადოებრივი აზრის იმ მიმართულებებზეცაა კონცენტრირებული, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს სიმტკიცის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ამიტომაცაა, რომ ცენზურა თავის უპირველეს მიზნად ეროვნული დამოუკიდებლობის სურვილის გაღვივების შემძლე ტექსტებს აღკვეთს. კერძოდ:

- იკრძალება ეროვნულობაზე, სამშობლოზე, ქართველთა სრულფასოვნებაზე მიმთითებელი მასალები, ფრაზები, სიტყვები: მაგ. მე-19 საუკუნეში ცენზურა კრძალავდა სიტყვა „საქართველოს“ გამოყენებასა და მის ნაცვლად „თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების“ მოხსენიებას ითხოვდა და სხვ.;
- საგანგებოდ იქმნებოდა და ცენზურის ნებართვით იბეჭდებოდა ეროვნული ნიჰილიზმისა და არასრულფასოვნების გრძნობის დამბადი ტექსტები;
- ცენზურა ებრძოდა განსაკუთრებით ეროვნული ფასეულობების მქონე სიმბოლოებს (დროშას, ჰიმნს, ენას, ისტორიას და სხვ.);

მთავლიტი და სახელმწიფო ცენზურის ფუნქციონირება 1990 წლიდან შეიზღუდა, როდესაც სათავეში ეროვნული ხელისუფლება მოვიდა, თუმცა ეს სამსახური მაინც არ გაუქმებულა. ამ სისტემის ოფიციალური გაუქმება და ახალი სახით გაფორმება განხორციელდა 1997 წელს. ამ წელს გამოიცა კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ცენზორებს ახალი და ფაქტობრივად ერთადერთი ფუნქცია ეკისრებათ – ეს არის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა. წერილისა და ინსტრუქციის გრიფით წყდებოდა, ვის რა ინფორმაცია უნდა მიეღო, არსებობდა პირამიდული სისტემა, რომლითაც ის, რაც მოდიოდა „ზემოდან“, იცოდა მარტო შესაბამისი გრიფის წარმომადგენელმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვადასხვა რესპუბლიკამ სხვადასხვაგვარად განახორციელა ცენზურის შემდგომი გარდაქმნები (ტაბიძე მ., 2005, 176-182).

მკაცრად იყო აკრძალული უცხოური ლიტერატურის თარგმნა რესპუბლიკის ენაზე, თუ ამგვარი თარგმანი ჯერ რუსულ ენაზე არ არსებობდა. აქ ერთი ფარული მიზანიც მოქმედებდა, ყველა მთარგმნელი ამოსავლად იყენებდა რუსულს, რომელიც თავისთავად გავლენას ახდენდა თარგმნის ენაზე. მთავლიტის სისტემაში თარგმანი არ გადიოდა ცენზურას (მასზე გამომცემლობა და რედაქცია აგებდა პასუხს).

სახელმძღვანელოები, რომლებიც ეხებოდა პარტიისტორიას, ეკონომიკის თეორიას, ფილოსოფიას, სოციოლოგიას უნდა თარგმნილიყო მოსკოვში მოწონებული წიგნებიდან. ცენზურა თვალს ადევნებდა ეროვნული თვითგამორკვევისკენ მიმართული ნებისმიერი აზრის გამოჩენას და გამოჩენისთანავე სპობდა მას. არსებობდა აკრძალული მწერლების სია: გრიგოლ რობაქიძე, ვიქტორ ნოზაძე და სხვ. რომელიმე პუბლიკაციაში მათი სახე-

ლების მოხსენიებაც კი აკრძალული იყო. კონსტანტინე გამსახურდიას საყვედურ-რობდნენ ძველი ქართული ლექსიკით გატაცებას, ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო და მთის კილოც კი მიუღებლად და ეროვნული ინტერესების საზიანოდ მიაჩნდათ (ტაბიძე მ., 2005, 185).

1978 წლის აპრილში სახელმწიფო ენის შესახებ კონსტიტუციის შესაბამის მუხლში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული მდელვარებისას თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტიუროს სხდომაზე განიხილეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთის საკითხი და მისი რედაქტორი გივი შეყილაძე მოხსნეს იმის გამო, რომ გაზეთის პირველ გვერდზე ეწერა კონსტიტუციის ტექსტი, ხოლო ბოლო გვერდზე – ტარიელ ხარხელაურის ლექსები, რომლებსაც სევდიანი და პატრიოტული განწყობილება აქვს. ცენზურა ენობრივ მხარესაც ეხებოდა. გაზეთში დამახინჯებულად დაბეჭდილი სიტყვა „სტალინგადის“ გამო სამსახურიდან დაითხოვეს სტამბის მუშაკი, ხოლო უფროსს გამოუცხადეს საყვედური.

ცენზურა არა მარტო კრძალავდა საბჭოთა იდოლოგიისათვის არასასურველ მასალას, არამედ მოითხოვდა იდეოლოგიის შესაბამისი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას: „საბჭოთა ხალხი“, „დიდი რუსი ხალხი“, „საბჭოთა მწერალი“, „მშური საბჭოთა ოჯახი“ და სხვ. ტერმინი „ენა“ უამრავი ეპითეტით იხმარებოდა, მაგ. ქართული მხოლოდ ენა იყო და არა „დიდი ქართული ენა“, სამაგიეროდ, რუსული იყო „დიდიც“ და „დიადიც“.

ცენზურა მოქმედებდა ყველა სფეროში: მხატვრობაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, მუსიკაში, თეატრსა და კინოში (ტაბიძე მ., 2005, 186-187).

თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, როგორც პოლივალენტოვანი ენა, თავისი მდიდარი ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-სამეცნიერო ცხოვრების განვითარებას ემსახურება. თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში დოკუმენტურად დადასტურებული ქართული სალიტერატურო ენა წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციას და თვითონაც განუწყვეტლივ მდიდრდებოდა, ვითარდებოდა, იცვლებოდა. დღეს

ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს ატარებს და მრავალმხრივი ღირებულების მქონეა.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვის აუცილებლობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, როდესაც, სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა გარემო და ენის განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან ახალმა რეალობამ ახალი პირობები შესთავაზა სახელმწიფო ენას, რომელიც მოწესრიგებას საჭიროებს.

ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ენის ნორმალიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით გეგმაზომიერი მუშაობა მიმდინარეობდა:

1921 წელს განსახკომთან დაარსდა ტერმინოლოგიათა შემმუშავებელი სამეცნიერო საბჭო, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა გასწია. 1925 წელს სამთავრობო დონეზე ფუნქციონირებდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია ვუკოლ ბერიძის ხელმძღვანელობით. 1934 წელს სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი რესპუბლიკური კომისია. მომდევნო წელს კი უნივერსიტეტში – ენის ნორმათა დამდგენი სამუშაო კომისია ა. შანიძის თავმჯდომარეობით. 1936 წელს გამოიცა „სალიტერატურო ქართული ნორმები“ I ნაწილი, 1941 წელს – ორთოგრაფიული ლექსიკონი. 1966 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა სპეციალური კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიც მუდმივად აისახება სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად წარმოებული კვლევის შედეგები (ქართული ენა, 2009).

1978 წელს ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციების კონსტიტუციური შეზღუდვის მცდელობის გამო გამოხატულ პროტესტს 1979 წელს მოჰყვა ხელისუფლების გადაწყვეტილება – ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო საგნად შემოღებულიყო „ქართული მეტყველების კულტურა“, ანალოგიური დადგენილება იქნა მიღებული 1983 წელსაც. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ 14 აპრილი საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ გამოაცხადა. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა

დამდგენ კომისიას უკვე საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. საქართველოში ფუნქციონირებდა ენის სახელმწიფო პალატა.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრინციპების შემუშავებას წინ უძღოდა თითქმის საუკუნოვანი ფიქრი, სჯა, მუშაობა ნორმალიზაციის თეორიულ საკითხთა გამო. ქართულ ენობრივ პოლიტიკას საფუძვლად დაედო ილიას დებულებები: ენა არსებითი ნიშანია ეროვნებისა, ენა ცვალებადია, ენის კანონები ენაშივე უნდა მოიძებნოს, გრამატიკა არ არის ნორმატიული მეცნიერება, ენა ერთი უნდა იყოს და არა სამგვარი, სალიტერატურო ენა უნდა იყოს მონოლითური, ახალი ქართული სალიტერატურო ენა უნდა დაეყრდნოს ცოცხალ მეტყველებას, ენის გამდიდრებაში დიდი როლი ენიჭება მწერლობას, ქართული ენის ხმარების შეზღუდვა აღარიბებს ენას, ტერმინოლოგიის უქონლობა აფერხებს ენის განვითარებას, საერთაშორისო სიტყვები უნდა მიიღოს ქართულმა ენამ, უნდა ვებრძოლოთ უცხო სიტყვების მოზღვაებას და ა.შ.

დღეს ქართული ენის განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხებულია, საქართველოში მომრავლდა უცხოენოვანი სკოლებისა და უმაღლეს სასწავლებლების რიცხვი, თანამედროვე პოლიტიკურმა ვითარებამ, ენისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებამ, განხორციელებულმა განათლების რეფორმამ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება შეცვალა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მასზე ზრუნვის, მისი განვითარების მდგომარეობა. ახალმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა ახალი ტერმინოლოგია, უცხო ენობრივი ერთეულები შემოიტანა და დაამკვიდრა ენაში, რომელთა გამოყენებაც გადასაწყვეტი და, ზოგიერთ შემთხვევაში, სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისადაა გასაფორმებელი. 2003 წლიდან ენის ნორმათა დამდგენი კომისიის მუშაობას სისტემური ხასიათი არ აქვს. იმავე წელს გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატაც. 2013 წლიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეორგანიზებულია რედაქტორთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფდა გამოცემული სამართლებრივი აქტების ენობრივად გამართვას. ოფიციალურ მეტყველებაში ამ საკითხების გაუთვალისწინებლობა სერიოზულ პრობლემას ქმნის და მოითხოვს ენის განვითარების დაგეგმარებას. საჭიროა კარგად გაანალიზდეს არსებული ვითარება და

ძირითადი კულტურული ფასეულობების შესწავლა-პროპაგანდის მიზნით დაიგეგმოს განათლების რეფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა რუსიფიკაცია ენისა და ერის გადაგვარების ახალი სახეობით შეიცვლება (ფუტკარაძე, 2006,12). აუცილებელია არსებობდეს სპეციალური ორგანო, რომელიც შეძლებს ახალი ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეულების „ჩადებას“ სახელმწიფო ენაში. საჭიროა ისეთი მექანიზმების მოფიქრება და დადგენა, რომლებიც დაიცავს ენის სიწმინდეს და ეს საკითხები, უპირველესად, სახელმწიფოს გადასაწყვეტია. მცირერიცხოვან ერებს, რომლებიც თავის ენაზე საუბრობენ, ყოველთვის აქვთ მეორე ენა, დიდი მეზობლისა, რომლის დახმარებითაც ახორციელებენ კავშირს მსოფლიო ცივილიზაციასა და კულტურასთან. საქართველოსთვის ასეთი ენა იყო რუსული და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართული და რუსული კულტურები იყო ურთიერთგამდიდრების წყარო. დღეს საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილად იქცა და დამკვიდრდა ინგლისური ენა, რომლის გავლენაც ქართულზე მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევაში, განმსაზღვრელია. საქართველოს მოქალაქე პირველ რიგში უნდა ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და განათლებას ამ ენაზე იღებდეს, რამდენადაც კულტურის ენა განსაზღვრავს პიროვნების ცნობიერებასა და სამყაროს აღქმას (ფუტკარაძე, 2006, 14). აქვე ენობრივი პოლიტიკის ერთი საკითხის შესახებაც. საქართველოს ხელისუფლება 2002 წელს მიუერთდა „ევროპულ ქარტიას რეგიონალური და უმცირესობების ენების შესახებ“, საჭიროა ეს დოკუმენტი სწორად იქნეს გაგებული და გააზრებული, მასში ვიპოვოთ ის მარცვალი, რომელიც ხელს შეუწყობს და განავითარებს ჩვენს ენას და არ დააკნინებს, არ დაქსაქსავს. ამისათვის საჭიროა არსებობდეს ენის განვითარების მწყობრი პოლიტიკა, რათა სხვადასხვა ჯგუფებისა და არაკეთილმოსურნეთა ინტერსები არ გახდეს მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მისი აღსრულებისას.

ცალკე საკითხად გამოვეყოფ საინფორმაციო ტექნოლოგიების როლს ენის განვითარებაში. კომპიუტერული ლექსიკის გაქართულების მიზნით რამდენიმე წელია მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ამ სფეროს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგია კვლავ უპირობოდ იკავებს ადგილს ქართულ სინამდვილეში. ელექტრონული დოკუმენტბრუნვაც საქმისწარმოების ახალ ფორმებსა და ტექსტისადმი

სხვაგვარ დამოკიდებულებას აწესებს, რაც ასევე გასათვალისწინებელია. ამ საკითხს მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის, გოეთეს უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით გამართული კონფერენცია მიემდვना, რომელმაც მთელი რიგი საყურადღებო საკითხები წარმოაჩინა.

საქმიანი წრეებისათვის წერილობით ურთიერთობათა გამარტივებისა და საქმიანი მიმოწერისას დროის მოგების მიზნით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია წერილობითი სტანდარტები. ამ ხერხით ისეთი დოკუმენტები, როგორცაა: განცხადება, თხოვნა, პროექტი, ... გრაფების შევსებისა და სიტყვათა განსაზღვრული რაოდენობით უნდა შემოიფარგლოს. ერთი შეხედვით, ამ სტანდარტების სწავლება უფრო ადვილია, ვიდრე ტექსტის ე.წ. შემოქმედებითი გაფორმება, მაგრამ სინამდვილეში ამგვარი სტანდარტებით მუშაობა მრავალ გაუგებრობასთანაა დაკავშირებული, კერძოდ: ა) ე.წ. შესავსებ სტანდარტთა რაოდენობა სოციალურ სიტუაციათა მრავალფეროვნების ფონზე უადრესად იზრდება; ბ) პიროვნებას (მოქალაქეს ან დარგის სპეციალისტს) სტანდარტის მხოლოდ მოხმარება მართებს და არა მისი შედგენის წესების სწავლა; გ) უცხოური ოფიციალური დოკუმენტების ენობრივი სტანდარტების მექანიკურად გადმოტანა ქართულში აზიანებს ენის უნარს, შემოქმედებითად მიუდგეს საქმისწარმოების ენის განვითარებას და ამით დაიცვას თავი არასასურველი კალკებისაგან. ქართული სწორმეტყველების პოზიციიდანაც, უცხოური სტანდარტის მექანიკური გადმოღება საქმისწარმოების ენას ენათმეცნიერთა რეკომენდაციის გარეშე ტოვებს. ორი სხვადასხვა ენა არასოდესაა იმდენად მსგავსი, რომ შესაძლებელი იყოს მათი მიჩნევა ერთი და იმავე სოციალური რეალობის ასახვის საშუალებად (ტაბიძე მ., 2005, 32).

უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ეფექტურობა თვალსაჩინო გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა შესაძლებელი შეიქმნება იმ პროცესების კონტროლი და რეგულირება, რომლებიც ქვეყნის ახალმა სახელმწიფოებრივმა ვითარებამ, ახალმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და საინფორმაციო ურთიერთობებმა წარმოქმნა ოფიციალური საქმისწარმოების სფეროში. როცა მოხერხდება საკანონმდებლო მექანიზმების ამოქმედება და იმ სტრუქტურების მიზანმიმართული, კოორდინირებული ამუშავება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ

უახლესი ტერმინოლოგიის, სპეციალური ენების მომზადება-დამუშავება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ყოველ ცალკეულ უბანზე.

დასასრულ, ენის ნორმალიზაცია უნდა იყოს მიზანმიმართული, შორსგამიზნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, რომელიც შესაბამისი დონისა და მასშტაბის დამოკიდებულებას მოითხოვს. საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის სექტემბერში მიღებული კანონი „ქართული ენის შესახებ“ და ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება ენის დეპარტამენტის აღდგენის თაობაზე გარკვეულწილად მაინც მოაწესრიგებს აღნიშნულ საკითხებს და გააუმჯობესებს ქართული სალიტერატურო (ეროვნული) ენის განვითარებასა და ფუნქციონირებას საქართველოში.

თავი II

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის სახეები

„დოკუმენტი“ ლათინური სიტყვაა documentum. ეს ტერმინი ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნეში ევროპიდან შემოვიდა და ეწოდება რისამე დამამტკიცებელ საქმიან ქაღალდს, რაიმე უფლების დამადასტურებელ წერილობით საბუთს ან განმკარგულეხელ აქტს. დოკუმენტის ნაცვლად ხშირად იხმარება სიტყვა საბუთი.

დოკუმენტის დანიშნულება თანამედროვე საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მისი საშუალებით ხდება ქვეყნის მართვა, ურთიერთდაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა. ამავე დროს, დოკუმენტი წარმოადგენს ისტორიულ წყაროს. დოკუმენტებს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნიათ, წარმოქმნიან ერთიან საარქივო ფონდს.

დოკუმენტები შინაარსის მიხედვით შეიძლება იყოს: სახელმწიფოებრივი (სამსახურებრივი) და პირადი. სახელმწიფოებრივი (სამსახურებრივი) ეწოდება იმგვარ დოკუმენტებს, რომლებიც სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში იქმნება და სახელმწიფოებრივ (სამსახურებრივ) საკითხებს ეხება. სხვანაირად მას „ოფიციალურ“ დოკუმენტებს უწოდებენ. პირადია დოკუმენტი, რომელიც სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ცალკეული პირების მიერაა შედგენილი.

ოფიციალური დოკუმენტების კვალიფიციურად შედგენის, დამუშავებისა და გაფორმების პროცედურების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ენის სიწმინდის, საქმისწარმოების სათანადოდ წარმართვისა და ზოგადად სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით. ქვეყნის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხარისხიანად დოკუმენტირება, მისი მოწესრიგება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქმის უკეთ წარმართვას. საქმისწარმოება დაწესებულების ადმინისტრაციული საქმიანობის ამსახველი ერთ-ერთი დარგია, რომელიც დოკუმენტების დამუშავებასთანაა დაკავშირებული.

საქართველოს კანონები „ნორმატიული აქტების შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესის შესახებ“ სწორედ ამ საკითხების

მოგვარებას ისახავს მიზნად, კერძოდ, ამ აქტებში მოცემულია ოფიციალური დოკუმენტების კლასიფიკაცია და განმარტებები, დადგენილია დოკუმენტებისა და მათი რეკვიზიტების გაფორმების ერთიანი წესი, წარმოდგენილია იმ პრინციპებისა და ნორმატივების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს დაწესებულებაში მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებისა და დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციისადმი (იხ.დანართი № 5).

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები მრავალფეროვანია, თავისი დანიშნულებით, ფორმით, აგების პრინციპითა და გაფორმების წესით ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სტრუქტურა გამოსცემს თავისი კომპეტენციის შესაბამის აქტს (კანონი, კოდექსი, კონსტიტუციური შეთანხმება, საერთაშორისო ხელშეკრულება, საერთაშორისო შეთანხმება, ბრძანებულება, განკარგულება, დადგენილება, ბრძანება, დეკრეტი, პარლამენტის რეგლამენტი და მისთ.) და ამ შემთხვევაში მათი უფლებამოსილება რეგულირდება კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“, თუმცა საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთების (ოქმი, წერილი, განცხადება, მოთხოვნა, ნოტა, საჩივარი, დეპეშა, მოხსენებითი ბარათი, განმარტებითი ბარათი, მემორანდუმი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, დებულება, წესდება, პატაკი, ცნობა და მისთ.) შედგენის წესი საერთოა ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებისა თუ უწყებისათვის და ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს სრულად შეესაბამება. ამგვარი დოკუმენტების ლექსიკა, ტერმინოლოგია, ფრაზეოლოგია და შესიტყვებები, დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები ყველა ოფიციალური დოკუმენტისათვისაა ნიშანდობლივი, საქმიან საბუთებს მიეკუთვნება ანგარიში, მოხსენება, სამოქმედო გეგმა და მისთ.

ოფიციალური დოკუმენტებისა და საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთები რამდენიმე სახისაა; პირობითად გამოვყოფთ I და II კატეგორიის დოკუმენტებს:

I კატეგორიის დოკუმენტად მივიჩნევთ სამართლებრივ აქტებს, რომლებსაც კანონის ძალა გააჩნია და სავალდებულო შესასრულებელია შესაბამისი უწყებისა თუ საზოგადოებისათვის;

II კატეგორიის დოკუმენტებს მივაკუთვნებთ საქმიან საბუთებს. ამავე კატეგორიას განეკუთვნება დიპლომატიური დანიშნულების დოკუმენტაციაც.

განვიხილავთ თითოეულს ცალ-ცალკე:

სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი აქტი არის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი.

სამართლებრივი აქტის სახეებია: **ნორმატიული და ინდივიდუალური აქტი.**

ნორმატიული სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადი ქცევის წესს შეიცავს და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მიიღება (გამოიცემა) მხოლოდ ნორმატიული აქტის საფუძველზე და მის მიერ დადგენილ ფარგლებში (კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“).

ნორმატიული სამართლებრივი აქტები:

საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. ნორმატიული სამართლებრივი აქტები იერარქიულად ასე დალაგდება:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

საქართველოს ორგანული კანონი;

საქართველოს კანონი;

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;

საქართველოს პარლამენტის ნორმატიული აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია, ის მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას, ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის განსაზღვრისას და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას.

საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რომელსაც საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საქართველოს სახელით დებს საქართველოს პრეზიდენტი.

მხოლოდ საქართველოს პარლამენტს გააჩნია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების უფლებამოსილება (კანონი „ ნორმატიული აქტების შესახებ“).

საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული.

საქართველოს კანონს საქართველოს პარლამენტი იღებს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება არის ნორმატიული აქტი. არანორმატიულია, როდესაც დადგენილება საკადრო ან პერსონალურ საკითხებს ეხება (იხ.დანართი № 6).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტია, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება, შინაგანი სტრუქტურა, მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესი (კანონი „ ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 7).

საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებია: **საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, დეკრეტი**, აგრეთვე **ბრძანება**, რომელსაც გამოსცემს როგორც საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი. ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გარდა საკადრო და პერსონალური საკითხებისა). ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული აქტი, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. დეკრეტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი (იხ.დანართი №7).

საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტია **საქართველოს მთავრობის დადგენილება** (იხ.დანართი №8).

საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტია **საქართველოს მინისტრის ბრძანება** (იხ. დანართი № 9).

საქართველოს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და მისი სისტემის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს არა აქვთ ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებია: ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს რეგლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ბრძანება და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დადგენილება (კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლები 10,11,12,13).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტია:

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება (იხ.დანართი № 10).

ნორმატიული აქტის სტრუქტურა და რეკვიზიტები:

ნორმატიული აქტი შეიცავს ძირითად ნაწილსა და დასკვნით დებულებებს, ნორმატიულ აქტს შეიძლება ჰქონდეს პრეამბულა, მასში გადმოიციემა ამ აქტის დანიშნულება და პრინციპები. თუ აქტი კანონქვემდებარეა, პრეამბულაში

მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის შესასრულებლად გამოიცა იგი. თუ ამის საჭიროება არის, ნორმატიულ აქტს დანართის სახით უნდა დაერთოს ცხრილები, სქემები, ნუსხები, სურათები და სხვ. დანართი ნორმატიული აქტის ნაწილია.

ნორმატიული აქტი შედგება მუხლებისაგან, მუხლი შეიძლება დაიყოს პუნქტებად, პუნქტი ქვეპუნქტებად. მუხლი შინაარსის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს თავებად, თავები კი გაერთიანდეს კარებად. კარს და თავს უნდა ჰქონდეს სათაური, მუხლს შეიძლება ჰქონდეს სათაური, პუნქტი და ქვეპუნქტი კი უსათაუროა. კარებისა და თავების ნუმერაციისათვის გამოიყენება რომაული ციფრები, მუხლებისა და პუნქტებისათვის კი – არაბული ციფრები. ქვეპუნქტების თანმიმდევრობა ქართული ანბანის ასოებით აღინიშნება.

ნორმატიულ აქტში სხვა ნორმატიული აქტის მითითებისას უნდა დასახელდეს ნორმატიული აქტის სახე და სათაური, მუხლი, პუნქტი და ქვეპუნქტი, თუ აუცილებელია წინადადებაც.

ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები:

ნორმატიული აქტის სახე;

ნორმატიული აქტის სათაური;

ნორმატიული აქტის მიღების თარიღი და ადგილი;

ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ იგი განსაზღვრული ვადით არის მიღებული);

უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ნორმატიული აქტის მიმღები ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი;

საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნორმატიული აქტის პროექტი სამართლებრივი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (გარდა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, მთავრობის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ეროვნული ბანკის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტების პროექტებისა) (კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 18).

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია:

განკარგულება, ბრძანება (გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებია:

საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება;

საკრებულოს განკარგულება;

გამგებლის (მერის) ბრძანება (კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 61).

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადი დანიშნულების დოკუმენტია, რომელიც გამოიცემა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და არ შეიცავს მუდმივი, მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ამგვარი დოკუმენტი, ძირითადად, საკადრო, პერსონალურ, დაფინანსების ან სხვადასხვა ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. ამასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ოპერატიული საკითხის გადასაწყვეტადაც გამოიცემა. როგორც წესი, მას აქვს მოქმედების შეზღუდული ვადა და ეხება ორგანიზაციების, თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა ვიწრო წრეს. ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გააჩნია ისეთივე სტრუქტურა და სჭირდება ყველა ის რეკვიზიტი, როგორც ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, თუმცა, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, არის მოცულობითა და პუნქტობრივადაც მცირე, მაგალითად:

„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

N29/07/03 2015 წლის 29 ივლისი ქ.თბილისი

რევაზ ბეშიძის პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე

დანიშვნის შესახებ

დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, დაინიშნოს რევაზ ბეშიძე პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე 2016 წლის 1 იანვრიდან.

გიორგი მარგველაშვილი

(საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი).

“საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1980

2015 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის დავით ლეჟავასათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადება საქართველო-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ სამთავრობო მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს დავით ლეჟავას, საქართველოს მთავრობის სახელით გამართოს სამთავრობო მოლაპარაკებები საქართველო-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ხელი მოაწეროს მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ ოქმს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი“

(საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი).

საქმიანი საბუთები

სამართლებრივი აქტების გარდა ოფიციალური საქმისწარმოების სისტემაში არანაკლებ მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი და შიდასაუწყებო მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთები: წერილი, მოხსენებითი ბარათი, განმარტებითი ბარათი, სამოქმედო გეგმა, პროგრამა, პროექტი, განცხადება, დეკრეტი, პატაკი, ცნობა და მისთ.

ამასთან ერთად, იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები: **ოქმი, აქტი, დასკვნა, მემორანდუმი, ხელშეკრულება, დებულება, წესდება;** აგრეთვე **მოხსენება, ანგარიში, სიტყვა** და მისთ.

საქმიანი საბუთები ანუ ოფიციალური დოკუმენტები წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების ცივილური ცხოვრებისა და ურთიერთობის აუცილებელ ნაწილს, ამიტომაც მათი შედგენის, სისწორისა და კანონიერების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და თითოეული ადამიანის სამოქალაქო და სამართლებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელების საქმეში.

საქმიან ქაღალდებს, მათი ხასიათიდან გამომდინარე, მოეთხოვება ნათელი, ზუსტი შინაარსობრივი გამოხატულება, მშრალი და დახვეწილი სტილი (ე.წ. საკანცელარიო სტილი ყველაზე მეტად აქ იჩენს თავს). ყველა საქმიან ქაღალდს აქვს თავისი სტანდარტული ფორმა, რომლის დაცვა შესაბამისი ოფიციალური ურთიერთობის აუცილებელი პირობაა. საქმიანი ქაღალდების შედგენის დროს დაცული უნდა იქნეს იმ ფორმალური მოთხოვნის ყველა პირობა, რაც შესაბამის დოკუმენტს წაყენება, დაწყებული ადრესატის დასახელებით და დამთავრებული თარიღის დასმითა თუ ხელმოწერით (არაბული, 2004,290).

ანგარიში, მოხსენება და სამოქმედო გეგმა ვრცელი და, ხშირ შემთხვევაში, ყოვლისმომცველი სტრატეგიული დოკუმენტია, რომლითაც ხელისუფლების წარმომადგენლები თუ ცალკეული უწყების ხელმძღვანელები წარდგებიან საზოგადოების წინაშე. ამგვარი დოკუმენტები უმთავრესად ქვეყნის ან კონკრეტული უწყების განვითარების ძირითად მიმართულებებსა და საკითხებს მოიცავს და საზოგადოებას აცნობს სახელმწიფოს (უწყების) განვითარების მთავარ პრიორიტეტებს, მათ ხედვასა და გაწეულ საქმიანობას. ენობრივად ასეთი დოკუმენტები ყველა იმ მახასიათებელს ატარებს, რომელიც უკეთ წარმოაჩენს მასში ჩადებულ შინაარსს, კერძოდ, გამოირჩევა რთული სინტაქსური კონსტრუქციებით, ერთგვარწევრიანი წინადადებებით, ემოციურ-ექსპრესიული ფონით, გადატვირთულია სხვადასხვა სტატისტიკური (დიაგრამები, ცხრილები, ციფრები) მონაცემით და ა.შ. ფორმოზრივად ასეთი დოკუმენტები ვრცელია (იხ. დანართი № 11).

რაც შეეხება საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილ საბუთებს, ამგვარი დოკუმენტები უნდა იყოს მარტივი და ლაკონური, ყველა სიტყვა უნდა გამოხატავდეს გამოსათქმელ აზრს, დოკუმენტის ტონი უნდა იყოს საქმიანი და ზრდილობიანი. ყველა სამსახურებრივ დოკუმენტს გარკვეული იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის წარმოადგენს ამა თუ იმ საკითხის, ფაქტის, მოვლენის მოწმობას, დადასტურებას, მტკიცებულებას, თუმცა მათი იურიდიული მნიშვნელობა და პრაქტიკული დანიშნულება სხვადასხვაგვარია.

წერილი საქმიანი მიმოწერის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც გულისხმობს ერთი დაწესებულების ან ცალკეული პირის ოფიციალური ხასიათის წერილობით მიმართვას მეორე დაწესებულების ან პირისადმი. წერილი არის მცირე მოცულობის და შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, თხოვნას ან მოთხოვნას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ზოგჯერ ითხოვს რეაგირებას ან გადაწყვეტილებას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. წერილი ყოველთვის გულისხმობს კონკრეტულ ადრესატს, მოითხოვს დათარიღებას, ნომერს. ოფიციალური წერილი შესაბამის სატიტულო ბლანკზე იბეჭდება, მასში აუცილებელია თანდართული დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშვნა და ხელმოწერა. წერილის აგებულება და სტრუქტურა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

საქმიანი წერილი, ძირითადად, სამ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს: პირველი – ინფორმაციას საკითხის შესახებ, მეორე – საკითხის არსს, მესამე – კონკრეტულ თხოვნას ან მოთხოვნას შესაბამის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ან ინფორმაციის ცნობად მიღების საკითხს (იხ.დანართი № 12).

საინფორმაციო ხასიათის წერილი მხოლოდ ინფორმაციას შეიცავს კონკრეტულ საკითხთან ან ხელმძღვანელი ორგანოების განკარგულებათა, მითითებათა ან დავალებათა შესრულებასთან დაკავშირებით და ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული კომპონენტები მისთვის საჭირო არ არის (დოლიკაშვილი, 2008, 220).

ამასთან, საქმიანი წერილი შეიძლება იყოს: წერილი - შეკითხვა, წერილი - თხოვნა, წერილი - შეხსენება, წერილი- განაცხადი, წერილი - პასუხი.

წერილი-შეკითხვა წარმოადგენს მიმართვას კონკრეტული ადრესატისადმი იმ მიზნით, რომ მიიღოს საჭირო განმარტებები, ცნობები, მითითებები ან დოკუმენტები.

ზოგჯერ ამგვარ წერილებში დამატებით აღინიშნება, თუ რისთვისაა საჭირო ეს ინფორმაცია.

წერილი-თხოვნა წარმოადგენს მიმართვას დაწესებულების ან უწყებისადმი და შეიცავს თხოვნას დახმარების შესახებ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის დამოუკიდებლად გადაწყვეტა კონკრეტულ ორგანიზაციას ან პირს არ შეუძლია.

წერილი-შეხსენება დაწესებულებას ან პირს შეახსენებს ან აფრთხილებს რაიმეს შესახებ.

წერილი-განაცხადი შეიცავს რაიმე დაკვეთას ან განაცხადს.

წერილი-პასუხი წარმოადგენს პასუხს ორგანიზაციების, უწყებებისა და ცალკეულ პირთა მოთხოვნებსა თუ შეკითხვებზე, მასში მოცემულია შესატყვისი ცნობები, განმარტებები, მითითებები, ზოგჯერ კი გადაწყვეტილებები იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შეკითხვებთან ან თხოვნებთანაა დაკავშირებული. ამგვარ წერილებში ყოველთვის მითითებულია წერილი-თხოვნის (წერილი-შეკითხვის) ნომერი, თარიღი და არსი. წარმოგიდგენთ წერილებს სხვადასხვაგვარი განმარტებებითა და პასუხებით:

„მოქალაქე მზია ხარაზიშვილს

მის. ქარელის რ-ნი, სოფ. სალოლაშენი

ქალბატონო მზია,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი თქვენი მიმდინარე წლის 31 მარტის №2577 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამავე კანონით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

№ 115/2

02.04.14.“ (საქართველოს პრეზიდენტის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

„მოქალაქე ლალი ჭყოიძეს

მის. ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხრამუხა

ქალბატონო ელისო,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2015 წლის 11 მაისის N1/79622 განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

პატივისცემით, თინათინ მაისურაძე

კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის უფროსი

Nº 1550/43

23.04.14.“

(საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

„მოქალაქე ნაზი დორეულს

მის. მცხეთის რ-ნი, სოფ. ზაქარო

ქალბატონო ნაზი,

მიმდინარე წლის 17 აპრილის თქვენი N3443 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განცხადება გიბრუნდებათ უკან.

დანართი: 19 (ცხრამეტი) ფურცელი

პატივისცემით,

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

Nº 1243/ 66

23.04.14.“ (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

მოქალაქე ალექსანდრე ფარცხალაძეს

მცხ. ხონის რ-ნი, სოფ. ივანდიდი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული თქვენი 2014 წლის 14 აპრილის №3246 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას.

გთხოვთ, ხუთი დღის ვადაში გამოასწოროთ მითითებული ხარვეზი და წარმოადგინოთ შესაბამისი განცხადება.

პატივისცემით,

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

№3246

16.04.14“ (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

„ მოქალაქე ასად შამოევს

მცხ.გორის რაიონი, სოფ. ახალგორი

ბატონო ასად,

გაცნობებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებამოსილებას, ხოლო თქვენს 2015 წლის 17 ივლისის N1/14629 განცხადებაში მითითებული საკითხი - შვილის მკურნალობის მიზნით ბანკიდან აღებული სესხის პროცენტის შეჩერება - სცილდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ფარგლებს. შესაბამისად, განცხადება გადაეგზავნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

პატივისცემით,

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

1/17743

06.04.14.“ (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის

მართვის დეპარტამენტის მასალები).

წერილის ნაირსახეობაა **თანდართული წერილი**, რომელიც ერთი სტრუქტურიდან მეორეში გადაგზავნილ შესაბამის დოკუმენტს ან განცხადებას ყოველთვის უნდა ახლდეს თან. თანდართული წერილი უფრო მოკლეა და ადრესატს აცნობს ინფორმაციას იმ დოკუმენტისა თუ განცხადების თაობაზე, რომელიც მათ ეგზავნებათ, ზოგჯერ თანდართულ წერილში მითითებულია რეაგირების ფორმაც, რომელსაც ერთი სტრუქტურა მეორეს ავალებს ან სთხოვს, მაგალითად:

“საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად გიგზავნით „საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით საქართველოს სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის - საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის 2015 წლის 24 ივლისის № 6 ბრძანებას.

გიორგი მარგველაშვილი”

(საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი).

„დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციას

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული მოქალაქე ნ. სოლოლაშვილის 2014 წლის 7 აპრილის №2999 განცხადება.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ განცხადებაში აღნიშნული საკითხები.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

№2999

10.04.14.“

(საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გეგმავნებათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული პენიტენციური დეპარტამენტის N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების 2015 წლის 4 აპრილის №91400503254 (პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რეგისტრაციის N1/8809; 04.04.15) წერილით გადმოგზავნილი ბრალდებულ გენადი ქოქოლაძის №503012; 04.04.15. განცხადება“

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი

ეკატერინე ჭითაშვილი

კორესპონდენციის მართვის

დეპარტამენტის უფროსი

№2985

21.05.15.“ (საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტის მასალები).

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრს მიხეილ გიორგაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განიხილა ი.ჭავჭავაძის გამზირის № 51 კორპუსის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ წერილში დასმული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

დანართი: 2 (ორი) გვერდი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის

უფროსის მოადგილე

ია სოხაძე

18.08.11

№ 13183“



საქართველოს
რეჟიერ-მინისტრი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 205-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

დანართი: 88 გვ.

ირაკლი დარიბაშვილი

(საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი).

წერილს, რომელიც საქვეუწყებო დაწესებულებას ეგზავნება და მოცემულია სადირექტივო მითითებები, სხვადასხვა ინფორმაცია, ზოგჯერ განზოგადებულია გამოვლენილი ნაკლოვანებებიც, დამოწმებულია ესა თუ ის იურიდიული ფაქტი, **ცირკულარული წერილი ეწოდება**. ამგვარ წერილს ხელს დაწესებულებისა თუ უწყების ხელმძღვანელი აწერს. ცირკულარული წერილის დასაგზავნად მზადდება ადრესატთა სია, ცირკულარული წერილის დედანი და სია დაწესებულებაში რჩება (იხ.დანართი №13).

მოხსენებითი ბარათი თანამშრომლის მიერ ხელმძღვანელის სახელზე დაწერილი საინფორმაციო წერილია, რომელშიც მოცემულია კონკრეტულ საკითხთან (საკითხებთან) ან გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, აღწერილია საკითხის არსი, წარმოდგენილია ფაქტები და წინადადებები, რეკომენდაციები, მოსაზრებები შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად.

წერილთა სიმრავლიდან გამოირჩევა წერილები, რომლებსაც ადევს **გრიფი**. ამგვარი წერილი განსაკუთრებული დანიშნულების და მნიშვნელობის დოკუმენტია. ასეთი დანიშნულების წერილები ჩვეულებრივისაგან იმით განსხვავდება, რომ მნიშვნელოვან, სახელმწიფოებრივ ინფორმაციას შეიცავს და დადგენილი წესის შესაბამისად, მხოლოდ ადრესატთა გარკვეული წრე ჰყავს, რომელმაც ან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ან აღნიშნული ინფორმაცია მიიღოს ცნობად. გრიფი, მნიშვნელობისა და დანიშნულების მიხედვით, სხვადასხვაგვარია: “განსაკუთრებული მნიშვნელობის“, „სრულიად საიდუმლო“, „საიდუმლო“, „შეზღუდული სარგებლობისათვის“ (კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“). დადგენილია იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ ამგვარ დოკუმენტებზე დაშვება და აგრეთვე იმ პირთა წრე, რომლებიც გასცემენ დაშვების უფლებას. გრიფის რაგვარობა აღნიშნულია წერილის პირველ გვერდზე, მარჯვენა, ზედა მხარეს. ამგვარ დოკუმენტებთან შესაბამისი დაშვება გაიცემა ცნობის სახით (იხ.დანართი № 14).

ასეთი დანიშნულების წერილების გარდა, სხვა სახის საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთების ადრესატიც ნებისმიერი არ შეიძლება იყოს, ასეთი წერილების კლასიფიკაცია შემდეგნაირად უნდა დავყოთ: საქმისწარმოების დეპარტამენტი

(სამსახური) განსაზღვრავს კონკრეტული წერილის მიმოქცევის არეალს. ოფიციალურ წერილებს შესაბამისი დეპარტამენტი (სამსახური) განიხილავს, მოქალაქეთა წერილებს კი – სპეციალისტი-ადრესატი, თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. შესაბამისად, ამგვარი წერილების სტილი ადრესატისათვის ადვილად მისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს.

განმარტებითი ბარათი ისეთი წერილობითი დოკუმენტია, რომლითაც დაქვემდებარებული პირი ზემდგომ ორგანოს ან ხელმძღვანელს აძლევს ახსნა-განმარტებას სამსახურებრივი ხასიათის საკითხებზე ან განმარტავს და ასაბუთებს წარდგენილი დოკუმენტის მნიშვნელობასა და მიღების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, განმარტებითი ბარათი, როგორც წესი, სავადებულო ხასიათის საბუთია, რომელიც დაერთვის ზემდგომ ორგანოებში წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებს (დოლიკაშვილი, 2008, 253).

პატაკი სამსახურებრივი დანიშნულების წერილობითი საბუთია, რომლითაც მოსამსახურე პირი, მიღებული დავალების შესაბამისად, გაწეული სამუშაოს ან მოკვლეული მასალების შესახებ ინფორმაციას აწვდის უფროსს. პატაკი საქმიანი ურთიერთობის ყველაზე მიღებული ფორმაა სამართალდამცავ ორგანოებში.

ოქმი სხდომებზე, თათბირებზე, კრებებზე კოლევიალური ორგანოს მუშაობის მსვლელობისა და გადაწყვეტილებების ჩანაწერია. სხდომის მსვლელობა აისახება ოქმში, რომელსაც მდივანი ადგენს. საქმიანი დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ოქმს გაფორმების თავისი წესი, სტანდარტული ფორმა აქვს და გადმოიცემა პუნქტებით: „**მოისმინეს**“, „**აზრი გამოთქვეს**“, „**დაადგინეს**“. ოქმში ჩაიწერება საკითხის განხილვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმი დამოწმდება სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (იხ. დანართი № 15).

არცთუ იშვიათად, კერძო მოთხოვნით, ფორმდება „**ოქმის ამონაწერი**“, რომელიც შეიცავს ოქმის შესავალ ნაწილსა და იმ კონკრეტულ მონაკვეთს, რომელიც მომთხოვნი კონკრეტული პირისათვის არის საჭირო (იხ. დანართი № 16).

ამასთან ერთად, არსებობს სამართლებრივი დანიშნულების ოქმებიც (დაკითხვის ოქმი, ჩხრეკის ოქმი და ა.შ.).

დებულება არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც ასახულია შესაბამისი სტრუქტურის ან ამ სტრუქტურასთან შექმნილი ცენტრის, საბჭოს, სათათბიროს მუშაობის წესი. დებულება აუცილებელია ჰქონდეს ყველა დაწესებულებასა თუ უწყებას და მათთან შექმნილ სხვადასხვა სათათბირო ორგანოს. დებულება დიდ როლს ასრულებს მუშაობის ორგანიზაციულ წარმართვაში და განსაზღვრავს საქმიანობის ყველა საკითხს. დებულება საჭიროებს დამტკიცებას, რომელიც ამ დოკუმენტის პირველ გვერდზევა მითითებული. დებულების სტრუქტურა ასეთია: ზოგადი დებულებები, ძირითადი ამოცანები, მიზნები, უფლება-მოვალეობანი, მმართველი ორგანო და მართვის წესი, ფინანსები და დასკვნითი დებულებები (დოლიკაშვილი, 2008, 251).

მემორანდუმში დეტალურადაა განხილული საკითხის ფაქტობრივი და იურიდიული მხარე. იგი შეიძლება რაიმე საკითხთან ან ფაქტთან დაკავშირებით გაფორმდეს ორ ან მეტ სუბიექტთან ან ორგანიზაციასთან, რომლებსაც გააჩნიათ საერთო ღირებულებები და შეხედულებები კონკრეტული საკითხის თაობაზე. მემორანდუმის მონაწილეები ამით აფიქსირებენ და საზოგადოებას წარუდგენენ თავიანთ პოზიციას შესაბამის საკითხთან დაკავშირებით. მემორანდუმი ფორმდება სპეციალური წესითა და ფორმით, მოწმდება ყველა მონაწილე სუბიექტის ხელმოწერით (იხ.დანართი № 17).

ხელშეკრულება წერილობითი შეთანხმებაა, რომელსაც ორი მხარე (ორი ქვეყანა, ორი დაწესებულება, ორი პირი, დაწესებულება და კერძო პირი) თანამშრომლობის თაობაზე აფორმებს. ხელშეკრულებით მხარეები განსაზღვრავენ მომავალი საქმიანი ურთიერთობის ყველა არსებით პირობას: აღებულ ვალდებულებებს, მისი შესრულების ვადებს, სანქციებს, გასაჩივრების წესსა და მხარეთა იურიდიულ მისამართებს. ხელშეკრულება დასტურდება მხარეთა ხელმოწერებითა და ბეჭდით, ფორმდება ორ ეგზემპლარად და ყველა მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი, მხარეთა ხელმოწერები დასტურდება ბეჭდით. ხელშეკრულება ფორმდება დადგენილი წესით (იხ.დანართი № 18).

დასკვნა წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც გადმოცემულია რომელიმე კონკრეტული საკითხის მოკლე შინაარსი და მის შესახებ მიღებული სათანადო გადაწყვეტილება. დასკვნას ამზადებს ის ადმინისტრაციული ორგანო ან ექსპერტთა

ჯგუფი, რომელსაც კანონმდებლობით აქვს მინიჭებული ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება. ზოგიერთ შემთხვევაში დასკვნა დაერთვის სამართლებრივი აქტის პროექტს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად (დოლიკაშვილი, 2008, 259).

აქტი არის დოკუმენტი, რომელიც რამდენიმე პირის მიერ არის შედგენილი და ფორმდება სხვადასხვა სახის შემოწმების შედეგად დადგენილი ფაქტების დასადასტურებლად, აქტის ნაირსახეობაა მიღება- ჩაბარების აქტი, რომელიც აღნუსხავს ერთი თანამშრომლის მიერ მეორისათვის გადაბარებულ დოკუმენტაციასა თუ მასალებს. აქტით აღირიცხება მოქალაქეებისა თუ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი. აქტი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია, რომელიც შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს, ამიტომ მასში ყოველთვის ზედმიწევნითა და ობიექტურად უნდა აისახოს არსებული ვითარება. აქტი ფორმდება ზემდგომი ორგანოების მიერ გამოყოფილ პირთა მონაწილეობით, ცალკეულ შემთხვევებში კი – ფაქტის მომსწრე-დამნახავთა ჯგუფის მიერ (იხ.დანართი № 19).

განცხადება პირადი შემადგენლობის დოკუმენტია, რომელიც წარედგინება ზემდგომ ორგანოს და შეიცავს თხოვნას, მოთხოვნას, საჩივარს ან რაიმე ინფორმაციას. განცხადება შეიძლება იყოს პირადი ან კოლექტიური, თუ განცხადება რომელიმე უწყებიდან გამომდინარეობს, მაშინ ის სამსახურებრივი ხასიათის დოკუმენტია. მოქალაქის მიერ ზემდგომ ორგანოში წარდგენილი წერილი განიხილება როგორც განცხადება (იხ.დანართი №20).

ცნობა საინფორმაციო მიზნით გაცემული აღწერითი ან ციფრობრივი ხასიათის დოკუმენტია, რომელიც რაიმე ფაქტის ან მოვლენის დასადასტურებლად გაიცემა ორგანიზაციის ან უწყების მიერ. ცნობის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვადასხვა მონაცემის სისწორეს, მასში მოყვანილი ფაქტები გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული, რადგან მათ საფუძველზე ხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ცნობა, როგორც რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, შეიძლება მიეცეს ცალკეულ პირსაც, მაგალითად:

„ცნობა“

პროფესორი ირაკლი ანდრიაძე მუშაობს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში კათედრის გამგის თანამდებობაზე და მისი თვითური სარგო შეადგენს 2000 (ორი ათას) ლარს.

ცნობა ეძლევა ვაკის რაიონის გამგეობაში წარსადგენად.

სამედიცინო უნივერსიტეტის კადრების განყოფილების გამგე თ.გაგუა“

წესდება არის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული ორგანიზაციის მუშაობის წესები, სტრუქტურა, ფუნქციები და უფლებები. წესდება ამ ორგანიზაციის მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტია. წესდება საჭიროებს დამტკიცებას ზემდგომი ორგანოების მიერ, რაც, შესაბამისად, მის პირველ გვერდზე აღინიშნება.

დეპეშა არის სატელეგრაფო მიმოწერა, რომელიც სასწრაფო გზავნილთა რიცხვს მიეკუთვნება და გამოიყენება გადაუდებელი საკითხების გადასაჭრელად. დეპეშის ფორმას მოქალაქე ხშირად იყენებს ზემდგომ ორგანოებისთვის თავისი პრობლემის დაუყოვნებლივ შეტყობინებისათვის. დეპეშაში არ გამოიყენება კავშირები, წინდებულები, სასვენი ნიშნები. დეპეშა ორი სახისაა: სამსახურებრივი და პირადი. სამსახურებრივი დეპეშის ბოლოს დასმის გამგზავნი უწყების ბეჭედი. დეპეშა, როგორც წერილი, არსებული წესით რეგისტრირდება (დოლიკაშვილი, 2008, 260).

ანოტაცია, თეზისები - ანოტაციისა და თეზისების მიზანია მოკლედ და ლაპიდარულად აცნობოს მკითხველს დოკუმენტის (წერილი, განცხადება, ანგარიში, მოხსენება, ინფორმაცია, ბიულეტენი და მისთ.) თემა და შინაარსი: ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ანოტაციის ფორმა ხშირად გამოიყენება, ეს საყოველთაოდ მიღებული ფორმაა სხვადასხვა სტრუქტურაში დარეგისტრირებული წერილების (ოფიციალური, მოქალაქეთა) განსახილველად, ანოტაცია გამოიყენება ელექტრონულ საქმის-წარმოებაშიც, როდესაც ფიქსირდება წერილი, იქვე ანოტაციის ფორმით მითითებულია წერილის ძირითადი მახასიათებლები (სახელი, გვარი ან ორგანიზაციის დასახელება) და კომპაქტურად გადმოცემული შინაარსი. სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებებში ინფორმაციის სიუხვე და მისი წარმოების სირთულე ქმნის ანოტაციის ფორმით მისი წარმოდგენისა და მართვის აუცილებლობას.

მარტივად რომ ვთქვათ, ანოტაცია და თეზისები გარკვეული ინფორმაციის შეკუმშული ფორმაა. საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები (ანოტაცია, თეზისები და მისთ.) შეიძლება გავაერთიანოთ დამატებითი და შემაჯამებელი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტთა სახეობაში თავიანთი სპეციფიკით.

დიპლომატიური დოკუმენტაცია

დიპლომატიური ენა, ტერმინოლოგია განსხვავდება სხვა პროფესიათა და, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტების ენისაგანაც. წერის ოსტატობასა და უნარს დიდი მნიშვნელობა აქვს დიპლომატიაში. ისტორიულად ამ სფეროში მოღვაწეობდნენ ისეთი მოხელეები, რომლებსაც შესანიშნავად ეხერხებოდათ წერა. ქართულ სინამდვილეში სულხან-საბა ორბელიანისა და ბესიკ გაბაშვილის გარდა, სხვადასხვა დროს არაერთი მწიგნობარი ყოფილა ელჩად. ეს პრაქტიკა უცხოეთისთვისაც იყო დამახასიათებელი, მაგალითად: ბომარშე საფრანგეთის დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა აშშ-ში; ბოკაჩიო ფლორენციის რესპუბლიკის ელჩი იყო იტალიის რამდენიმე ქალაქში; ელჩი-მწერლები იყვნენ პეტრარქა და დანტე; რუსულ დიპლომატიურ სკოლას წარმოადგენდნენ ა. გრიბოედოვი – სპარსეთში და რუსი პოეტი ფ. ტიუტჩევი, რომელმაც 20 წელზე მეტი გაატარა რუსეთის საზღვარგარეთის წარმომადგენლობებში; ჩ. აიტმატოვი ყირგიზეთის ელჩი იყო იტალიაში და ა.შ. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ სფეროსათვის აუცილებელი და დამახასიათებელია არა მარტო ფაქტების ზუსტი აღწერა, არამედ ღრმა ანალიზი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი ცოდნა. დიპლომატიური დანიშნულების დოკუმენტები მრავალფეროვანი და რამდენადმე განსხვავებულია სხვა ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისაგან როგორც სტრუქტურულად, ისე ეტიკეტით, ლექსიკითა და შესრულების მანერითაც კი. ამგვარი საბუთებია: ვერბალური, ცირკულარული და პირადი ნოტა, მემორანდუმი, სამახსოვრო ჩანაწერი, პირადი წერილი. ყველაზე გავრცელებული სახეა ვერბალური ნოტა, რომელიც გამოიყენება მიმდინარე ხასიათის საკითხების, სხვადასხვა სახის მოვლენის აღსაწერად, მთავრობათა შორის მიმოწერის დროს და მისი შედგენა-გაფორმება განსაზღვრულ წესს საჭიროებს, კერძოდ, ტექსტი

იბეჭდება სპეციალურ ბლანკზე და შედგენილია მხოლოდ მესამე პირში. მისი შედგენისას აუცილებელია იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, საიდანაც იგზავნება ნოტა, ამასთან ერთად თარიღისა და უწყების ადგილმდებარეობის მითითება. ნოტის დასაწყისშივე აუცილებელია დიპლომატიური ეტიკეტის დაცვა, კერძოდ, გარკვეული თავაზიანობის გამოხატვა და ორი ქვეყნის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობის აღნიშვნა, მაგალითად:

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი

15 აგვისტო, 2015 წელი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა პატივისცემას საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს მიმართ და მისი 2004 წლის 10 აგვისტოს ნოტის პასუხად, აქვს პატივი, აცნობოს შემდეგი:

სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა განუახლოს საელჩოს თავისი ღრმა პატივისცემა.

საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო

თბილისი“.

ვერბალური ნოტის სახეობაა ცირკულარული ნოტა. ამგვარი ნოტით საგარეო უწყება უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს აწვდის ინფორმაციას საბაჟო რეჟიმის, აეროპორტში ახალი წესების, საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ნოტის შედგენისას ამ შემთხვევაშიც დიპლომატიური ეტიკეტი უნდა იქნეს დაცული (ჭიპაშვილი, 2005, 161).

ცირკულარული ნოტის ნიმუში:

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი

15 აგვისტო, 2015 წელი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს ღრმა პატივისცემას საქართველოში აკრედიტებული ყველა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ და აქვს პატივი მოიწვიოს საზეიმო ღონისძიებაზე,

რომელიც გაიმართება 2004 წლის 1 სექტემბერს, 17.00 საათზე, თბილისში, დიდ საკონცერტო დარბაზში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ასევე აქვს პატივი, შეატყობინოს საელჩოებს, რომ აღნიშნულ ღონისძიებაზე დასასწრებად მოსაწვევი ბარათები დაეგზავნებათ 2004 წლის 20 აგვისტოს სამინისტროს პროტოკოლის სამსახურის მიერ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა გამოხატოს საელჩოების მიმართ თავისი ღრმა პატივისცემა.

საქართველოში აკრედიტებულ ყველა საელჩოს
თბილისი“ .

პირადი ნოტა იგზავნება მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით და შეიცავს ოფიციალურ ინფორმაციას, მაგალითად, მთავრობის შემადგენლობაში ცვლილების, არჩევნების შესახებ და სხვ. პირადი ნოტით მყარდება დიპლომატიური ურთიერთობები. ამგვარ დოკუმენტს შეიძლება ჰქონდეს საინფორმაციო ხასიათი, აგრეთვე საზეიმო, ცერემონიული სახეც. ვერბალური ნოტისგან განსხვავებით, პირადი ნოტა პირველ პირში ფორმდება, მიმართვის შემდეგ მოდის შინაარსი და სრულდება კომპლიმენტებით. პირად ნოტას არ აქვს სარეგისტრაციო ნომერი და არც ბეჭედი, ვერბალური და ცირკულარული ნოტისგან განსხვავებით. პირადი ნოტის ნიმუში:

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
თბილისი

15 აგვისტო, 2015 წელი

თქვენო აღმატებულება,

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულითადი მადლობა ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით თქვენი მოლოცვის გამო.

ვიმედოვნებ, რომ მეგობრული ურთიერთობა საქართველოსა და თქვენს ქვეყანას შორის განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გადმოგცეთ თქვენდამი ჩემი გულწრფელი პატივისცემა.

პირადი ხელმოწერა

ბატონ

პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში თბილისი“.

პირადი ნოტის მიღება დასტურდება ასეთივე პირადი ნოტით (ჭიპაშვილი, 2005, 162).

სამახსოვრო წერილი (ჩანაწერი) შეიძლება იყოს ვერბალური და პირადი ნოტის დანართი. დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით ის ემსაგავსება ვერბალურ ნოტას, მაგრამ არა აქვს ბეჭედი და მისამართი. დოკუმენტი ფორმდება უსახელო ფორმით, მიმართვის გარეშე, ასეთ კონტექსტში „გეცნობებათ“ და ა.შ. ამგვარ წერილში კომპლიმენტები არ არის გამოყენებული, არც მისამართი და სარეგისტრაციო ნომერი აღენიშნება, მას აქვს სათაურად „სამახსოვრო წერილი“. ამგვარი წერილი შიკრიკის ხელით არ იგზავნება. ის გადაეცემა პირადად. გადაცემის შესახებ უნდა აღინიშნოს საუბრის ჩანაწერში, რომელსაც დაერთვის სამახსოვრო წერილის ასლი. ამასთან ერთად, აღვნიშნავთ, რომ დიპლომატიური ხასიათის წერილების მიმოქცევა დიპლომატიური ფოსტის მეშვეობით ხორციელდება.

მემორანდუმი, ისევე როგორც სამახსოვრო წერილი, შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი დოკუმენტი, ისე პირადი ან ვერბალური ნოტის თანმხლები. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ავტორის შეხედულება პრობლემასთან, საკითხთან დაკავშირებით, გაანალიზებულია ესა თუ ის ფაქტი, შედგენილია წერილის სახით და კომპლიმენტების გარეშე. ის იბეჭდება ნოტის ბლანკზე, ბეჭედი და სარეგისტრაციო ნომერი არ დაისმის, ხელი არ ეწერება, მაგრამ აღინიშნება გაგზავნის თარიღი და ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმი ნოტის თანმხლები დოკუმენტია, მაშინ ის ჩვეულებრივ ქაღალდზე იბეჭდება, ნომერი, ბეჭედი, ადგილი და თარიღი არ აქვს (ჭიპაშვილი, 2005, 163).

პირადი წერილი ეგზავნება ნაცნობ ოფიციალურ პირს იმ შემთხვევებში, როდესაც:

- გამოხატულია წერილის ავტორის ინტერესი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით;
- სურთ გამოხატონ პირადი დამოკიდებულება მომხდარ ფაქტთან, ამბავთან დაკავშირებით;

პირადი წერილისათვის გამოიყენება მაღალი ხარისხის ქაღალდი, სხვა მხრივ ის პირადი ნოტის მსგავსია.

პირადი წერილის ნიმუში:

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი

15 აგვისტო, 2015 წელი

თქვენო აღმატებულება,

ვუბრუნდები რა ჩვენს გუშინდელ სასიამოვნო საუბარს, მინდა კიდევ ერთხელ მაძლობა გადაგიხადოთ სპექტაკლზე მოწვევისათვის.

ჩემმა მეუღლემ და მე უდიდესი სიამოვნება მივიღეთ მუსიკისა და მსახიობების შესანიშნავი ოსტატობისაგან.

ეს შთაბეჭდილება დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ბატონო ელჩო, მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა.

პირადი ხელმოწერა

ბატონ

საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს

თბილისი“.

დიპლომატიაში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ტრადიციულ დოკუმენტებს, არამედ სახელმწიფოთა მეთაურების განცხადებას, დეკლარაციას. ამ დოკუმენტებში ასახულია სახელმწიფოს პოზიცია და პრინციპები. ისინი არ საჭიროებენ ოფიციალურ პასუხს, თუმცა მათზე რეაგირება ხდება (ჭიპაშვილი, 2005, 164).

დიპლომატიურ სფეროში მიღებულია სხვა ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულთან, სახელმწიფოს მეთაურის დაბადების დღესთან ან სხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მისალოცი წერილის ან ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან, მომხდარ კატასტროფასთან, ბუნებრივ კატაკლიზმებთან ან სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით სამძიმრის წერილის გაგზავნა. ასეთ წერილებში ადრესანტი სახელმწიფო გამოხატავს ქვეყნის პოზიციას წერილში დაფიქსირებულ ფაქტთან დაკავშირებით, მისალოც ტექსტებში კი ყოველთვის ხაზგასმულია ორი ქვეყნის ურთიერთობა, თანამშრომლობა და, გარკვეულ

შემთხვევაში, ქვეყნის მხარდაჭერა ამა თუ იმ პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. გთავაზობთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მისალოც წერილს გერმანიის კანცლერის დაბადების დღესთან დაკავშირებით:

„მვირფასო კანცლერო,

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს თქვენს პროფესიულსა და პირად ცხოვრებაში.

ვსარგებლობ ამ განსაკუთრებული შემთხვევით და მინდა მაძლობა გადაგიხადოთ იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც თქვენ პირადად უცხადებთ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს, ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე თქვენი დახმარებისთვის დემოკრატიული განვითარების პროცესში, რომლის მისაღწევად ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ. ჩემთვის სასიხარულოა, რომ მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობები საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვითარდება და ღრმავდება ორივე მხარის ერთობლივი ძალისხმევითა და მიღწევების შედეგად.

საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი იმედის თვალთ შეჰყურებენ თქვენს ვიზიტს საქართველოში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის ვიზიტი კიდევ ერთხელ დაადასტურებს გერმანიის ურყევ მხარდაჭერას საქართველოსადმი, განსაკუთრებით საერთო გამოწვევების არსებობის პირობებში. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველო-გერმანიის ურთიერთობების განმტკიცების საქმეში.

თქვენო აღმატებულებავ, გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში.

პატივისცემით,

ირაკლი ღარიბაშვილი

მის აღმატებულებას

ანგელა მერკელს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს“

(საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge).

მაძლობის წერილი:

„თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა

სამმართველოს ხელმძღვანელს მეჰმეთ გორმეზს

თქვენო აღმატებულებაგ ბატონო მეჰმეთ,

დიდ მადლობას მოგახსენებთ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებული მოლოცვისათვის.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს მეგობარი სახელმწიფოს – თურქეთის, რელიგიის საქმეთა სამმართველოსთან თანამშრომლობა და მისი ინსტიტუციური გამოცდილების გაზიარება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში ახლად შექმნილი ჩვენი უწყებისათვის.

ქართულ-თურქული ურთიერთობების მრავალწლიანი ტრადიცია, ჩვენი ქვეყნების ეთნოკონფესიური რეალობა კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ჩვენი ურთიერთობების აუცილებლობას.

ვიმედოვნებთ, რომ მალე მოგვეცემა პირადად შეხვედრისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა.

პატივისცემით, ზაზა ვაშაყმაძე“

(რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმისწარმოების მასალეზი).

დიპლომატიური დოკუმენტაციის არცთუ უმნიშვნელო კომპონენტია სავიზიტო ბარათი, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტად არ ითვლება.

დიპლომატიური დანიშნულების დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადრესატის გვარ-სახელის გამართულ ორთოგრაფიას, იგულისხმება უცხოური გვარ-სახელებისა და თანამდებობის სწორად მითითება, რადგან დამახინჯებულად წარმოდგენილი წერილის ეს საყურადღებო კომპონენტები ასევე ეტიკეტის ნაწილია და ადრესატისათვის შეურაცხმყოფელია მისი არასწორად ფორმულირება. მაგალითისათვის წარმოგიდგენთ ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის გაფორმების წესს:

თავფურცელი (ტიტული): - ორგანიზაციის, სამინისტროს ლოგო, საფოსტო მისამართითა და კოორდინატ-ატრიბუტიკით, რომლის მხოლოდ შემოკლებული ფორმა ტელეფონისა და ფაქსის ნომრებით დაერთვის ფურცლის ბოლოში.

თარიღი : ფრანგული პროტოკოლით თარიღი იწერება მე-3 ან მე-4 ხაზზე ლოგოს ქვეშ, აუცილებლად ფურცლის მარჯვენა კუთხეში, თარიღს წინ უნდა უსწრებდეს წერილის შედგენის ადგილის მითითება. მაგალითად: პარიზი, 2012 წლის 10 აპრილი

(აღსანიშნავია, რომ თარიღის დაწერისას არ იწერება პუნქტუაციის არავითარი ნიშანი და არც გეოგრაფიულ დასახელებათა შემოკლება შეიძლება).

ადრესატის გვარ-სახელი და შესაბამისი ტიტული იწერება თარიღის ქვემოთ მე-5 ხაზზე. გვარ-სახელის სიზუსტე, თანამდებობა, სამსახურის სრული დასახელება და მისამართი, მაგალითად:

გოჩა ჯავახიშვილი

საქართველოს საელჩო საფრანგეთში

საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი

საფრანგეთი, ქ. პარიზი 75116, რაიმონ პუანკარეს გამზირი 104

ფრანგული პროტოკოლით მისამართი ასე იწერება:

Monsieur Gotcha Javakhishvili

Ministre Plénipotentiaire

Ambassade de Géorgie en France

104, Avenue Raymond Poincaré

75116 Paris, France (ჯავახიშვილი გ., კონსულტაცია).

ოფიციალური, დიპლომატიური მიმოწერისას ფრანგული პროტოკოლით უკიდურესად ცუდი ტონია შენობითი ფორმის გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორივე მხარე ერთმანეთს კარგად იცნობს. თუკი წერილი ოფიციალურ კორესპონდენციას წარმოადგენს, მიჩნეულია, რომ იგი დიპლომატიური მიმოწერის ისტორიის ნაწილია და ყველა ფორმით უნდა შეესაბამებოდეს მას.

ფრანგული ეპისტოლარული პროტოკოლით წერილის დასასრულს ცალკე, მოკლე აბზაცი ეთმობა დამშვიდობების თავაზიან ფორმულირებას, ეს საერთაშორისო ნორმაა და ყველა ქვეყანა იცავს ამ ეტიკეტს. მაგალითად:

„ბატონო მინისტრო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემის დასტური“ ან „წინასწარ გიხდით მადლობას იმ გულისხმიერებისთვის, რომელსაც ვიცი, გამოიჩენთ ამ საკითხთან დაკავშირებით. თქვენდამი ღრმა პატივისცემის დასტურად ქალბატონო მინისტრო, გთხოვთ მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები“.

ფრანგული პროტოკოლით დასამშვიდობებელი აბზაცი შეიძლება პირდაპირ კატეგორიული ტონითაც დავიწყოთ, თუკი საქმე ეხება ოფიციალურ მიმოწერას იერარქიული პირამიდის ქვედა დონეზე მყოფ სახელმწიფო მოხელეს:

„მიიღეთ ჩემი საუკეთესო, გულწრფელი სურვილები“. „გთხოვთ მიიღოთ ჩემი პატივისცემით სავსე მოკითხვა“. წერილი დასტურდება ხელმოწერით. (ჯავახიშვილი გ., კონსულტაცია).

დიპლომატიურ სფეროში მიღებულია ადრესის ფორმა, რომელიც გაფორმების განსაკუთრებული წესით გამოირჩევა. ადრესი სპეციალურ ქაღალდზე, გასაკუთრებული გაფორმებითა და კალიგრაფების ოსტატობით სრულდება. ადრესის ფორმა აქვს მისალოც ტექსტებსა და რწმუნებათა სიგელებს. გთავაზობთ რწმუნებათა სიგელის ტექსტებს, რომლებიც ზემოაღნიშნული წესითაა შესრულებული:

„ ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

ჩემი გადაწყვეტილების თანახმად, ბატონი პაატა კალანდაძე გამოწვეულ იქნა ყირგიზეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონმა პაატა კალანდაძემ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მისია, რათა განემტკიცებინა ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები.

გთხოვთ, მიიღოთ ბატონი პაატა კალანდაძის გამოსაწვევი რწმუნებათა სიგელი.

პატივისცემით,
დაამოწმა
თბილისი

საქართველოს პრეზიდენტი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
2012 წელი“.

(იხ.დანართი № 16).

თქვენი აღმავლობა,

მსურს რე ხელო შევქმნათ და განვმტკიცოთ მუდობრული რთიერთობები, რომელიც კეთილად ვითარდება საქართველოსა და ენჯლის ფუნქციონირებას დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. მე დავნიშნე ბტონი ბურხბ კატკატომილი საქართველოს სკანგებთ და სრულყოფილებინ ღრე.

ვამჯავ რე ბტონ ბურხბ კატკატომილს კონკრეტულს ამ იკვლით. ვთხოვთ მიიღოთ იგი კეთილგანწყობილად და ენჯლოთ ველაფუნში, რისი მთხსენების ზეტივიც ექნება მეს თვისი სხელომწიფოს საქართველოს სხელოთ.

ზეტივისტვით



საქართველოს სკანგეთ საქმეთა
მინისტრი

თბილისი

2012 წელი

ამრიგად, დიპლომატიური კორესპონდენცია თავისი დანიშნულებით, შინაარსით, ლექსიკითა და გაფორმების წესით ქართული ოფიციალური დოკუმენტებისაგან განსხვავდება და, ძირითადად, საქმისწარმოების საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს ეფუძნება. ამგვარ დოკუმენტებში მიმართვის ფორმა აღმატებულია და წერილის აუცილებელ კომპონენტად მიჩნეულია კომპლიმენტი, აგრეთვე ორი ქვეყნის ურთიერთობის გამომხატველი თავაზიანი ფორმულირებები.

თავი III

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი

თავისებურებები

ექსტრალინგვისტური ფაქტორები

ჩვენ მიერ მესამე თავში შემოთავაზებული მსჯელობა და გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენს წინადადებებსა და რეკომენდაციებს იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტაციის ენა, სტილი, გაფორმების წესი, რა თავისებურებებს ავლენს საქმის საბუთები და რით არის ეს განპირობებული. წარმოდგენილი მსჯელობა ეყრდნობა ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და ენობრივი ნორმების თანხვედრის, შესაბამისობის განხილვასა და ამ სფეროსათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით – განსხვავებას მათ შორის, რაც, საერთო ჯამში, განსაზღვრავს კიდევ ოფიციალური საქმისწარმოების ენას, სტილსა და ფორმას.

ოფიციალურ-საქმიანი სტილი სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც ემსახურება და ხელს უწყობს სახელმწიფო ენის დამკვიდრებასა და განვითარებას, მის სრულფასოვან ფუნქციონირებას ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანზე, როგორც სახელმწიფოს მართვაა. ენის ფუნქცია ამ სფეროში მრავალფეროვანია და ენობრივ სტრუქტურათა და გამომსახველობით საშუალებათა საგანგებო შერჩევას საჭიროებს. ოფიციალური ენა თვითონ ირჩევს ისეთ მახასიათებლებსა და გამომსახველობით ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება ამ სტილის დანიშნულებასა და ფუნქციას.

ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა ფუნქციური სტილის შექმნაზე უდავოა. სიზუსტე, სიცხადე, სტანდარტიზაცია, ლოგიკურობა, ლაკონიურობა, ობიექტურობა, განზოგადებისა და განყენებულობისაკენ სწრაფვა – ყველა ეს ნიშან-თვისება, ამავდროულად, ოფიციალური მეტყველების განმსაზღვრელი მოთხოვნებიც არის. ამასთან, გასათვალისწინებელია საქმიანი საბუთების თემატიკა და შინაარსი. თითოეული მათგანისათვის საერთო კრიტერიუმებია: ერთმნიშვნელობიანი, სემანტიკურად არაორაზროვანი და გამჭვირვალე ენობრივი საშუალებები. ამის გარდა, ნიშანდობლივია სპეციფიკური მახასიათებლებიც, რომლებიც სხვადასხვაგვარია სამართლებრივი აქტების, საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი წერილებისა თუ დიპლომატიური შინაარსის საბუთებისათვის: **სამართლებრივი აქტები** უკიდურესი სიმკაცრით, აკადემიზმითა და ობიექტურობით გამოირჩევა, მკაცრად განსაზღვრულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება და კანონის შესაბამის ჩარჩოშია მოქცეული. მისი ლექსიკა უაღრესად კონკრეტული და ნორმატიულია. **დიპლომატიური შინაარსის დოკუმენტები**: დაშიფრული დეკრეტები, ნოტები, კომუნიკეები, ადრესები და სხვ. საერთაშორისო ნორმებით დადგენილ ეტიკეტსა და თავაზიანობის ფორმებს ეყრდნობა და თავისი ხასიათით ინტერნაციონალურია, რაც აახლოებს სხვადასხვა ენათა ამ სახეობის მეტყველებებს. ამგვარი დოკუმენტებისათვის უცხო არ არის ემოციური ელემენტები, სტილურად შეფერილი ლექსიკა და სხვ.

საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთები მკაცრად განსაზღვრულ ფორმობრივ ნორმებს ეყრდნობა, მაგრამ მისი შინაარსი უკიდურესი სიმკაცრითა და აკადემიზმით არ გამოირჩევა. ამგვარ საბუთებში მთავარია აზრის გადმოცემის სიცხადე და ლაკონიურობა, თანამიმდევრულობა ან თანწყობის პრინციპი. ენობრივი გამოხატულების ოფიციალური, მაგრამ, სამართლებრივ აქტებთან შედარებით, უფრო სადა ლექსიკა.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის მიზანი და პირობები ისეთი ფაქტორებია, რომლებიც ამ სახის დოკუმენტების ჟანრობრივ დიფერენციაციას იწვევს. ზემოთ ჩამოთვლილი კლასიფიკაციის თითოეული სახე თავისი ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგალითად, სამართლებრივი აქტები: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება,

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, ბრძანებულება, განკარგულება, დადგენილება და ა.შ., ფორმოზრივად, ლექსიკითა და სტრუქტურით ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ ყველა მათგანის მეტყველებით-ტექსტობრივი სტრუქტურა საერთო კანონებს ემორჩილება, დადგენილი სტანდარტით ფორმდება, საიდანაც გადახვევა მიზანშეწონილი არ არის. ოფიციალურ-საქმიანი სტილის დაყოფა ქვესტილებად გამოწვეულია დოკუმენტის დანიშნულებითა და ხასიათით. სამივე ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ადრესატი განსხვავებულია და, შესაბამისად, განსხვავებულია აღქმა და კომუნიკაცია ადრესანტსა და ადრესატს შორის. ამასთანავე, დოკუმენტის დანიშნულება განაპირობებს მის ხასიათს, ლექსიკას, ფორმას, შინაარსს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ნორმატიული სამართლებრივი აქტების ერთი სახეობა – კანონი, გარკვეულ იურიდიულ ჩარჩოში მოქცეული დოკუმენტია, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მოქმედების განსაზღვრულ ნორმას აწესებს ან, ზოგიერთ შემთხვევაში, ქვეყნის მთავარ სამოქმედო კანონს წარმოადგენს. ის საყოველთაო მოქმედების დოკუმენტია და გათვალისწინებულია საზოგადოების ფართო მასების შესასრულებლად, თუმცა მისი პროფესიულ დონეზე წაკითხვა და განმარტება, მისი სათანადოდ აღქმა ხშირად მხოლოდ იურიდიული განათლების მქონე ადამიანებს შეუძლიათ. ასეთი ტექსტები ყოველთვის იურიდიული ლექსიკით, იმპერატიული ტონით, წინადადების განსხვავებული წყობითა და ტექსტის განსაკუთრებული სტრუქტურირებით გამოირჩევა. სამართლებრივი აქტები მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოშია მოქცეული და მკაცრად რეგლამენტირებულია. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ასეთი დოკუმენტების მეტყველებით-ტექსტობრივი კომპოზიციის თავისებურებაზე. შესაბამისად, ადრესატის დამოკიდებულებაც ასეთი დოკუმენტებისადმი განსხვავებულია. სამართლებრივი აქტების ზოგიერთი სახეობა: ბრძანებულება, განკარგულება, დეკრეტი, ბრძანება ასევე განკარგულებითი დოკუმენტებია, მაგრამ აღსაქმელად მარტივი და მისი მეტყველებით-ტექსტობრივი კომპოზიცია და, შესაბამისად, კომუნიკაცია ადრესანტსა და ადრესატს შორის გასაგები და ადვილია. ასეთივეა საქმიანი საბუთები: წერილი, მოხსენებითი

ბარათი, განმარტებითი ბარათი, აქტი, მოხსენება, ანგარიში, სამოქმედო გეგმა, ოქმი, ხელშეკრულება, დებულება, წესდება, მემორანდუმი, საინფორმაციო ბიულეტენი, ანოტაცია, თეზისები, რეკომენდაცია, განცხადება და მისთ.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელისა თუ კერძო კომპანიის ხელმძღვანელისათვის განკუთვნილი წერილი შესაბამისი აკადემიურობით, ლექსიკით, მიმართვის ფორმით გამოირჩევა, მაშინ, როცა მოქალაქე, ადეკვატური აღქმის მისაღწევად, ხშირად არანორმატიულ ხატოვანებასა და ემოციურ-ექსპრესიულობასაც მიმართავს. ამგვარ წერილებში ჭარბობს უშუალოების ელემენტები და მაღალია სუბიექტურობის ამპლიტუდა, რაც მიმართვის ფორმაშიც გამოიხატება. მაგალითად, მოქალაქეთა დიდი ნაწილი საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, სახელზე გაგზავნილ წერილებში მას ასე მიმართავდა: **“შვილო მიშა“, “ჩემო მიშა“, „ჩემი და ჩემი ოჯახის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს“, „ჩვენო უზენაესო და ყველაზე მხედართ მთავარო პრეზიდენტო“, „პატივცემულ პრეზიდენტს“, „საქართველოს, საქართველოში მცხოვრები გაჭირვებული თუ დაღბინებული ხალხის, მფარველო ანგელოზო“, „ჩემს პრეზიდენტს“, „ჩემო საყვარელო ბიჭო ჩემო მიშიკო“** და სხვ. (იხ.დანართი № 21). ამგვარი მიმართვები, გარკვეულწილად, დაბალი სოციალური ფენისა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოქალაქეების მიერაა შედგენილი, ასეთ წერილებში ადრესატის სავარაუდო აღქმა კომუნიკანტის სიტყვიერ ქსოვილშია მოცემული და, ამდენად, იგი სტილებრივი სტრუქტურის კომპონენტია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ-საქმიანი სტილი რთული კომპოზიციური სისტემაა, რომელიც ქვესტილების, სხვადასხვა ჟანრისა და ქვეჟანრისაგან შედგება, იგი მონოლითურია: ლოგიკურ-შინაარსობრივ და მეტყველებით-ტექსტობრივ კომპოზიციათა ხერხები, რომლებიც აქ გამოიყენება, ერთიანია მოცემული ქვესისტემებისათვის და მხატვრული თუ სასაუბრო მეტყველების შესაბამის ხერხებთან არის დაპირისპირებული.

საერთო ქმნის ერთი ოფიციალური სტილის ფარგლებში სტილურ ხასიათს, ხოლო განსხვავებული, რომელიც სტილისტიკურად რელევანტური არაა, ამავე ფარგლებში დანაწევრების საფუძველს იძლევა (კვარაცხელია, 1990, 23).

თანამედროვე ოფიციალური დოკუმენტების გადმოცემის ძირითადი ფორმაა მონოლოგი, კერძოდ: **აღწერა, თხრობა და მსჯელობა**. ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს კრიტიკულ-პოლემიკურიც, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისის შეფასებისა და საკუთარი კონცეფციის დასაცავად გამოიყენება. მონოლოგის ამ თითოეულ ტიპს თავისი ქვეტიპებიც აქვს. მაგალითად, აღწერის ქვეტიპებია: ვისამე ან რისამე აღწერა, დახასიათება არსებითი ნიშნების ჩამოთვლით და ა.შ. თხრობის ქვეტიპებია: კონკრეტული, განზოგადებული და ინფორმაციული. ასევე დიფერენცირებულია მსჯელობათა ტიპები. გადმოცემის საშუალებათა – აღწერა, თხრობა, მსჯელობა – გამოყენების ხვედრითი წილი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანი საბუთი იქმნება.

აღწერა, ჩვეულებრივ, მტკიცების ან დასკვნის საფუძველი უნდა იყოს, ამიტომ მნიშვნელოვანია, აღწერაში მკაცრად იქნეს ჩამოყალიბებული და განსაზღვრული საგნებისა და მოვლენების ურთიერთმიმართება, რათა შესაძლებელი იყოს მათი ურთიერთგანპირობებულობის დადგენა, რომელიც საკმარისი იქნება ამა თუ იმ დასკვნის გასაკეთებლად. ოფიციალური ტექსტის აგებასა და გაფორმებაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს მისი შინაარსობრივი კრიტერიუმებიც, შინაარსის თანამიმდევრულობა თუ დაპირისპირებულობა, რომელიც ლოგიკური დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ამგვარ ტექსტებში სრულიად დაუშვებელია ალოგიზმები, რაც მხატვრული და სასაუბრო მეტყველებისათვის ასე დამახასიათებელია. გადმოცემის **აღწერითი** ფორმა ძირითადად ისეთი სამართლებრივი დოკუმენტებისათვისაა აუცილებელი, როგორცაა: განაჩენი, განჩინება, გადაწყვეტილება, აგრეთვე, დასკვნა, რაიმე სამართლებრივი თუ სახელმწიფო დანიშნულების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებლად შეიცავს (მოითხოვს) გარკვეული ქმედების აღწერას და ეს ფორმა მისი განუყოფელი და აუცილებელი კომპონენტია.

ოფიციალური დოკუმენტებისათვის – სამართლებრივი აქტების, ოფიციალური წერილის, მოხსენებითი ბარათის, განმარტებითი ბარათის, განცხადების, დიპლომატიური საბუთების, სამძიმრისა თუ მისალოცი წერილებისათვის – უფრო მეტად მისაღები ფორმაა **თხრობა**. ეს იმით არის განპირობებული, რომ ოფიციალურ-

საქმიანი ურთიერთობის მიზანია ინფორმაციის ლოგიკური ორგანიზება და გადაცემა, ახალი გადაწყვეტილებებისა თუ ინფორმაციის გავრცელება. ამასთან, მას ახასიათებს სოციალურ-შემფასებლური ორიენტაცია და ზემოქმედება-დარწმუნების ფუნქცია, რადგან კომუნიკაციის ადრესატი ფართო საზოგადოებაა. **მსჯელობა** თეორიული ხასიათის საქმიანი საბუთების – ანგარიშის, ანალიტიკური მასალის, მიმოხილვისა და მისთ. – გადმოცემის მეთოდია. ამგვარი საბუთები, ძირითადად, ოფიციალურ დოკუმენტს ერთვის და დაწვრილებით მიმოხილავს, განმარტავს ამა თუ იმ პრობლემასა და არსებულ ვითარებას. დასაბუთება და განსჯა მსჯელობის ლოგიკური წანამძღვარია. მსჯელობა ყოველთვის თანმიმდევრული და არგუმენტირებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ მეტყველებაში მონოლოგი გაბატონებულია, იგი გადმოცემის ერთადერთი ფორმა არ არის. ზოგიერთ დოკუმენტში – ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება, მემორანდუმი შესაბამისი ფორმით ხორციელდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ერთი აზრიდან მეორეზე გადასვლა და ეს სიძნელეს არ წარმოადგენს. გადმოცემის აღნიშნულ ფორმას ისეთი ნიშნებიც აქვს, რომლებიც ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი არ არის: ემოციურობა – ექსპრესიულობა, სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი წინადადებები და ა.შ. ამგვარი ფორმა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ნათლადაც კი ავლენს აზრის განვითარების თანმიმდევრულობას, მის ლოგიკას.

ამრიგად, გადმოცემის მეთოდები საქმიანი დოკუმენტების რაგვარობით არის განპირობებული და ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და სტილისტიკურ ელფერზე, საბუთის მთელ აღნაგობაზე აჩენს კვალს.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის, როგორც სისტემის, შემადგენელი ენობრივი ერთეულების დაყოფა შესაძლებელია შემდეგ ტიპებად: 1. ერთეულები, რომლებსაც ტრადიციულად ფუნქციურ-სტილისტიკური შეფერილობა აქვთ: ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციები, იშვიათად – მორფოლოგიური. 2. სტილისტიკურად ნეიტრალური ენობრივი ერთეულები, რომლებიც თანაბრად ახასიათებს ყველა სტილს, რის გამოც მათ ინტერსტილური შეიძლება ეწოდოს. 3. სტილისტიკურად ნეიტრალური, მაგრამ ისეთი ელემენტები, რომლებიც უპირატესად ოფიციალურ-საქმიან სტილში ფუნქციონირებენ.

ისინი აღნიშნულ სტილში რაოდენობრივად არის მარკირებული: მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური სტერეოკონსტრუქციები, მყარი სპეციფიკური გამოთქმები, სპეციფიკური კავშირები და ა. შ.

საქმიანი დოკუმენტების შინაარსი, სტილი და დანიშნულება მოითხოვს გადმოცემის სიზუსტეს, ლაკონიურობასა და განზოგადებას, შესაბამისად, ასეთი საბუთები დაცლილია ემოციური და ექსპრესიული შინაარსისა და ლექსიკისაგან, ხატოვანი საშუალებები აქ მხოლოდ ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება განვიხილოთ. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მთლიანად გამორიცხავს ასეთ საბუთებში მხატვრული ხერხების: მეტაფორის, ეპითეტის, მხატვრული შედარების, აფორიზმებისა და სხვ. გამოყენებას. თუ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები ძირითადად განზოგადებული შინაარსის გადმოცემა და უპირატესობა გაუპიროვნებულობას ენიჭება, შესაბამისად, ემოციურ-ექსპრესიული ფონი ასეთი შინაარსისათვის სრულიად მიუღებელია. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ექსპრესიულ-ემოციური და ხატოვანი ელემენტები, რომლებიც ამ სტილის დამახასიათებელი ნიშნები კი არ არის, არამედ თანმხლები ფაკულტატიური მოვლენებია და მათი გამოყენება მხოლოდ გარკვეული ტიპისა და დანიშნულების საბუთებისთვისაა დამახასიათებელი და მისაღები. ეს, პირველ რიგში, დიპლომატიური ხასიათისა და შინაარსის საბუთებს ეხება, რადგან აქ დიპლომატიური ეტიკეტის დაცვა აუცილებელი პირობა და საერთაშორისო ნორმაა, განსაკუთრებით აღმატებული მიმართვის ფორმები და სტილი გამოიყენება მაღალი რანგის, განსაკუთრებით სამეფო ტიტულის მქონე, ოფიციალური პირებისადმი მიმართვისას. ასეთი დანიშნულების მთელი ტექსტიც განსაკუთრებული ეტიკეტით, შესაბამისი ლექსიკითა და თავაზიანობით უნდა გაფორმდეს, რაც თავისთავად ემოციურ-ექსპრესიულ მომენტსაც გულისხმობს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებიც, რომლებშიც, შინაარსიდან და დოკუმენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აქცენტი კეთდება ფაქტზე და შესაბამისად წინ მოდის პროცესის შესაბამისი ზმნა: „გათავისუფლდეს“ ან „დაინიშნოს“. ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში

ოფიციალური პირის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ გამოცემული ინფორმაცია, უდავოდ, გარკვეული ემოციური მუხტის მატარებელია. მაგალითად:



“საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N333

27 დეკემბერი, 2006

ს. კვიციანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს საბა კვიციანი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

ზურაბ ნოღაიდელო”

(საქართველოს მთავრობის ვებგვერდი).

„ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №1583

... **დაინიშნოს** დავით ჯალაღანია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ 2012 წლის 5 ნოემბრიდან.

09.11.12. ბიძინა ივანიშვილი“

(საქართველოს მთავრობის ვებგვერდი).

თხრობის გაუპიროვნებულობის კრიტერიუმი ოფიციალური სტილისათვის ნორმად ითვლება, თუმცა ზოგიერთი სიტყვისა და გამოთქმის აქტივაციით შესაძლებელია ასეთ დოკუმენტებში გარკვეული ეფექტი, დამოკიდებულება, ემოციური მუხტი გაჩნდეს. ოფიციალური სტილისათვის ნიშანდობლივია ამგვარი სპეციფიკური ხასიათის ექსპრესიულობა, რომელიც გამოხატულია ინტენსივობის გამომსახველი ლექსიკით: **სავსებით, საკმაოდ, ჩვეულებრივ, ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, ჩვენი აზრით, რასაკვირველია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და სხვ.** ასეთი გამოთქმები მისაღებია, რადგან უფრო ინტელექტუალურ ექსპრესიას უკავშირდება. ეს კლიშე-ფრაზები,

ხაზგასმა, განზოგადებული გამოთქმანი დოკუმენტში წარმოდგენილი შინაარსის ხაზგასმა, ფაქტის კონსტატაცია, ყურადღების მიპყრობა.

ემოციურ-ექსპრესიულ საშუალებებს მიმართავს სახელმწიფო მოხელე, როდესაც პირად ოფიციალურ წერილს გამოსცემს სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან თუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთი შინაარსის წერილები, მიმართვები, მილოცვები, სამძიმრის წერილები ყოველთვის გამოირჩევა სათქმელის ექსპრესიულობით, ხატოვანი გამოთქმებით, ზოგჯერ ლირიკული გადახვევებითაც კი ამა თუ იმ ადამიანის ღვაწლის შეფასებისას და ეს სრულიად ბუნებრივია (იხ. გვ.133-134).

გარკვეული ემოციური დატვირთვის მატარებელია დაჯილდოებისა თუ დასჯის სანქციის შემცველი დოკუმენტები. ამგვარ დოკუმენტებში ყოველთვის გამოყოფილი და ხაზგასმულია მასში აღნიშნული ემოცია. ასეთივე მუხტს შეიცავს სამართლებრივი დოკუმენტები, განსაკუთრებით სასამართლოს განაჩენის, განჩინებისა თუ გადაწყვეტილების აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილები.

“საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

N 16/01/01 2015 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი

ილია კარტოზიას მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“

დაჯილდოების შესახებ

სამაგალითო სამოქალაქო თავდადებისა და გმირობისათვის, განსაკუთრებული პიროვნული მამაცობის გამოვლენისათვის მცხეთის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია დაჯილდოვდეს მედლით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ (გარდაცვალების შემდეგ).

გიორგი მარგველაშვილი”

(საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი).

ოფიციალურ დოკუმენტებში ექსპრესიულ საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება არაემოციურსა და, მით უფრო, არასუბიექტურ-ემოციურ სფეროს, არამედ ინტელექტუალურ ექსპრესიას, რაც ამა თუ იმ აზრის, დებულების მნიშვნელოვნების ხაზგასმას ემსახურება. ამ მიზნით გამოყენებულია კლიშე-ფრაზები, შრიფტი, ხაზგასმა,

წერილის კალიგრაფიული ოსტატობით შესრულება და ა.შ. სპეციალური ადრესი, რომელიც საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით მზადდება, ხშირ შემთხვევაში, კალიგრაფის მიერაა შესრულებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთივე წესით ფორმდება დიპლომატიური რანგის მოხელეების წარდგენისა თუ უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ შედგენილი წერილები.

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის მორფოლოგიური თავისებურებები

სახელები

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის დახასიათებისას, პირველ რიგში, საყურადღებოა მეტყველების ნაწილთა მნიშვნელობა და განაწილება ტექსტში, მათი ურთიერთობა სხვა მეტყველების ნაწილებთან, აგრეთვე ისიც, გამოყენების თვალსაზრისით მეტყველების რომელი ნაწილია უპირატესი, რა ფორმით არის წარმოდგენილი და საქმიან საბუთებში რა თავისებურებებს გვიჩვენებს.

ოფიციალური დოკუმენტების შინაარსისა და დანიშნულების გათვალისწინებით, გამოყენების მიხედვით დომინირებს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და სახელზმნა. ეს ენობრივი ერთეულები სტატისტიკურად ყველანაირ ტექსტში სჭარბობენ სხვა ლექსემებს, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი შედგენილი შემასმენლისა და აღწერილობითი ვნებითის სახელადი ნაწილებიცაა. საქმიან საბუთებში ზმნის დესემანტიზაცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სახელების აქტიურობასა და დომინანტობას. მაგალითად:

„ტერიტორიაზე განთავსებულია საცხოვრებელი კომპლექსი, სარეაბილიტაციო ცენტრი, მრავალპროფილიანი საწარმოო შენობა, სპორტული მოედნები, სპორტული დარბაზი, ღია ეზო, შეხვედრების ოთახი, სასადილო, საკონფერენციო დარბაზი, მაღაზია, კომპიუტერული კლასი, სამედიცინო ცენტრი, მოსასვენებელი ოთახი და ბიბლიოთეკა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„2014 წლიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტებს და მიზნად ისახავს პოლიციის საქმიანობაში კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპების განმტკიცებას” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„მდგრადი განვითარება არის მომავლის გზა, რომელიც გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის, სოციალური სამართლიანობის, გარემოს დაცვისა და მტკიცე მმართველობის გეგმას“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15.).

“საქართველოს ელექტროენერჯის სექტორში განხორციელდა ძირეული ცვლილებები, რომელთა მიზანიც ღია, ლიბერალური და კომერციულად სიცოცხლისუნარიანი ენერჯეტიკის სექტორის შექმნაა” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15.).

„ პროცესი მიმდინარეობდა სპეციალური კომისიის მეთვალყურეობით, რომელშიც შედიოდნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, შს მინისტრი, იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი, სახალხო დამცველი, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი, წარმომადგენელი და არასამთავრობო სექტორის სამი წარმომადგენელი“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„დაისახა შრომის ბაზრის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ძირითადი მიმართულებები და შესაბამისი ღონისძიებები“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

“ხელი მოეწერა კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულებას სომხეთთან, ისრაელსა და ესტონეთთან” (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„პოლიტიკური პარტიებისათვის უზრუნველყოფილია თავისუფალი და კონკურენტული მედიაგარემო, რომელიც ყოველგვარი სახელისუფლებო ჩარევის გარეშე აშუქებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

როგორც ოფიციალურ ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, საქმიან საბუთებში სახელები მნიშვნელოვნად აღემატება ზმნას, რა თავისებურებებით გამოირჩევიან ეს ენობრივი ერთეულები? ოფიციალურ დოკუმენტებში სახელები უფრო განყენებულ-

განზოგადებული მნიშვნელობისაა, რამდენადაც განზოგადოება საქმიანი საბუთების მთავარი დანიშნულებაა, ყველა ამგვარი დოკუმენტი, ძირითადად, ფართო საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი და კონკრეტული ადრესატი მას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ჰყავს. არსებით სახელებთან ერთად, ნიშანდობლივია ზედსართავებისა და მიმღობათა სიჭარბე, რომლებიც თვისებას გამოხატავს. თვისება ზოგადდება და განყენებული ხდება სპეციფიკური მაწარმოებლების საშუალებით, მაგალითად: გამჭვირვალობა, ეფექტურობა, ობიექტურობა, ინტენსიურობა, მეთოდურობა, პერიოდულობა, პრაგმატულობა, ხელმისაწვდომობა, მიუკერძოებლობა, გარდაუვალობა, დაუშვებლობა, ხელშეუხებლობა, თანასწორუფლებიანობა, ერთხელისუფლებიანობა, ალბათობა, თავსებადობა და მისთ. მაგალითად:

„აღნიშნული უზრუნველყოფს ნატოსთან **თავსებადობის** ხარისხის გაზრდას და შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“**გამჭვირვალობა**, საჯარო ინფორმაციის **ხელმისაწვდომობა** და საჯარო ინსტიტუტების **მიუკერძოებლობა** არის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც განაპირობებს მთავრობის **ეფექტიანობას**” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15.).

“განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ... მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების **ხელშეუხებლობის**, დანაშაულისათვის სასჯელის **გარდაუვალობისა** და პოლიტიკური ნიშნით დევნის **დაუშვებლობის** მიმართულებით” (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

სახელისა და ზმნის ამგვარი თანაფარდობა ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოფიციალურ ტექსტებში უმთავრესია მოვლენის, საკითხის აღნიშვნა და არა მოქმედების გადმოცემა, რაც ზმნის გამოყენებას მოითხოვს. ოფიციალურ-საქმიანი სტილი ამ თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება მხატვრული მეტყველებისაგან.

ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეთა გამოსვლებსა თუ ანგარიშებში, სხვადასხვა სიტყვის გამოყენება გარკვეულად შეზღუდულია, სინონიმური შენაცვლებები ნაკლებად გვხვდება, ძირითადად ერთი და

იმავე სიტყვების მრავალგზისი გამოყენების ხარჯზე მიმდინარეობს ტექსტის აგება. მაგალითად:

„ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ კოალიციის სხვა წევრებთან ერთად... რათა **გლობალური წესრიგი და გლობალური სიმშვიდე დამყარებულიყო**“ (პრეზიდენტის სიტყვა, 17.03.14.).

“თქვენ ხართ ადამიანები, ვინც საქართველოს დროშა გაიტანა ISAF-ის **მისიაში** და ამ **მისიაზე** საუბრისას... ქართველის გული ძგერს და ივსება სიამაყითა და სიყვარულით“ (პრეზიდენტის სიტყვა, 17.03.14.).

„იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მდგრადი **მომავალი და მომავალ** თაობებს შევუნარჩუნოთ ჩვენი პლანეტა, აუცილებელია დღესვე გადავდგათ შესაბამისი ნაბიჯები“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 28.09.15.).

“ჩვენ განვიხილავთ კანონს **გენდერული** თანასწორობის შესახებ, რათა დავუახლოვოთ **გენდერული** უთანასწორობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმები ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც ახლახან მივიღეთ“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 27.09.15.).

“ ჩვენ ვაგრძელებთ და ვავითარებთ მიმდინარე **პროექტებს**, რომლებიც დაიწყო ჯერ კიდევ შევარდნამის მთავრობის დროს და გაგრძელდა სააკაშვილის პერიოდში. ამ **პროექტებს** ჩვენ ახალი იმპულსი მივცით – ესენია **სატრანზიტო პროექტები**, რომლებიც რეგიონში ხორციელდება“ (პრეზიდენტის სიტყვა, 07.10.14.).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოქმედების სახელები მრავლობით რიცხვს არ აწარმოებენ, მაგრამ ზოგჯერ ესენიც შეიძლება შეგვხვდნენ ამ ფორმით. ეს მაშინ ხდება, როდესაც აღნიშნული ენობრივი ერთეულები ზმნასთან გაწყვეტენ კავშირს და გასუბტანტივდებიან. ამგვარი სახელები ზოგჯერ მრავლობითის ორივე ფორმასაც აწარმოებენ: **შენიშვნა - შენიშვნები- შენიშვნათა; მიდგომა - მიდგომები- მიდგომათა** და მისთ.

„აღნიშნულ სფეროში ახალი **მიდგომები** შეიმუშავა საფრანგეთმა, რომელიც 2015 წლიდან იწყებს სრულიად ახალ და არსებითად განსხვავებულ მოდელზე გადასვლას, რაც გულისხმობს ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელებას უშუალოდ

სამართალდამცავი ორგანოების მიერ მობილური ოპერატორების მონაწილეობის გარეშე“ (მთავრობის კომენტარები , 05.15.).

„საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, მოტივირებული **შენიშვნებით** გიბრუნებთ საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 17 ივლისს მიღებულ და ხელმოსაწერად გადმოცემულ საქართველოს ორგანულ კანონის პროექტს“ (პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები).

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა უპირატესობას ებიანი მრავლობითის ფორმას ანიჭებს. ოფიციალურ დოკუმენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქმიან საბუთებში თითქმის არასდროს გამოიყენება ნარიანი მრავლობითი, თანიანი მრავლობითი კი ამგვარი საბუთებისათვის ნიშანდობლივია. ეს იმითაც არის გაპირობებული, რომ სამ თანიან ბრუნვაზე მოდის დიდი ფუნქციური დატვირთვა, არამახლოდ ფუნქციური. მხედველობაში გვაქვს სტილური შეფერილობის ერთი ნიუანსი: როდესაც ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სიმრავლეში სახელთა ასეთი სიჭარბეა, თვალი, ყური და გონებაც ერთგვარად ისვენებს ებიანი და თანიანი მრავლობითების მონაცვლეობით, რაც არღვევს ერთგვარ ფორმათა მონოტონურობას. გვაქვს რამდენიმე საარგუმენტო ფაქტორი: პირველი – საქმიანი საბუთების სტილი, კონტექსტი, ხშირ შემთხვევაში, თანიან ფორმას უფრო იხდენს, ის უფრო მოსახერხებელია კონკრეტული დოკუმენტის კონკრეტული კონტექსტისათვის, მეორე – როდესაც ერთად თავს იყრის რამდენიმე მრავლობითი ფორმა, მაშინ ზოგიერთის შენაცვლება თანიანი ფორმით ხდება, მესამე – როდესაც მყარ შესიტყვებებთან გვაქვს საქმე, ასეთ შემთხვევებში თანიანი ფორმა ერთადერთი და უალტერნატივოა, მაგალითად:

„ჩვენ განვახორციელეთ პროექტები, რომელთა მიზანია სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა, მიწით სარგებლობის ეფექტიანობის გაზრდა და მიწების კონსოლიდაცია, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15.).

„დონორთა დახმარებით მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ, აშშ-ის განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ იმერეთის

რეგიონში ხორციელდება 22 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი რეაბილიტაცია” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„სამეკავშირეო მექანიზმის შუამდგომლობით განხორციელდა ევროსაბჭოს მიერ დაფინანსებული ნდობის აღდგენის პროექტები, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდა შეხვედრები და ერთობლივი სასწავლო ვიზიტები ევროპაში” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ცვლილებები ითვალისწინებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სრულ ინტეგრაციას სამინისტროში, სამოქალაქო და სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელთა დიფერენციაციას, პატიმართა კლასიფიკაციის ახალ სისტემას, თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების წესს, სოციალური სამსახურის დამოუკიდებლობას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გაძლიერებასა და ა.შ.“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„2014 წლის 26 მარტს და 17 ივნისს ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებათა 27-ე და 28-ე რაუნდები. 28-ე რაუნდზე დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვისას საქართველოს დელეგაციამ წინ წამოწია ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებთათვის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები – ადამიანის უფლებების დაცვა, ჰუმანიტარული ვითარება...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„მუშავდება აღნიშნული კლინიკების სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ მართვის ერთიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მნიშვნელობის კლინიკების მართვის ეფექტიანობისა და პაციენტთა დაცვის მექანიზმების გაძლიერებას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„სახელმწიფოს ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს მიგრაციის, ლტოლვილთა და რეპატრიაციის საკითხთა მოგვარება, გაორმაგდა თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„პატიმართა და თავისუფლებააღკვეთილ პირთა კვებითი უზრუნველყოფის სრულყოფისათვის შეიქმნა კვების ახალი სტანდარტი სხვადასხვა ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მსჯავრდებულთათვის“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამის მხარდაჭერის მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოსათვის დაამტკიცა ახალი პროგრამა...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ჩამოყალიბდა დონორების კოორდინაციის სტრატეგია, რომელიც მოიცავს კოორდინაციის სხვადასხვა მექანიზმს, ისეთს, როგორცაა მაღალი დონის საკოორდინაციო ფორუმი, სექტორული საკოორდინაციო შეხვედრები და საგარეო დახმარების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელიც საგარეო დახმარების ფართო ანალიზის საშუალებას იძლევა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„გამარტივდა გადასახადების გადახდა ელექტრონული გადახდის სისტემების და გადასახადის გადამხდელთათვის მეტი სერვისის მიწოდებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„აღნიშნული პროექტის განხორციელებით სეზონის გახსნა აღარ იქნება დამოკიდებული ამინდზე, რაც სასრიალო სეზონის, დამსვენებელთა რიცხვისა და კურორტის შემოსავლიანობის გაზრდას გამოიწვევს“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„2013 წელს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების (EMSA) სააგენტოს მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, ევროკომისიამ აღიარა ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„სადისციპლინო კოლეგია გაიმიჯნა საბჭოსაგან და დაკომპლექტდა მოსამართლე წევრებითა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით, რამაც საფუძველი შეუქმნა კოლეგიის მიუკერძოებლობას მოსამართლეთა დისციპლინური დევნის განხორციელების პროცესში“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს აღნიშნული რგოლების მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ითვალისწინებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შექმნას შესაბამისი მუნიციპალიტეტების თანამდებობის

პირთა (გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე) შემადგენლობით” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„... გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრები, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული *ჭრილობების* შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, 2014 წლის მდგომარეობით - სულ 2155 პირი იღებს სახელმწიფო კომპენსაციას 500 ლარის ოდენობით” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„გაეროს **ბავშვთა ფონდის** დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიისა (ფორმულის) და ადმინისტრირების სქემის გადახედვა/დახვეწის მიმართულებით...” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

როდესაც წინადადება შერწყმულია, -ებიანი და -თანანი მრავლობითის შენაცვლების საჭიროება არ დგას, ამგვარ შემთხვევებში ყველა ერთგვარი წევრის ერთი მრავლობითი ფორმით წარმოდგენა უხერხულობას არ იწვევს:

„დევნილებთან ერთად, სამინისტროს ბენეფიციარები არიან ეკომიგრანტები, ლტოლვილები, რეპატრიანტები და მიგრანტები...” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ზედსართავ სახელთა გამოყენების მიხედვით ოფიციალურ-საქმიანი სტილის სტატისტიკური მაჩვენებელი ორჯერ აღემატება მხატვრულისას, ერთი მხრივ, ეს იმით აიხსნება, რომ ზედსართავი სახელი აქტიურად მონაწილეობს ტერმინოლოგიურ შესიტყვებებში, მეორე მხრივ, კი ახასიათებს და აზუსტებს მოვლენას, რაც, სავარაუდოა, ამგვარ საბუთებში იწვევს კიდევ ზედსართავთა სიჭარბეს. ზედსართავი სახელებიდან ბევრად უფრო ხშირია მიმართებითები. აღწერითი თხრობისას ზოგჯერ გამოიყენება ვითარებითი ზედსართავი სახელები. მაგალითად:

„ანალიზმა ცხადყო, რომ **არაცენტრალიზებული** მუშაობა **არაეფექტიანი** იყო; იგი ვერ უზრუნველყოფდა **ობიექტურ**, **მიუკერძოებელ** და **რეალურ** ინფორმაციას დანაყოფების პერსონალისა და არსებული გარემოებების შესახებ“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„ამუშავდა სამხედრო მოსამსახურეების შერჩევისა და დაწინაურების **ახალი, გამჭვირვალე ...** სისტემა“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„შეიქმნა ჯგუფი, რომელიც დეტალურად სწავლობს **უახლესი** წარსულის ომებისა და საბრძოლო მოქმედებების გამოცდილებას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„საქართველოს **ახალი** მთავრობის პოლიტიკა მიმართულია კონფლიქტების მოგვარების **მშვიდობიანი, კონსტრუქციული, გახსნილი და პრაგმატული** პოლიტიკისკენ...“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„**აქტიური** მუშაობა მიმდინარეობს პროფესიულ შეიარაღებულ ძალებზე გადასვლის სამოქმედო გეგმასა და შესაბამის ფინანსურ გათვლებზე“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებს **მჭიდრო** თანამშრომლობას პარტნიორ-სახელმწიფოებთან...“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ ... რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების, წვრთნისა და აღჭურვისათვის აუცილებელი რესურსების **ეფექტიანი** დაგეგმვა და გადანაწილება“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„**მნიშვნელოვანი** ნაბიჯები გადაიდგა: შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწისათვის“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

ოფიციალური-საქმიან დოკუმენტებში დასტურდება ხარისხის ფორმები, განსაკუთრებით ნიშანდობლივია რთული ფორმების – **უფრო, მეტად, ნაკლებ, ყველაზე, უფრო ზუსტი, ნაკლებ ეფექტური, ყველაზე ხშირი** და მისთ., გამოყენება, რომლებსაც შემფასებლური ფუნქციაც აკისრიათ. მაგალითად:

„ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთი **უმთავრესი** და **უმნიშვნელოვანესი** რეფორმა, რომელსაც საქართველოს მთავრობა გეგმავს, თვითმმართველობის რეფორმა“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

“სასჯელალსრულების სამინისტროში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში იგეგმება პირთა მოთავსების, რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი განახლებული სისტემის შექმნა, რომელიც **უფრო მეტ მონაცემს** მოიცავს და დასამუშავებლად იოლი იქნება” (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„რეფორმის შედეგად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახური ინტეგრირებული იქნება სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, რაც **კიდევ უფრო ეფექტურს** გახდის მის ფუნქციონირებას“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„ეს ინიციატივა რეგიონებში **ყველაზე მნიშვნელოვანი** ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარებას შეუწყობს ხელს“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლის ივლისში განხორციელებულ ცვლილებებზე, რათა კოორდინატორებმა **უფრო ეფექტურად** შეძლონ დაზარალებულის უფლებების პრაქტიკაში რეალიზება“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

არცთუ იშვიათად ზემოთ განხილული შინაარსის დოკუმენტებში შემფასებლობის ინერციით გამოიყენება აგრეთვე ზედსართავი სახელი ვითარებით ბრუნვაში, რომელიც უახლოვდება ვითარებით ზმნიზედას:

„**მუდმივად** მიმდინარეობს კონსულტაციები უცხოელ პარტნიორებთან/ კონსულტანტებთან“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„**რეგულარულად** იმართება თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრები თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებთან“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ჯგუფებს მინისტრი და მინისტრის მოადგილეები **პერიოდულად** ხვდებიან და სამინისტროს მიერ მომზადებულ კონცეპტუალურ დოკუმენტებსა და მიმდინარე რეფორმებს აცნობენ“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„სამუშაო პროცესში სამინისტრო საქართველოს რეგიონებში **ინტენსიურად** მართავდა შეხვედრებს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან, ისე არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებთან“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ დამატებით, წლის ბოლომდე დასაწყობდება 66 კონტეინერი. **მთლიანად**, წელს, ოქტომბრის ბოლომდე მოხდება 170-მდე კონტეინერის დასაწყობება, ხოლო 2014 წლიდან დაიწყება ახალი საბაგრო გზების დამონტაჟება“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ფონდი მუდმივად, გარკვეული პერიოდულობით, ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაწესებულებების (თავშესაფრები) საქმიანობის მონიტორინგს...“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

ოფიციალურ დოკუმენტებში ნაცვალსახელთა გამოყენება სხვადასხვაგვარია და თავისებურებებით გამოირჩევა. ამ მხრივ განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ სამართლებრივი აქტები და საქმიანი საბუთები. დოკუმენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სამართლებრივ აქტებში მნიშვნელოვნად შეზღუდულია ნაცვალსახელთა გამოყენება, რაც შეიძლება აიხსნას ამ სახის საბუთების ზედმიწევნით მშრალი, ლაკონიური ხასიათით, აკადემიური სტილითა და უექსპრესიო ლექსიკით, რაც ნაცვალსახელების გამოყენების ან სახელების ჩანაცვლების საჭიროებას არც მოითხოვს (და ვერც იგუებს). სამართლებრივ აქტებში ყველაზე ხშირად დასტურდება ჩვენებითი – **ეს, ამ**, ნაცვალსახელი, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობას ან რაგვარობას უსვამს ხაზს, იშვიათად გვხვდება მესამე პირის (მხოლოდითი, მრავლობითი, ძირითადად, მეორე – -თანინი), იშვიათად კუთვნილებითი ნაცვალსახელი და მიმართებითი, როგორც დამაკავშირებელი საშუალება. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები სამართლებრივ აქტებში არ დასტურდება. მხოლოდ ბრძანებაში, აქტში, მემორანდუმსა თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული მანიფესტანტი სიტყვა – „ვბრძანებ“, „ვდებთ“ ან „გავაფორმეთ“ – შეიცავს პირველი პირის გაგებას. მაგალითად:

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**“ (მინისტრის ბრძანება №27, 14.09.15.).

„**ეს** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“ (აფხაზეთის მთავრობის დადგენილება №29, 25.09.15.).

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტომ უზრუნველყოს **ამ** დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო

უსაფრთხოების ეროვნული გეგმის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება“ (მთავრობის დადგენილება №508, 24.09.15.).

“საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება“ (მთავრობის განკარგულება №2100, 28.12.12.).

“საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შესაბამისი ცვლილება“ (მთავრობის განკარგულება №2043, 24.12.12.).

„საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადოს წინადადებანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ იმ პირთა მიმართ, რომლებიც გააყალბებენ სინჯის აღმნიშვნელ დამღებს ძვირფას ლითონებსა და ამ ლითონებისაგან დამზადებულ ნაკეთობებზე და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ან მათი შემცველი ნაკეთობების მიღების, ხარჯვის, აღრიცხვის, შენახვის, დადგენილი წესების დარღვევის გამო არსებული სანქციების გამკაცრების შესახებ“ (პრეზიდენტის ბრძანებულება, 09.12.96.).

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული ინფორმაცია, სესხის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად“ (მთავრობის განკარგულება № 2036, 23.09.15.).

„ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში“ (კომისიის დადგენილება №46/2015, 21.09.15.).

საქმიანი საბუთებში კი ჭარბადაა სხვადასხვა შინაარსის, პირისა და რიცხვის ნაცვალსახელები. უპირატესობა მაინც ჩვენებით, მიმართებით, როგორც დამაკავშირებელ საშუალებასა და პირის (უპირატესად მესამე პირის, მხოლოდით/

მრავლობითი რიცხვის) ნაცვალსახელებს ენიჭება. იშვიათია კითხვითი ნაცვალსახელების გამოყენება.

„მნიშვნელოვანია, რომ ეს შენობა არის ქართულ-პოლონური ურთიერთობის ნაწილი, იმ ერთან ურთიერთობის ნაწილი, რომელთანაც ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს და დიდი პერსპექტივაც გვაქვს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 05.12.14.).

„პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ყველა რეგიონში ნეგავს ფსიქოსოციალურ სერვისებს, რაც ხელს შეუწყობს პრობაციის რეაბილიტაციას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ამ ვალდებულებების განხორციელება არამხოლოდ ჩვენი დასავლური ინტეგრაციის საწინდარია, არამედ ევროპული საქართველოს საფუძველია. მის განხორციელებაში ბუნებრივია საქართველოს პარლამენტს განსაკუთრებული როლი ენიჭება (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11 14.).

„დანამაშის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა საპატრულო ეკიპაჟების რაოდენობა“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ეს სისტემა უცხოელთა შესახებ სხვადასხვა უწყებაში არსებულ ინფორმაციას შეაგროვებს და გამოავლენს იმ პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ქვეყანასი ყოფნის კანონიერი საფუძველი“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ეს პროექტები, მჯერა, ძალიან საინტერესო იქნება...“ (პრეზიდენტის სიტყვა, 05.12.14.).

„ქვეყნის მთავარმა პროკურორმა რეალურად შეიძინა ის უფლებამოსილებები, რომლებიც ამ თანამდებობას შეესაბამება“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ამ ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელი გახდება უფრო ზუსტი და ყოვლისმომცველი ანალიტიკური მასალების მომზადება როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე მისი აღსრულებისა და შესრულების ანგარიშის წარმოების პროცესში“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„მიმდინარე წელს განხორციელდა სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაცია – იგი დაექვემდებარა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი დანიშნულება“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

წარმოვადგენთ ჩამოთვლილ ნაცვალსახელთა მხოლოდ იმ თავისებურებებს, რომლებსაც საქმიან საბუთებში ხშირად ვხვდებით;

მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს – თქვენ – ორმაგი დანიშნულება აქვს, პირის აღნიშვნასთან ერთად ის თავაზიანობის გამომხატველი საშუალებაა. საქმიან საბუთებში სწორედ ეს კონტექსტია ყველაზე მიღებული. დღეს ყველა ოფიციალური დოკუმენტი სწორედ ამ ნიშნით ფორმდება. თავაზიანი მიმართვა შემოვიდა ევროპულიდან, სადაც გაჩენილია ლათინურის გავლენით, (ფეიქრიშვილი, 1992,100). ნათესაობით ბრუნვაში, პასიურ კონსტრუქციებში, **თქვენ** პირის ნაცვალსახელს ყოველთვის დაერთვის თანდებული. საქმიანი მიმოწერისთვის განკუთვნილი საბუთებისათვის ნიშანდობლივია ფორმა **თქვენ მიერ**, ზოგჯერ, გარკვეულ კონტექსტში, **ჩვენ მიერ** ფორმაც გამოიყენება, მაგალითად: „**თქვენ მიერ** წარმოდგენილი წერილის პასუხად გაცნობებთ...; „**ჩვენ მიერ** შესწავლილ იქნა აღნიშნული საკითხი და გაცნობებთ, რომ“; „**ჩვენ მიერ** გამოკვლეულია“ და მისთ.

პირველი პირის ნაცვალსახელების – მე, ჩვენ – გამოყენება ნიშანდობლივია მოხსენებების, ანგარიშებისა და საინფორმაციო დანიშნულების მქონე დოკუმენტებისათვის. „ჩვენ“ ნაცვალსახელს ამგვარ დოკუმენტებში ძირითადად განმაზოგადებელი ფუნქცია აკისრია. მისი გაგება შეიძლება ორგვარი იყოს – ინკლუზიური და ექსკლუზიური. ინკლუზიურია, როდესაც „ჩვენ“ ფორმა ემთხვევა და გულისხმობს პირველი პირის მხოლობითი რიცხვის გაგებასაც და შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, „მე“ ნაცვალსახელითაც ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელია თხრობის ობიექტურობა და ეტიკეტიც (მოკრძალებულობა, თავმდაბლობა) „ჩვენ“ ნაცვალსახელის აბსოლუტურ დომინანტობას განაპირობებს. ექსკლუზიური „ჩვენ“ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება კოლექტიურობას გულისხმობდეს, მაგალითად, სამთავრობო გუნდს, ხელისუფლების გარკვეულ რგოლს ან კერძო დაწესებულების ხელმძღვანელობას, იგი ავტორთა ჯგუფის ნაცვალია. „ ჩვენ“ ნაცვალსახელით მიიღწევა განზოგადებულ-სუბიექტიანი, გაუპიროვნებელი გადმოცემა. ოფიციალურ დოკუმენტაციაში ორივე შემთხვევა ურთიერთობის მიღებული ფორმაა და, სამართლებრივი აქტების გარდა, იგი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა საქმიან საბუთში, მიმოწერასა თუ გამოსვლაში.

აღნიშნავთ იმასაც, რომ „ჩვენ“ ნაცვალსახელი იგულისხმება უნაცვალსახელო წინადადებებშიც, რომელშიც ზმნა ბრძანებითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგალითად: დავწერთ, შევადგინოთ, გავაფორმოთ და სხვ. ამგვარ შემთხვევებში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ეს ფორმა მაქსიმალურადაა დაახლოებული მეორე პირის გაგებასთან და მისაღებია მსგავსი კონტექსტისათვის. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს:

„დღეს მე მოვედი თქვენთან, რათა ქვეყნის ევროპეიზაციისთვის ამ გადამწყვეტ დროს ვიყოთ ერთიანი...“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, ამ განცხადებაზე დაყრდნობით მოვიწვიე უშიშროების საბჭოს სხდომა...“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„ჩვენ ვაცნობიერებთ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი საჭიროებების დაკმაყოფილება უცხო ძალის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციისა და ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის იძულებით გადაადგილების პირობებში“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15.).

„პატივცემულო საზოგადოება, ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო შედგება სამი ძირითადი კოლონისგან, რომელსაც ეფუძნება მთელი სისტემა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

„ჩვენ, მოქალაქეები, როდესაც ვეძებთ სამართალს, დაცვას ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, როდესაც მიგვაჩნია, რომ დაჩაგრული ვართ, ბოლო ინსტანციად სასამართლოს განვიხილავთ“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

„ჩვენ დავამყარეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ისეთი ტიპი, რომლის ფარგლებშიც შრომა და მეწარმეობა დაფასებულია... მნიშვნელოვანი ეკონომიკური დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენ დავნერგეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და გავაორმაგეთ სოციალური დახმარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივის ფარგლებში ჩვენ, C ჰეპატიტთან ბრძოლის ახალი, ინოვაციური კამპანიის მეშვეობით, გადავარჩინეთ 200000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლეს. ჩვენ ვახორციელებთ ქართული დემოკრატიის განმტკიცებას ... ჩვენ შევქმენით მმართველობის ისეთი სისტემა,

რომელიც უფრო გამჭვირვალე და ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულია, ვიდრე ოდესმე" (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 01.10.15.).

საინტერესოა კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენების ფორმებიც. ოფიციალური დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად გამოიყენება კუთვნილებითი ნაცვალსახელების – ჩვენი, თქვენი – მიცემითი ბრუნვის ფორმა. მაგალითად: „ჩვენს გადაწყვეტილებას გაცნობებთ მოგვიანებით“, „თქვენს პროექტს უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად“, „გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას“ და ა.შ.

ცალკე აღვნიშნავთ ურთიერთობითი ნაცვალსახელის – **ურთიერთის** – გამოყენების შესახებ. საქმიანი საბუთებისათვის ყველაზე ხშირად ამ ნაცვალსახელით ნაწარმოები რთული სიტყვებია ნიშანდობლივი. მაგალითად: ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთდახმარება, ურთიერთკავშირი, ურთიერთვალდებულება, ურთიერთავდაუსხმელობა, ურთიერთ-მისაღები, ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთდათმობა, ურთიერთმიმართება, ურთიერთმოქმედება, ურთიერთქმედება, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთ-სასარგებლო, ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთშეთანხმება, ურთიერთშორისი, ურთიერთხელსაყრელი, ურთიერთშორისი, ურთიერთსასარგებლო და სხვ., მაგალითად:

„ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გამლიერების მიზნით, 2014 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის ხელი მოეწერა **ურთიერთთანამშრომლობის** მემორანდუმს” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„დიდი ყურადღება ეთმობა ასევე ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, არაბული სამყაროს, აფრიკის, აზიისა და ოკეანეთის რეგიონებთან **ურთიერთსასარგებლო** ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას გლობალური პარტნიორობის კონტექსტში“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ალიანსის შეფასებით ნატოსა და საქართველოს უკვე აქვთ **ურთიერთქმედების** საჭირო მექანიზმები, რომლებიც ქვეყანას მიიყვანს საბოლოო მიზანთან - ალიანსის წევრობასთან“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“სასწავლო ცენტრისა და ევროპის საბჭოს პროგრამის „EU/COE ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა ციხეებსა და სხვა დახურულ ინსტიტუციებში“ ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა 2 სასწავლო ფილმი სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომელთათვის შემდეგ თემებზე...” (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

საქმიან საბუთებში დასტურდება უარყოფითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრებითი ნაცვალსახელების გამოყენებაც.

ამრიგად, წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის უპირატესია სახელების გამოყენება და ამას ზმნის დესემანტიზაციის პროცესიც უწყობს ხელს, თუმცა ნიშანდობლივია სპეციფიკური მაწარმოებლებით შექმნილი განზოგადებული შინაარსის მატარებელი სახელების – ზედსართავი სახელებისა და სახელზმნების – აქტიურობა. ოფიციალურ ტექსტებში მრავალფეროვანია ნაცვალსახელთა გამოყენებაც. ამ მხრივ სხვადასხვა ვითარებას გვიჩვენებს სამართლებრივი აქტები და საქმიანი საბუთები. სამართლებრივ აქტებში ნაცვალსახელები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ხშირად დასტურდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობასა და რაგვარობას უსვამს ხაზს. სამართლებრივი აქტებისათვის ასევე უცხოა თავაზიანობის გამომხატველი ფორმების გამოყენების საჭიროება. საქმიან საბუთებში კი მრავლადაა სხვადასხვა შინაარსის, პირისა და რიცხვის ნაცვალსახელი. უპირატესობა კი მაინც პირის (მესამე პირის, მხოლოებითი და მრავლობითი რიცხვის), ჩვენებით და მიმართებით ნაცვალსახელებს უნდა მიენიჭოს.

ზმნა

ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ზმნის გამოყენების მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია დასტურდება. ამ დოკუმენტთა სტილისათვის შესაფერისი განზოგადებულობა, სიზუსტე, ლაკონიურობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ურთიერთკავშირის ასახვის დროს ამ ფაქტორთა უნივერსალური ბუნება ყველაზე უკეთ სწორედ ნეიტრალური პოზიციის გამომხატველი ძირითადი

მორფოლოგიური საშუალებით – ზმნის ვნებითი გვარის III პირის ფორმით² მიიღწევა. ამდენად, ოფიციალური ტექსტისათვის ნიშანდობლივია ისეთი ფორმები და კატეგორიები, რომლებიც თხრობისას უფრო მეტი აბსტრაქციისა და განზოგადების საშუალებას იძლევა. მაგალითად:

„**წარიმართა** მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, **გაღრმავდა** ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირსა და ნატოსთან“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა **დაეფუძნა** თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. **გადაიდგა** მნიშვნელოვანი ნაბიჯები უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით. **განხორციელდა** მნიშვნელოვანი ღონისძიებები“ (მთავრობის ანგარიში, 09.15.).

„**გადაისინჯა** იპოთეკურ სესხთან დაკავშირებული წესები, რომელთა თანახმადაც უფრო სამართლიანი გახდა სააღმსრულებლო მექანიზმები“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

განზოგადებისა და აბსტრაქციის ფაქტორი იწვევს პასიური კონსტრუქციების სიმრავლეს, რაც ხორციელდება პერიფრასტული ვნებითისა და იმ შედგენილი შემასმენლების ფორმათა გამოყენებით, რომლებშიც ვნებითის მიმღეობა შედის.

შემასმენელთა დიდი ნაწილი შედგენილია, ზმნური ნაწილი კი მეშველი ზმნაა (არის, იყო, იქნება). ასეთ ზმნებზე მხოლოდ გრამატიკული დატვირთვა მოდის, სემანტიკა კი ნაწილდება პირველ კომპონენტზე (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, საწყისი, მიმღეობა). მაგალითად:

² ქართულში გვარის კატეგორიის არსებობა/არარსებობის თაობაზე მიმდინარე დისკუსია ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს, ამიტომ მცირე კომენტარით შემოვიფარგლებით, კერძოდ, ნაშრომში გამოვიყენებთ იმ ტერმინოლოგიასა და კვალიფიკაციას, რომელიც თანამედროვე სასკოლო პროგრამებშია გატარებული, და ამდენად, უფრო გასაგებია თანამედროვე პრაქტიკოსი რედაქტორებისა და სახელმწიფო მოხელეებისათვის; თუმცა ჩვენც ვფიქრობთ, რომ ზმნათა ე.წ. დინამიკურად და სტატიკურად გაყოფის პრინციპი უფრო სწორად ასახავს ვითარებას, ვიდრე გვარის კატეგორია.

“საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 2.1.).

„ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 23.1.).

„ამ მიმართულებით მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა და წარდგენილია პარლამენტში“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„დადგენილ იქნა გამოსაცდელ პერიოდში მოსამართლის შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური კრიტერიუმები და პროცედურები“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა დადგენილ უნდა იქნეს ტექნიკური რეგლამენტით ან კანონით; ტექნიკური რეგლამენტები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების ან მთავრობის დადგენილების სახით; სტანდარტები ნებაყოფლობითია“ (მთავრობის განკარგულება № 965, 16.07.10.)

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის ამ მონაკვეთში შევეცდებით საგანგებოდ დავახასიათოთ საქმიან დოკუმენტებში ზმნის ფორმათა ფუნქციონირების მასშტაბები და გრამატიკული თავისებურებები. ვნებითი გვარის ფორმათა სემანტიკურ-სტილისტიკური ფუნქციები განსხვავებულია მხატვრულ და არამხატვრულ მეტყველებაში. სემანტიკური დახასიათებისათვის უნდა ითქვას, რომ ვნებითის ფორმები იმავე ობიექტურ სინამდვილეს ასახავენ, რასაც მოქმედებითი გვარის ზმნები, ოღონდ სხვა პოზიციიდან. ვნებითის გვარის ფორმით გამოხატვისას მოქმედების ფაქტი არ იცვლება, იცვლება ფაქტის გადმოცემის პოზიცია, დამოკიდებულება ამ ფაქტთან, შესაბამისად, დამოკიდებულება მოქმედებაში მონაწილე გრამატიკულ პირებს შორის. ვნებითის ფორმებში, ჩვეულებრივ, წინ წამოწეულია მოქმედების ფაქტი და მოქმედების

ობიექტი და არა სუბიექტი, რაც ოფიციალურ-საქმიანი სტილისთვის ნიშანდობლივი და აუცილებელი პირობაა.

„**მომზადდა** კანონპროექტები მიგრაციასა და დიასპორასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შესატანად, **შემუშავდა** აგრეთვე „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის პროექტი. **მომზადდა** საქართველოს მიგრაციის კოდექსის პროექტი, რომელიც **გადაეგზავნა** მიგრაციის სამთავრობო კომისიას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„**შემუშავდა** და **დამტკიცდა** სამხედრო დაზვერვის კონცეფცია, რომლის საფუძველზეც **შეიქმნა** სამხედრო დაზვერვის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების გეგმა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„**გაუმჯობესდა** სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელთა სამუშაო პირობები, **გაიზარდა** მათი თანამდებობრივი სარგო“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ოფიციალურ-საქმიან საბუთებში ძირითადად დასტურდება ვნებითის გვარის აწმყო დროის ფორმები (აწმყოს მწკრივი) და მეორე სერიის II კავშირებითი, რომლებიც ბრძანებით კილოსაც შეიცავს. აწმყოს დროის ფორმები დროის გაგებისაგან უმეტესად დაცლილია, მათ განყენებული, არადროული გაგება აქვთ, რაც კანონზომიერია ურთიერთობის იმ სფეროში, რომელშიც საუბარია მუდმივ პროცესებზე, საყოველთაო ნორმებსა და კანონზომიერებებზე: **ტარდება, მონაწილეობს, ვრცელდება, გრძელდება, ხორციელდება, გვხვდება, ითვლება, ეწოდება** და სხვ. ამიტომ ამ ზმნებთან ადვილად იხმარება სიტყვები: **ყოველთვის, მუდამ, ხშირად, ხოლმე, უცვლელად** და სხვ. აღნიშნულ ფორმებს აკაკი შანიძე უდროო ფორმებს უწოდებს (შანიძე, 1973, 119). ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ზმნათა აწმყო დროის ფორმები უშუალო მეტყველების მომენტს კი არ გულისხმობს, არამედ დროის იმ დიდ მონაკვეთს, რომლის ფარგლებში აწმყო უკვე აღარ მოქმედებს, ე.ი აღნიშნული ფორმები თვითონ განიცდიან აბსტრაქტიზაციას განყენებულ კონტექსტში. მაგალითად: „საქართველო ტრადიციულად **მონაწილეობს** ISAF-ის მისიაში და ამ პროცესში უდიდესი კონტრიბუტორია ნატოს არაწევრ სახელმწიფოებს შორის“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„ნატოსთან ჩვენი თანამშრომლობა **გრძელდება** იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველომ შესთავაზა ალიანსს ISAF-ის ძალების ავღანეთიდან გამოყვანის

ოპერაციაში ერთ-ერთი ყველაზე ოპტიმალური სატრანზიტო გზა – საკუთარი ინფრასტრუქტურა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„პროპორციული სისტემით არჩევნები **ტარდება** ერთიანი პარტიული სიით“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 105.2.).

„გამართულად **მოქმედებს** საქართველოსა და ალიანსს შორის თანამშრომლობის ისეთი მექანიზმებიც, როგორცაა წლიური სამოქმედო პროგრამა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„სასამართლოში საქმე **განიხილება** ღია სხდომაზე...“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.1.).

„შემცირდეს საფრთხეები, რომლებიც **მომდინარეობს** აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარებიდან“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

მეორე კავშირებითი თითქმის შეუცვლელ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ოფიციალურ მასალაში, კერძოდ, სამართლებრივ აქტებში: დადგენილებებში, ბრძანებულებებში, განკარგულებებში, გადაწყვეტილებებში, ბრძანებებსა და სხვა მსგავს დოკუმენტებში, რადგან ასეთი საბუთების სემანტიკა მომავალში აუცილებლად შესასრულებელი მოქმედების გადმოსაცემადაა გამოყენებული და, შეიძლება ითქვას, ზუსტად გამოხატავს სამართლებრივი დოკუმენტების დანიშნულებას. კავშირებითის ეს ფორმა აღწერით ვნებითს აძლევს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის, აუცილებლობის მოდალურ სემანტიკას. მოდალობის გასაძლიერებლად მას ხშირად დაერთვის სიტყვები ან ნაწილაკები: მიზანშეწონილია, შესაძლებელია, საჭიროა, უნდა და სხვ. (ღვინაძე, 1989, 129.).

„1. **დამტკიცდეს** საქართველოს პარლამენტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი (თან ერთვის) და **წარედგინოს** საქართველოს მთავრობას „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში გასათვალისწინებლად;

2. ეს დადგენილება **ამოქმედდეს** მიღებისთანავე“.

(პარლამენტის დადგენილება ბიუჯეტის შესახებ).

საქმიანი დოკუმენტების ენაში ნიშნის ვნებითის ფორმათაგან ჭარბობს დონიანი ვნებითი, გამოყენების თვალსაზრისით, ის ერთნაირად აქტიური ფორმაა როგორც სამართლებრივ აქტებში, ისევე საქმიან საბუთებში. მაგალითად:

„აღდგენილი იქნა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ინსპექტირება, განახლდა სამედიცინო და პროფესიული დასხივებისას მიღებული დოზების კონტროლი, გაძლიერდა სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი ადამიანისა და გარემოს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„დასრულდა მუშაობა გარემოსდაცვითი კომპეტენციის მქონე ორგანიზაციების ბაზასა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ელექტრონულ ბაზაზე, რომელიც განთავსდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ინტერაქტიულ რუკაზე“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„2013 წელს განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და დამტკიცდა თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტარტეგია და სამოქმედო გეგმა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„2014 წელს წარმატებით დასრულდა „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) შემუშავების საგრანტო პროგრამა“ და მომზადდა 130 პროტოკოლი“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„დამტკიცდეს „რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი“ თანდართული რედაქციით.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“ (საკრებულოს დადგენილება №122, 09.10.15).

ასევე ნიშანდობლივია ვნებითის ინიანი და ენიანი ფორმების გამოყენება:

„დღეისათვის სახელმწიფო სქემებით იფარება მოსახლეობის 92%, ხოლო 400,000-მდე მოქალაქეს რჩება კერძო ინდივიდუალური ან კორპორაციული დაზღვევის პაკეტი“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“ვაჭრობა იძლევა მსოფლიოს საოცრებათა ნახვის საშუალებას და ეს ძირითადი ინსტინქტი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის კიდევ ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სექტორისთვის” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 11.09.15.).

„აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის“ პირველ შეხვედრაზე, რომელთაც საქართველომ უმასპინძლა, ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლის, სტრატეგიულ მდებარეობას“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 11.09.15.).

„2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 86.6%-ით და შეადგინა 1.75 მილიარდამდე აშშ დოლარი, რაც ყველაზე დიდი შემოდინება იყო 2007 წლიდან“ (პრემიერ-მინისტრის წერილი „China Daily“- ში, 10.09.15.).

„...პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი“ (მთავრობის დადგენილება №219, 26.08.13.).

" ...საქართველოს ენერგეტიკაში ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით თურქი ბიზნესმენების მხრიდან დიდი დაინტერესება გამოითქვა” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 10.12.09.).

“ზევრ ევროპულ ქვეყანაში სწორედ მაკროპარამეტრების პრობლემურობის გამო წარმოიშვა კრიზისი“ (მთავრობის სტრატეგიული გეგმა).

“პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი...” (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85.2.).

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9.2).

ფაქტზე ყურადღების გამახვილებისა და მისი გადმოცემის სიზუსტისათვის ოფიციალური დოკუმენტები ირჩევს ვნებითის ფორმებს: მიეჩინა (და არა მიუჩინა), გამოითქვა (არა გამოთქვა), განისაზღვრება (არა განსაზღვრავს), გაიზარდა (არა გაზარდა), მიეთითოს (არა მიუთითოს), გაესვა (არა გაუსვა) და ა.შ. ამგვარი ფორმები ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სტილს მიესადაგება, მისთვის არის დამახასიათებელი და, შესაბამისად, მისაღებიც. თუმცა მხატვრული ენისათვის ის მიუღებელ ფორმებადაა აღიარებული.

ნიშნინანი ვნებითის ფორმათა გვერდით ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ნიშანდობლივია აღწერითი, პერიფრასტული ვნებითის ფორმები. აღწერითი ვნებითი წერილობითი ენის ფაქტია. ის პასიური სემანტიკის მქონე გრამატიკული ერთეულია,

რომელიც მიღებულია ვნებითი გვარის ნამყო მიმღეობის ფუძისა და მეშველი ზმნის **იქნა/იქნეს** ფორმათა შეერთებით: დადგენილ იქნა, მიღებულ იქნა, გამოკვლეულ იქნეს და სხვ. ასეთი ფორმები ოფიციალური და საკანცელარიო საქმეების წარმოებაში აშკარა უპირატესობით სარგებლობს. აღწერითი ვნებითის წარმოება ორკომპონენტია. მისი ლექსიკური მნიშვნელობა ძირითადად დაკავშირებულია მიმღეობის ფუძესთან, გრამატიკული მნიშვნელობა კი – იქნა/იქნეს ფორმასთან. მაგალითად:

„ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 20 ნოემბრის №2-16 გადაწყვეტილებაში („საქართველოს რესპუბლიკა“ 07.12.2006, №240, გვ.10, სარეგისტრაციო კოდი: 010.250.000.36.101.009.603) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით“ (საკრებულოს გადაწყვეტილება №11-14, 05.06.14.).

აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითის, როგორც ოფიციალურ-საქმიანი სტილის დამახასიათებელი ერთ-ერთი აქტიური სტრუქტურულ-გრამატიკული საშუალების, უპირატესობა, საქმიანი დოკუმენტების ლექსიკურ-სემანტიკური და ფორმოზრივ-სტრუქტურული შინაარსით არის განპირობებული, კერძოდ:

1. როცა ზმნას აკლია ორგანული ვნებითის ფორმები: მიიღწევა – მიღწეულ იქნა, მიივლინება – მივლინებულ იქნა, მოისმინება – მოსმენილ იქნა, შეისწავლება – შესწავლილ იქნა, წარმოიდგინება – წარმოდგენილ იქნა, იწარმოება – წარმოებულ იქნა, გამოიყენება გამოყენებულ იქნა, განიხილება – განხილულ იქნა და სხვ.

2. უცხოური **-იზ** და **-ირ** სუფიქსებიანი სიტყვებისაგან არ იწარმოება ვნებითის ორგანული ფორმები და მხოლოდ აღწერილობითი ვნებითის ფორმების მიღებაა შესაძლებელი: მობილიზებულ იქნა, ორგანიზებულ იქნა, ლიკვიდირებულ იქნა, რატიფიცირებულ იქნა, ფალსიფიცირებულ იქნა, დემონსტრირებულ იქნა და სხვ.

„**რეორგანიზებულ იქნეს** არსებული 6 რაიონის გამგეობა და შეიქმნას შესაბამისი რაიონების გამგეობები ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტის შესაბამისად“ (საკრებულოს გადაწყვეტილება №1-4, 28.01.13.).

“**რატიფიცირებულ იქნეს** თბილისის 2015 წლის 10 ივლისის შეთანხმება „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და

უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ (პარლამენტის დადგენილება №4285-1ს,18.09.15.).

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები” (აფხაზეთის მთავრობის დადგენილება №37, 26.08.15.).

„რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (შემდგომში - ანსამბლი) ...“ (აფხაზეთის მთავრობის დადგენილება №11, 11.03.15.).

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური დოკუმენტები – **მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია** და მისთ. უფრო მეტად ცოცხალი, სასაუბრო მეტყველების დამახასიათებელ ელემენტებსა და ენობრივ საშუალებებს შეიცავს, მაინც აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითი ფორმები ამგვარ დოკუმენტებშიც უპირატესობით სარგებლობს.

ოფიციალურ დოკუმენტებში პერიფრასტული ფორმებით ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც ადვილად აწარმოებენ ვნებითს: დამტკიცებულ იქნა (დამტკიცდა), აღნიშნულ იქნა(აღინიშნა), დადგენილ იქნა(დადგინდა) და სხვ. აღნიშნულ ვითარებას განაპირობებს ინფორმაციის გადმოცემისას სუბიექტის უქონლობა და განზოგადებულ-განყენებულობა. მაგალითად:

„მეორე ეტაპის ფარგლებში ამოქმედებული კონსტიტუციური ცვლილების თანახმად, ორგანული კანონით **დადგენილ იქნა** თანამდებობაზე მოსამართლის უვალო განწესების პრინციპი...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

როგორც ვხედავთ, აღწერილობითი ვნებითი ყოველთვის ორპირიანი აქტიური ზმნის კონვერსიულია და ერთი მორფოლოგიური პირის გაგებას შეიცავს, მაგრამ ყოველთვის ივარაუდება რეალურად მოქმედი პირი, ყოველთვის მარკირებულია **მიერ** თანდებულთ, რომელიც კონსტრუქციაში არ არის წარმოდგენილი. სწორედ ასეთ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები, რომელშიც მოქმედება ჩანს, აქცენტი მასზე კეთდება და ამასთანავე პასიურად, მაგრამ მოქმედი

პირიც ივარაუდება. შინაარსობრივად აღწერითი ვნებითი, ნამდვილი პასივის მსგავსად, შეიცავს მხოლოდ აბსოლუტურ გაგებას და ყოველთვის ვარაუდობს რეალური სუბიექტის მონაწილეობას. ესეც ოფიციალური სტილის დამახასიათებელი თვისებაა, ნორმაა, აიგოს წინადადება ნეიტრალური, ზოგადი სემანტიკის გამომხატველი ზმნის ფორმით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საერთო იქნება რამდენიმე ან სხვადასხვა უწყებისათვის და ამასთან თითოეული მათგანისათვის იქნება განკუთვნილი.

დრო-კილოთა II ჯგუფის ნაკვეთებისათვის -ევ სუფიქსიანი ზოგი ისეთი ზმნაა, რომელსაც საკუთარი ორგანული ფორმები არ ეწარმოება თანამედროვე ქართულში და მხოლოდ აღწერითი ფორმებით ივსებენ პარადიგმას. საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი ლექსიკიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი წარმოების ზმნები:

მიიღწევა – მიღწეულ იქნა; გამოიწვევა – გამოწვეულ იქნა; მიიწვევა – მიწვეულ იქნა; შეიმჩნევა – შემჩნეულ იქნა; აირჩევა – არჩეულ იქნა, შეირჩევა – შერჩეულ იქნა და მისთ.

აღსანიშნავია ისეთი პარალელური ფორმების არსებობაც, როდესაც ვნებითი გვარის ზმნის შესაბამისი ორგანული ინიანი და დონიანი ფორმებიც თავისუფლად ეწარმოება, საქმიანი დოკუმენტები კი უპირატესობას მაინც აღწერით ვნებითს ანიჭებს, მაგალითად: **ისახება – დასახულ იქნა, მოიხსნება – მოხსნილ იქნა, გამოიყოფა – გამოყოფილ იქნა, შესრულდა – შესრულებულ იქნა, ჩატარდა – ჩატარებულ იქნა, გატარდა – გატარებულ იქნა, აღმოჩნდა – აღმოჩენილ იქნა, გაანალიზდა – გაანალიზებულ იქნა, გამოსწორდა – გამოსწორებულ იქნა, დამუშავდა – დამუშავებულ იქნა, განზოგადდა – განზოგადებულ იქნა, განხორციელდა – განხორციელებულ იქნა, შემოწმდა – შემოწმებულ იქნა, გაკეთდა – გაკეთებულ იქნა, დადგინდა – დადგენილ იქნა და სხვ.**

ოფიციალურ დოკუმენტებს აქვს შესაძლებლობა ამ ფორმათაგან გამოიყენოს ორივე, თუმცა, ორგანული წარმოების ფორმებთან შედარებით, უფრო სასურველად მიიჩნევენ და დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად იყენებს ამ ზმნათა აღწერით ფორმებს. შეიძლება ეს იმიტაც იყოს განპირობებული, რომ აღწერითი ვნებითის ფორმაში სუბიექტის მონაწილეობა უფრო აშკარაა (მიერ ან -გან თანდებულისანი ნათესაობით არის მარკირებული). ამასთან ერთად, აღწერითი ვნებითი

თავისუფალია ისეთი სემანტიკური ნიუანსებისაგან, როგორცაა: ჩვეულებითობა, გარდაქცევითობა, დაწყებითობა. შესაძლებელია საქმიანი საბუთების ენა ამიტომაც ფაქტის გადმოსაცემად, ინფორმაციის მისაწოდებლად ირჩევს „ნამდვილ პასივს“, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება აქტიურ ფორმას თუნდაც იმით, რომ მისი კონვერსიულია. მაგალითად: დაჯილდოებულ იქნა, გათავისუფლებულ იქნა, გამომჟღავნებულ იქნა, დახასიათებულ იქნა და სხვ. აღნიშნულ ფორმებში ხაზგასმულია უფრო მეტად ის, რომ დააჯილდოვეს, გაათავისუფლეს, გამომჟღავნეს, დახასიათეს და არა ის, რომ დაჯილდოვდა, გათავისუფლდა, გამომჟღავნდა, დახასიათდა. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების ძირითადი შემოქმედი არის გარკვეული უწყება ან თანამდებობის პირი, რომელიც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ამიტომ საქმიანი სტილისათვის უფრო მისაღებია, ჩანდეს ეს ფაქტორი, ეს სუბიექტი, რომელიც მთავარი განმსაზღვრელი და გადაწყვეტილების მიმღებია, მაგრამ ჩანდეს პასიურად, არა აქტიური ფორმით, იგულისხმებოდეს. ამიტომაც ირჩევს ოფიციალური დოკუმენტების ენა ვნებითის აღნიშნულ ფორმას და ეს მისი სპეციფიკური ხასიათის გამოა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანული ვნებითის ფორმებთან შედარებით აღწერითი ვნებითის სემანტიკური შესაძლებლობები გაცილებით ღარიბია, მაგრამ სწორედ ამ მიზეზით საქმიან საბუთებში აქტიური ზმნების ნაცვლად უფრო ხშირად გამოიყენება და მკვიდრდება, რადგან სწორედ ასეთი ზმნების სემანტიკა განაპირობებს ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში მისი გამოყენების აუცილებლობას. მაგალითად: **გაიღო** და **გაღებულ იქნა** ფორმები რომ შევადაროთ, გაიღო ფორმა ვნებითად გაგებისას **იღება** (**გაიღება**) ფორმას უდგას გვერდით, **გაღებულ იქნა** კი **გააღეს** (**გაიღება**) ფორმებს უფრო შეესაბამება შინაარსობრივად. ნეიტრალური პოზიციის მისაღწევად კი ოფიციალური დოკუმენტი სწორედ ვნებითის ფორმებს აძლევს უპირატესობას, საქმიანი ქალაქებისათვის აქტიური ზმნების ნაცვლად უფრო მოხერხებული აღწერითი ვნებითი აღმოჩნდა (ღვინაძე, 1989, 109).

რაც შეეხება **იქნა/იქნეს** ფორმათა მრავლობითი რიცხვის **იქნენ** ფორმას, ოფიციალურ დოკუმენტებში ის არ დასტურდება. ჩვეულებრივ, აღწერით ვნებითს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა არ შეუძლია, ასეთი ფორმა პასიური სემანტიკის მქონე

აღწერითი ფორმაა, რომელსაც მიმღეობა სახელობით ბრუნვაში ესაჭიროება. **იქნება** ფორმაც უსრული ზმნის კუთვნილებაა. მიმღეობა (სახელობით ბრუნვაში) + იქნება – პასიური სემანტიკის მქონე ჩვეულებრივი აღწერითი ფორმაა, იშვიათად, მაგრამ საქმიანი მიმოწერის დოკუმენტებში ასეთი კონსტრუქცია შესაძლებელია შეგვხვდეს, თუმცა ნორმატიული დოკუმენტების ენაში ის არ დასტურდება. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის მისაღებია წარმოდგენილი კონსტრუქციის შებრუნებული რიგიც – ზმნა + მიმღეობა. **იქნა გაანალიზებული, იქნა გამოვლენილი, იქნა გამოცხადებული, იქნა შემჩნეული, იქნა რეალიზებული** და სხვ. მაგალითად:

„...შესაბამისი ბაზრის მოქნილი განმარტება **იქნება მიღებული**, რომელიც გაითვალისწინებს გეოგრაფიულ არეალთან ერთად ურთიერთჩანაცვლებად საქონელს/მომსახურებას“ (მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10.).

რა შემთხვევებში დასტურდება ასეთი ფორმები?

ზმნისა და მიმღეობის თანმიმდევრობა ძირითადად დამოკიდებულია ზმნურ ნაწილთან უშუალოდ დაკავშირებულ მეორეხარისხოვან წევრებსა და დამხმარე სიტყვებზე, კერძოდ, ზმნისართების – ზმნური ან უარყოფითი ნაწილაკების – მონაწილეობასა და მათ ადგილზე. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლოგიკურად გამოყოფილ სიტყვებსაც და მათ მორფოლოგიურ ფუნქციასაც. მაგალითად: **იქნა** შესრულებული და შესრულებულ **იქნა** სხვადასხვა დატვირთვის მატარებელია. როდესაც ზმნა წინ უსწრებს მიმღეობას, აქ მთელი დატვირთვა მასზე მოდის და მიმღეობას მხოლოდ პასიურობის გამოხატვის ფუნქცია აქვს შერჩენილი, ვნებითის პარადიგმის შემსვების ფუნქცია კი – დაკარგული.

ოფიციალურ დოკუმენტებში მოქმედებითი გვარის ზმნათა გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია. თუ ამგვარ ტექსტებში ზმნა გარდამავალია, მაშინ განზოგადებული მნიშვნელობა მიღწეულია მესამე პირის, ძირითადად, მრავლობითი რიცხვის ფორმით, რომელიც, ზოგადი მნიშვნელობით, შესაბამისი გარდაუვალი ზმნების ადეკვატურია, მაგალითად:

„იმედია, რომ არა მხოლოდ ვაჭრობა, არამედ ადამიანები, იდეები, ცოდნა და კულტურა კვლავაც **გამდიდრებენ** ჩვენს ურთიერთობებს“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა 11.09. 15.).

ცალკე უნდა აღინიშნოს ისეთი ოფიციალური დოკუმენტების შესახებ, რომლებიც კოლეგიალური ორგანოს მუშაობის ჩანაწერია, ან ორმხრივი შეთანხმების, გარკვეული უფლება-მოვალეობების ამსხაველი, ან პირადი ხასიათის დიპლომატიური დოკუმენტია, რომლებშიც მხარეთა მონაწილეობის, უშუალო დამოკიდებულებისა თუ კომპლიმენტის გამოხატვა აუცილებელი ნორმაა. **ბრძანება, ოქმი, ხელშეკრულება, ნოტა, თანამშრომლობის მემორანდუმი, მიღება - ჩაბარების აქტი** – ამ დოკუმენტებში შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად ყოველთვის ზმნის აქტიური ფორმა, მოქმედებითი გვარია გამოყენებული. დოკუმენტების დანიშნულებიდან გამომდინარე კი – მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა. მაგალითად:

„**მხარეები** მიზნად **ისახავენ**, ხელი შეუწყონ რელიგიათა მეცნიერულ შესწავლასა და საქართველოს სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის შემუშავებას...“ (იხ.დანართი№ 17).

„ ვაღიარებთ რა, საერთო საკაცობრიო ზნეობრივ ფასეულობებს, მათ შორის, ქალთა უფლებებს **ვაცხადებთ** წინამდებარე დეკლარაციას“ (იხ. დანართი № 17).

„ **ჩვენ**, ქვემოთ ხელის მომწერებმა,.... **გავაფორმეთ** მიღება-ჩაბარების აქტი, მასზედ, რომ...“ (იხ. დანართი № 19).

ამდენად, ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი განზოგადებულობა, სიზუსტე, ლაკონიურობა, ნეიტრალური პოზიციის გამომხატველი ძირითადი მორფოლოგიური საშუალებით – ზმნის ვნებითი გვარის ფორმით მიიღწევა. განზოგადებისა და აბსტრაქციის ფაქტორი იწვევს პასიური კონსტრუქციების მაღალ სიხშირეს, რაც ხორციელდება ნიშნიანი, უნიშნო, პერიფრასტული ვნებითისა და შედგენილი შემასმენლის ფორმათა გამოყენებით. ოფიციალურ-საქმიან საბუთებში ძირითადად დასტურდება ვნებითის გვარის აწმყო დროის ფორმები (აწმყოს მწკრივი) და მეორე სერიის II კავშირებითი, რომლებიც შეუცვლელ ფორმად არის მიჩნეული სამართლებრივ აქტებში: დადგენილებებში, ბრძანებულებებში, განკარგულებებში, გადაწყვეტილებებში, ბრძანებებსა და სხვა მსგავს დოკუმენტებში და რომლებიც აღწერით ვნებითს აძლევს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის, აუცილებლობის მოდალურ სემანტიკას. აქვე დავსძენთ, რომ თუ სპეციალურ ლიტერატურაში ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერითი ვნებითის ფორმათა

დამკვიდრება ენის გამომსახველობითი უნარის შესუსტებად არის მიჩნეული, ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ეს ფორმები სწორედაც რომ ზუსტი გამომსახველობითი უნარის მქონე, მისაღები ფორმებია.

სახელზმნა

სახელზმნას საქმიან საბუთებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ოფიციალურ ტექსტებში მისი ფუნქცია და დანიშნულება სხვადასხვანაირია. ის შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, გარემოება, განსაზღვრება, შედგენილი შემასმენლისა და აღწერილობითი ვნებითის სახელადი ნაწილი. ამდენად, სახელზმნა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს წინადადების სინტაქსურ კონსტრუქციასა და ლექსიკურ შინაარსს, ამასთან განსაზღვრავს საქმიანი დოკუმენტის ფორმასა და სტილსაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოფიციალურ დოკუმენტებში აზრის გადმოცემის მთავარი დატვირთვა ხშირად არა ზმნაზე, არამედ ამ გრამატიკულ კატეგორიაზე მოდის, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ სახელზმნას ზმნასთან ლექსიკური შინაარსი და წარმოება აერთიანებს. მისი უნარიც, გარკვეულ შემთხვევაში, ზმნის მსგავსად შეიწყოს სახელი ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით, განაპირობებს ოფიციალურ ტექსტებში მის აქტივობას, მით უფრო, რომ საქმიანი საბუთები უპირატესობას ისედაც ზმნის პასიურ ფორმას ანიჭებს, რომელშიც მხოლოდ მოქმედებაა ხაზგასმული. აღწერილობით ანუ პერიფრასტულ ვნებითებშიც მთავარი შინაარსობრივი დატვირთვა მიმღეობაზე მოდის და მეშველ ზმნას აქ მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრია. ამასთან ერთად, სახელზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, არსებითი ან ზედსართავი სახელია და შეიწყობს ზმნა-შემასმენელს.

ამდენად, სახელზმნის ორივე ფორმა – საწყისი და მიმღეობა – აქტიურადაა ჩართული ოფიციალური ტექსტების სინტაქსურ კონსტრუქციებში და, შეიძლება ითქვას, მთავარი წარმმართველი ძალაცაა, მაგალითად:

„საქართველოში პოლიტიკის **დაგეგმა** და ცალკეული დაგეგმვის დოკუმენტების **შემუშავება** რეგულირდება შემდეგი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით...“ (რეფორმის სტრატეგია, 23.05.15.).

“გაგრძელდება ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება: მყარი ნარჩენების პროექტების განხორციელება, წყალმომარაგების და წყალარინების, ადგილობრივი სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება” (პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, 2014).

„აღნიშნულ გზაზე მოხდა მიწის ვაკისის დეფორმირებული მონაკვეთების აღდგენა, რკინა-ბეტონის მილების, საყრდენი კედლების, გაბიონების, ქვედა საყრდენი კედლების, ავტოტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილების მოწყობა, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, გალერეების სახურავების კოჭების გამოცვლა, მეწყერდამცავი გრუნტის საფარისა და სადრენაჟე არხის მოწყობა, გალერეების კედლებისა და ბოძების შეკეთება, სამი გვირაბის დრენაჟებისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა, გვირაბების გადახურვა, იზოლაციის გამართვა, გზის მონიშვნა და საგზაო ნიშნების დამონტაჟება“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

საქმიან საბუთებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საწყის ისეთი სახის დოკუმენტებში, როგორცაა სამართლებრივი აქტები, ანგარიშები, ხაზგასმის, მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების აქცენტირების, შემაჯამებელი და ამასთან განმაზოგადებელი ფუნქციაც აკისრია, ამიტომ ეს ენობრივი კატეგორია აღნიშნული საქმიანი საბუთების მნიშვნელოვანი კომპონენტი და ხშირად ცალკეული თავების, ქვეთავებისა და პუნქტების მთავარი ლექსიკური შინაარსის მატარებელიცაა, რადგან, ერთი მხრივ, გამოხატავს აქტიურ მოქმედებას, მაგრამ ამასთან ზმნის არაუღლებადი ფორმაა და დგას განყენებულად, რაც მას განმაზოგადებელ თუ შემაჯამებელ ფუნქციას სძენს და ზუსტად მიესადაგება მიზანს – ესაა ვერბალური სახელდება, ქმედების დასახელება:

„ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა...

1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება...

1.1.1. შეჯიბრებითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განტკიცება...

1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა...

1.3.1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის **შემუშავება**, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში **მოყვანა...**

2.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის **ხელშეწყობა...**

2.2. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების **მხარდაჭერა...**

2.2.1. საკანონმდებლო ცვლილებების **მომზადება** და **წარდგენა...**

2.4. მოსამართლეთა კვალიფიკაციის **ამაღლება...**

2.4.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსური და ტექნიკური **მხარდაჭერა...**

3.3. პროკურატურის კვალიფიკაციის **ამაღლება** და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის ფორმების **დანერგვა...**

3.3.1 კვალიფიციური კადრების **შერჩევა**, **შენარჩუნება** და პროფესიული **განვითარება...**

3.4.1. საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის **განვითარება...**

(სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„სტრატეგია ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

1. თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის **ხელშეწყობა**;
2. დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების **აკრძალვა**;
3. კონცენტრაციის **რეგულირება**;
4. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების, შეთანხმებული ქმედებების,
5. ეკონომიკური აგენტების გადაწყვეტილებების და შეთანხმებული სატენდერო შეთავაზებების **რეგულირება**;
6. შესაბამისი ბაზრის **განმარტება**;
7. გამონაკლისთა ჯგუფის **შემოღება** “

(მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10.).

ადვილად შესამჩნევია, რომ ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში სახელზმნით ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელი ფიგურირებს.

საწყისს მრავლობითი არ ეწარმოება, მაგრამ თუ ეს ენობრივი კატეგორია მთლიანად არსებითი სახელის რიგში ჩადგება და ზმნასთან კავშირს გაწყვეტს, მაშინ მას ებიანი მრავლობითიც ექნება, საქმიან საბუთებში ამგვარად წარმოებული საწყისებია: **განცხადება- განცხადებები, კითხვა - კითხვები, სხდომა - სხდომები, კრება- კრებები, შრომა- შრომები, განხილვა-განხილვები**, და სხვ. მაგალითად :

„ამასთან, ითვალისწინებს დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართობის მიღების თაობაზე **განცხადებები** დაკმაყოფილდა...“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„მუშაობის პროცესში **განხილვები** გაიმართა აგრეთვე უშუალოდ ადამიანის ცალკეულ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან“ (პარლამენტის დადგენილება, 03.14.).

„ნატო-საქართველოს კომისიის **სხდომები** გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, ელჩების, ელჩების მოადგილეების, პოლიტიკისა და პარტნიორობის კომიტეტის დონეზე, სამხედრო კომიტეტის შეხვედრა – შტაბის უფროსების დონეზე და სხვ. კომისიის **სხდომები** იმართებოდა დემოკრატიის, თავდაცვის, უსაფრთხოების, ენერგეტიკისა და სხვა საკითხებზე“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

მიმღობა საქმიან საბუთებში მრავალგვარი ფორმით გვხვდება, ის ოფიციალურ ტექსტებში არის როგორც განსაზღვრება, ასევე – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. საქმიანი საბუთებისათვის ტიპობრივია შერწყმული წინადადებები, რომლებშიც გარკვეული ექსპრესიული დატვირთვა მოდის ერთგვარ წევრებზე, ენობრივი ერთეულებისა და წინადადებების გამეორებაზე. ერთგვარი წევრები ხშირად განსაზღვრებებია, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით ახასიათებს ამა თუ იმ ფაქტს, მოვლენას. ამდენად, მისი ხვედრითი წილი ოფიციალურ ტექსტებში მაღალია. ვნებითი გვარის მიმღობა აღწერილობითი ვნებითის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც მთლიანად მიესადაგება საქმიანი საბუთების სტილს, შინაარსს, გადმოცემის ფორმასა და ზოგადად ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითად მახასიათებლებს. ვნებითი გვარის მიმღობა ისეთი ნაზმნარი სახელია, რომელიც რაიმე მოქმედებას ჩადენილად, განცდილად წარმოგვიდგენს, ამიტომაც ნიშანდობლივი მისი გამოყენების მაღალი ხარისხი ოფიციალურ ტექსტებში. მაგალითად:

“ყველა ძალისხმევა იქნება **გამოყენებული** „ნაბუკოსა“ და „თეთრი ნაკადის“ პროექტების პრაქტიკული რეალიზაციისათვის” (პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე, 2014.).

„საქართველოში ანტიმონოპოლიური რეგულირება **შემოდებულ** იქნა 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“. 1996 წელს **მიღებულ** იქნა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც **გაუქმებულ** იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით 2005 წელს“ (მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10).

„კონკურენციის ჩარჩო კანონის შემუშავების პროცესში **მიღებულ** იქნება გადაწყვეტილება იმის შესახებ, როგორ მოხდება დომინირებული მდგომარეობის განსაზღვრა, კანონით თუ პრეცედენტული გზით“ (მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10.).

„ყველა შესაძლო შემთხვევაში საბაზრო წილის გაანგარიშებისას უნდა იქნეს **გათვალისწინებული** დაუკვირვებადი ეკონომიკა“ (მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10.).

„აკრძალულია ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებები, **მიღებული** გადაწყვეტილებები და **შეთანხმებული** ქმედებები, რომლებიც გავლენას ახდენენ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე“ (მთავრობის განკარგულება №1551, 03.12.10.).

ქართულ ოფიციალურ მეტყველებაში აქტიურად მიმდინარეობს სიტყვაწარმოების პროცესები, შეიმჩნევა ზოგიერთი აფიქსის გააქტიურება, გარკვეული ძირების ფართოდ გამოყენება და სტილისტიკურად აქტუალური რთული ფუძეების თხზვა.

ოფიციალური მეტყველების ზოგადი დახასიათებისას აღვნიშნეთ, რომ მისთვის ნიშანდობლივია განზოგადებულობისაკენ სწრაფვა. ლექსიკაში ეს აბსტრაქტული სახელების წარმოებით გამოიხატება. მისი ხვედრითი წილი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი სახელებისა. აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად კი გამოიყენება პრეფიქს-სუფიქსები. ოფიციალურ მეტყველებაში სუფიქსიანი მაწარმოებელი უფრო პროდუქტიულია, ვიდრე პრეფიქს-სუფიქსიანი. საქმიან საბუთებში ხშირია როგორც სუფიქსებით წარმოებული სიტყვა, ისე სხვადასხვა

სუფიქსზე – ურ/ულ, -იან, -ოსან, -ოვან, -იან, -ედ, -ით, -ივ, -ად, -ებრ – დართული -ობა, -ება სუფიქსით ნაწარმოები სახელები:

-ურ-ობა: პრობლემატურობა, ობიექტურობა, ეფექტურობა;

-ულ-ობა: პერიოდულობა, ინდიფერენტულობა, განპირობებულობა, პრაგმატულობა, პერმანენტულობა;

-იან-ობა: თანასწორუფლებიანობა, ერთხელისუფლებიანობა, ბრძოლისუნარიანობა, ეფექტიანობა, სიცოცხლისუნარიანობა;

-იერ-ობა: თანაზომიერება, ცნობიერება, ნაყოფიერება ;

-ოვ(ა)ნ-ობა: სრულფასოვნება, რიცხოვნობა;

-ად-ობა: ტევადობა, შეუქცევადობა, კლებადობა, მდგრადობა, გრძნობადობა;

-ივ-ობა: ნიშანდობლი(ვ)ობა, დანაშაულებრი(ვ)ობა, მუდმივობა;

-იზ-ება: რეალიზება, ნორმალიზება, ლოკალიზება, გაანალიზება, იდეალიზება;

-ირ-ება: რეაგირება, ლიკვიდირება, სუბსიდირება, მოტივირება, სტიმულირება, კლასიფიცირება, მოდულირება, კომბინირება, კონსტატირება, მოდიფიცირება;

-ობრ-ივ: რიცხობრივი, ასაკობრივი საგნობრივი, ტექსტობრივი, ფაქტობრივი.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის თავისებურებას წარმოადგენს -ად, -ივ, -ით მაწარმოებლების გააქტიურება. ამ სუფიქსებით ნაწარმოები სახელები სპეციფიკურ სტილურ ელფერს იძენენ.

-ად: კლებადი, ფეთქებადი, პირველადი, განსჯადი ;

სუფიქსური მაწარმოებელი მორფემების გარდა, ოფიციალურ ტექსტებში გვხვდება სპეციფიკური ძირისეული სიტყვის მაწარმოებელი მორფემები:

ქვე-: ქვეტექსტი, ქვეცნობიერი;

თანა-: თანაფარდობა, თანაბარმნიშვნელოვანი, თანადაქვემდებარება ;

თანაბარ-: თანაბარზომიერი, თანაბარმნიშვნელოვანი;

ურთიერთ-: ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთგავლენა, ურთიერთმიმართება, ურთიერთქმედება ;

თვით-: თვითმმართველობა, თვითმიზანი, თვითღირებულება;

მრავალ-: მრავალგვაროვანი, მრავალკუთხედი, მრავალწახნაგა;

-შორისი: სახელმწიფოთაშორისი;

საკუთრივ ოფიციალური სტილის ლექსიკაში არ არის **-ებრ(ნ)**, - **ნაირნი**, სუფიქსებით ნაწარმოები სახელები, ამიტომ საქმიან დოკუმენტებში ნაკლებად გვხვდება ამგვარი სუფიქსებით გაფორმებული ტექსტები.

ოფიციალური დოკუმენტის სიზუსტის, მის არსში წვდომის, ეკონომიური გზით ენობრივ საშუალებათა აზრის კონდენსაციის, ოპერატიულად გამოცემისა და სწრაფად აღქმის მოთხოვნები საქმიან საბუთებში თხზულ სახელთა შექმნას უწყობს ხელს. ოფიციალურ ტექსტებში ხშირია უცხომორფემიანი წარმოების კომპოზიტების გამოყენება: **სუპერსახელმწიფო**, **მიკროკლიმატი**, **ულტრამემარჯვენე**, **ექსტრაორდინალური**, **ტრანსნაციონალური**, **ინტერრელიგიური** და მისთ.

დღეს ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში გარკვეული მოდელების მიხედვით კომპოზიტების კვლავწარმოება გრძელდება და ეს პროცესი შეუქცევადია.

საქმიანი საბუთების ენობრივი თავისებურებები მისი ფუნქციურ-ინფორმაციული ხასიათითა და დანიშნულებით არის შეპირობებული. ქართულს არ გააჩნია აბსოლუტივები (Gerunds, деепричастия), რაც საკმაოდ განვითარებული გრამატიკული კატეგორიაა ევროპულ ენებში. ამ კატეგორიის შესაბამისად, ქართული იყენებს შემდეგ საქცევებს: **Учитывая** особенности этого края... „**ითვალისწინებს რა** ამ კუთხის თავისებურებებს“, „**ვადიარებთ რა ...**“, „**აღვნიშნავთ რა...**“ და მისთ. ასეთი წყობა ქართულისათვის ბუნებრივი არ არის, ნაცვალსახელი რა ნაწილაკის ფუნქციით მოსდევს ზმნის პირიელ ფორმას და უპირატესად გვხვდება წინადადების თავში. ამგვარი ფორმები ისეთი საქმიანი დოკუმენტებისთვისაა (დებულება, წესდება, ხელშეკრულება, მემორანდუმი...) დამახასიათებელი, რომლებიც გარკვეული ქცევის წესს განსაზღვრავს და სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის ხაზგასასმელად საჭიროებს აღნიშნულ საქცევებს, მაგალითად:

„საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებები

ვადიარებთ რა, რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას – საკუთარ რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად თავისუფლად განსაზღვრონ ქალისა და მამაკაცის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსება;

ვადიარებთ რა, საერთო საკაცობრიო -ზნეობრივ ფასეულობებს, მათ შორის, ქალთა უფლებებს;

ვადიარებთ რა, რომ ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის მიუღებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ჩაგვრის ნებისმიერი ფორმა;

ვადიარებთ რა, რელიგიურ გაერთიანებათა დოქტრინების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ ადამიანის უფლებებს, როგორც მნიშვნელოვან სამოქალაქო ფასეულობას“ (რელიგიის სააგენტოს ვებგვერდი).

„საქართველოს მთავრობა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეობად წოდებულნი:

სურთ რა, განავითარონ სავაჭრო-ეკონომიკური, სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა,

აღიარებენ რა, რომ ასეთი თანამშრომლობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ეფექტური დაცვა,

აცნობიერებენ რა, ავტორთა და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა უფლებების დაცვისათვის ურთიერთხელსაყრელი პირობების შექმნის აუცილებლობას,

ხელმძღვანელობენ რა, სახელმწიფოებს შორის სუვერენული თანამშრომლობის პრინციპებით, საერთო ინტერესებითა და საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით...“ (საერთაშორისო შეთანხმება, 2015). (იხ.დანართი № 22).

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის

სინტაქსური თავისებურებები

ოფიციალური ენის სინტაქსი საერთოენობრივ პრინციპებსა და ნორმებს ეფუძნება, მაგრამ, ოფიციალურ-საქმიანი სტილის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და თვით ოფიციალური ტექსტის დანიშნულებიდან გამომდინარე, ხშირად განსაზღვრავს ტექსტის აგების სტრუქტურასა და წესს.

წინადადებათა ტიპები საინტერესოა მოდალობის მიხედვით, რამდენადაც წინადადებაში გამოთქმული აზრის მიზანი სხვადასხვაგვარია, ოფიციალური დოკუმენტები გადმოგვცემს ინფორმაციას, ცნობას გარემომცველი სინამდვილიდან ან გამოხატავს ნება-სურვილს, დავალებას, რომლის შესრულებასაც მოითხოვს

ადრესატისაგან. ამდენად, წინადადებაში ჩანს მთქმელის დამოკიდებულება და მიზანდასახულობა თქმულის შინაარსისადმი. მოდალობის მიხედვით საქმიან საბუთებში ძირითადად თხრობითი და ბრძანებითი წინადადებებია მიღებული. ნათქვამის მიმართება სინამდვილესთან ანუ მოდალობა სხვადასხვა საშუალებით გადმოიცემა. ოფიციალური დოკუმენტების თხრობითი ტიპის ტექსტები ყოველთვის გამოხატავს უქველობას, უტყუარობას, რისამე დადასტურებას. სინამდვილის თვალსაზრისით, თქმულის შინაარსში მთავარია ის, რომ მთქმელმა აზრი გადმოსცეს როგორც ნამდვილი, უტყუარი ფაქტი. საქმიან საბუთებში ამ ტიპის წინადადებები ძირითადია. სამართლებრივ აქტებში ასევე ძირითადია მეორე პირისადმი მიმართული მთქმელის გადაწყვეტილება, იმოქმედოს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ამგვარი წინადადებები კი არ გადმოგვცემს სინამდვილის რაიმე ფაქტს, არამედ ბრძანებას, რომელიც უნდა შესრულდეს მისამართი პირის მიერ. სწორედ ამ დანიშნულების გათვალისწინებით უნდა აიგოს ოფიციალურ ტექსტებში წინადადებები.

საქმიან საბუთებში გამოიყოფა სხვადასხვა სირთულისა და სტრუქტურის წინადადებები, რომელიც განკერძოებულ გამოთქმათა, გავრცობილ ერთგვაროვან წევრთა სიხშირესა და აქტივიზაციაში ვლინდება. მისი განსხვავებულობა განსაკუთრებით იმ ჟანრებში დასტურდება, რომლებშიც ტექსტის, გამონათქვამის ინფორმაციულობას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება. ასეთ ტექსტებში თვალშისაცემი და ნიშანდობლივია მსაზღვრელთა მრავალკომპონენტური პრეპოზიციური რიგები, რომლებშიც განსაზღვრების ფუნქციას რამდენიმე მეტყველების ნაწილი ასრულებს. ოფიციალურ დოკუმენტებში გვხვდება სამ, ოთხ, ხუთ და მეტკომპონენტური შესიტყვებები. მსაზღვრელთა ამგვარი სინტაგმატური ჯაჭვი, ხშირ შემთხვევაში, შედგება არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, მასდარისა და გასუბსტანტივებული მიმღეობისაგან. მსაზღვრელთა სიუხვეს, რაც ნიშანდობლივია ოფიციალური დოკუმენტებისათვის, ობიექტური საფუძველი გააჩნია, რადგან მასში გამოხატულია ოფიციალური სტილის ზოგადი ტენდენცია – რაც შეიძლება მინიმალური ენობრივი საშუალებებით გადმოიცეს მაქსიმალური ინფორმაცია,

რისთვისაც გამოყენებულია პოლივალენტოვანი პრედიკაციით გამოხატული შესიტყვებები, მაგალითად:

„ამ პროექტების წარმატებული განვითარება შესაძლებლობას ქმნის **ეფექტიანი, ნაყოფიერი და ხანგრძლივი** კავშირისათვის კასპიის აუზის ქვეყნებსა და, ძირითადად, შავ ზღვას შორის, რაც, თავისთავად, გულისხმობს კავშირს ევროპასთან“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14).

„ჩვენი მიზანია, ავაშენოთ ნამდვილად **დემოკრატიული, პროგრესული, ევროპული** სახელმწიფო და შევქმნათ ისეთი ძირითადი კანონი, როგორც ჩვენს ქვეყანას შეეფერება. მეამაყება, რომ ჩვენმა მთავრობამ უკვე უამრავი რამ გააკეთა იმ ინსტიტუტების გასაძლიერებლად, რომლებიც კონსტიტუციის დაცვას უზრუნველყოფენ, იქნება ეს **პარლამენტი, პრეზიდენტის ინსტიტუტი, სასამართლო თუ მედია**“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 24.08.15).

“2014 წლიდან ამოქმედდა „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი, რომელიც მიზნად ისახავს პოლიციის საქმიანობაში **კანონიერების, თანასწორობის, თანაზომიერებისა და პოლიტიკური ნეიტრალობის** პრინციპების განმტკიცებას” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ერთგვარ წევრთა სიხშირე ოფიციალურ მეტყველებაში ბევრად აღემატება მხატვრულ და სამეცნიერო სტილებისას და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ინფორმაციის გადმოცემაა, სწორედ ინფორმაციის დეტალიზებულად გადმოცემის საჭიროება იწვევს ამგვარ წევრთა სიჭარბეს, ეს მოვლენა ნიშანდობლივია ოფიციალური ენისათვის. ამის გარდა, საქმიანი საბუთების, მათ შორის, სამართლებრივი (საკანონმდებლო) ხასიათის დოკუმენტებისათვის დამახასიათებელია გრძელი, შერწყმული და რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი) წინადადებები, ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები:

ერთგვარწევრიანი წინადადებები:

“უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, **ქართველი, აფხაზი და ოსი დედები, მეუღლეები** თუ **შვილები** ცოცხლობენ იმედით, რომ ადრე თუ გვიან შეიტყობენ სიმართლეს დაკარგული ოჯახის წევრებზე“ (გიორგი ვოლსკის განცხადება, 27.08.15.).

„სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ სასამართლო სისტემის სტაბილურობა განაპირობებს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის მდგრადობას“ (პრეზიდენტის სიტყვა 11.12.14.).

„წელს პირველად ქართული დიპლომატიის ისტორიაში, ამბასადორიალის გახსნა წარიმართა ფართო წარმომადგენლობით ფორმატში, რომელსაც ესწრებოდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირები, თბილისში აკრედიტებული დიპლომატიურ კორპუსი და ქართველი დიპლომატები“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ვაშინგტონი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, დემოკრატიის განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებას“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

თანწყობილი წინადადებები :

„წარიმართა მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, გაღრმავდა ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირისა და ნატოსთან“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14).

რთული ქვეწყობილი წინადადებები:

“ეს გახლავთ ახალი აბრეშუმის გზის პროექტის ნაწილი, რომელიც წარმატებით განხორციელდა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და ჩინეთის უშუალო მონაწილეობით” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

“მისი ცოდნა და გამოცდილება დაგვეხმარება ვაწარმოოთ ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც კიდევ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან” (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

“ამ დარბაზებში მოსამართლეს აღვიქვამთ ჭეშმარიტების მატარებლად, რომელიც თავისი გადაწყვეტილებით ბევრ შეცდომას გაასწორებს” (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები:

„ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი არის ევროპული არჩევანი, რომელიც არასდროს გადაიხედება, რადგან ეს არის ხალხის არჩევანი და არჩევანი, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09. 15.).

„ახლა ოფიციალური პირებისგან გავიგეთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთიც, რომელიც ასევე საქართველოს ცენტრალური რეგიონი – ჩვენ გვაქვს უფლებაც და შესაძლებლობაც გადავჭრათ უამრავი პრობლემა, ვაქციოთ რეალობად ერთიანი, მშვიდობიანი საქართველო, თავისუფლებისა და თვითრეალიზაციის სივრცე ჩვენი მოქალაქეებისთვის – საერთო სახლი ქართველების, აფხაზების, ოსების, ამ მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხისათვის, მიმზიდველი ადგილი ყველა სტუმრისათვის“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14.).

“ჩვენ, მოქალაქეები, როდესაც ვეძებთ სამართალს, დაცვას ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, როდესაც მიგვაჩნია, რომ დაჩაგრული ვართ, ბოლო ინსტანციად სასამართლოს განვიხილავთ“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

„აბრეშუმის გზის ფორუმი“ საქართველოს წარმოაჩენს, როგორც ქვეყანას, რომელსაც რეალურად აქვს პოტენციალი, გახდეს რეგიონის ეკონომიკური ჰაბი“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09.15.).

„ეს არის ერთიანი, უწყვეტი სისტემა და მოიცავს მასწავლებლის ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს - თუ როგორი განათლებისა და კომპეტენციის მასწავლებელი უნდა მუშაობდეს სკოლაში, მასწავლებლების საუნივერსიტეტო მომზადების ახალ პროგრამებს, მასწავლებლის პროფესიაში შესვლის წესს და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ოთხდონიან სქემას, რომელიც განსხვავებით სერტიფიცირების ძველი ფორმატისაგან, გულისხმობს მასწავლებლის კომპლექსურ შეფასებას საგნის ცოდნის, პროფესიული უნარების, გაკვეთილზე პრაქტიკული საქმიანობისა და კლასგარეშე აქტივობების მიმართულებებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“... თანამედროვე, თავისუფალი, სუვერენული საქართველოს მთავარი მიზანი არის შექმნას ლოდი-საკიდური, რომელსაც დაეყრდნობა ქართული სახელმწიფო და ქართული საზოგადოება, რათა შექმნას არა მარტო განსაკუთრებული ინდივიდების კრებული, არამედ შექმნას ეპოქა, რომელშიც სასამართლო იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტის“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

როგორც წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, ოფიციალური დოკუმენტებისათვის ნიშანდობლივია შერწყმული წინადადებები. ამგვარი

წინადადებები ყველაზე მისაღები სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად: ერთგარი წევრები უფრო სრულად, ამომწურავად გადმოსცემენ შინაარსს, აძლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესიულობასა და ემოციურობას, რომელიც ასე აკლია საქმიან საბუთებს. ყველაზე ხშირად ოფიციალურ ტექსტებში ერთგვარგანსაზღვრებიანი წინადადებები გვხვდება. ერთგვარ წევრთა შეერთება, ძირითადად უკავშიროს ან უკანასკნელი ერთგვარი წევრი და კავშირითაა შეერთებული. უკავშიროდ შეერთებულია, ჩვეულებრივ, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები, რომლებიც აზუსტებენ და ავსებენ ერთმანეთს. გვხვდება შერული ტიპის შერწყმული წინადადებებიც, რომლებიც გამეორებებითა და მოდალური აქცენტებით რიტორიკულ სტილს ახასიათებს და უფრო საჯარო გამოსვლებსა და სიტყვებშია შესამჩნევი.

ოფიციალურ ტექსტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ რთული და მარტივი წინადადებების რაოდენობრივი შეფარდება რთულის სასარგებლოდ წყდება. ნაკლებადაა გამოყენებული თანწყობილი წინადადებები. რთულ წინადადებებში ქვეწყობა თითქმის სამჯერ აღემატება თანწყობას, ერთდამოკიდებულიანი ქვეწყობილი უფრო ნაკლებია, ხშირია ერთზე მეტდამოკიდებულიანი სტრუქტურები. ამ მაჩვენებლით ოფიციალურ-საქმიანი სტილი უახლოვდება სამეცნიეროს, ვიდრე პუბლიცისტურს. ოფიციალური მეტყველების სინტაქსს ბევრი ისეთი სპეციფიკური ნიშანი აქვს, რაც განასხვავებს მას სხვა ფუნქციური სტილებისაგან, კერძოდ, ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი არც სამეცნიერო და არც პუბლიცისტური სტილისათვის. საქმიანი საბუთებისათვის ნიშანდობლივია არაერთგვაროვანი დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც სხვადასხვა ტიპს განეკუთვნებიან, ან ერთი ტიპისანი არიან, მაგრამ წინადადების სხვადასხვა წევრს მიემართებიან. ამგვარ ტექსტებში ერთდროულად დასტურდება თანადაქვემდებარებაც და თანმიმდევრული დაქვემდებარებაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამა თუ იმ ტიპის რთული წინადადების ნაწილებს შეიძლება ახლდეს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმებიც. ამასთან მთავარი ან დაქვემდებარებული წინადადებები შეიძლება იყოს შერწყმული. ამგვარი რთული სინტაქსური კონსტრუქციები დასტურდება ნორმატიულ აქტებში (კანონი, ბრძანებულება) და ისეთ ოფიციალურ დოკუმენტაციაში,

როგორცაა: პროგრამა, სამოქმედო გეგმა, ანგარიში, მოხსენება და საინფორმაციო დანიშნულების სხვა საბუთები. მაგალითად:

„1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ (კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 13).

„1. ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი (კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 9).

„10. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომლის მომზადება და მიღება ხდება საქართველოს კანონის მომზადებისა და მიღებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად და რომელიც მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა“ (კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მუხლი 10).

ზემოთ მოყვანილ ყველა ზერთულ წინადადებაში აზრობრივი ვითარების გარკვევა რთულია, რთულია აზრის ენობრივად ზუსტად, სწორად გადმოცემა, მთავარი და დამოკიდებული წევრების მიმართების სწორად განსაზღვრა, ორაზროვნებისა და „სინტაქსური ასიმილაციის“ შემთხვევების თავიდან აცილება. წინადადების კონსტრუქციულ არასრულფასოვნებას, სიტყვათა განლაგებასთან ერთად, ქმნის ერთგვარ წევრთა სიჭარბეც და ხშირ შემთხვევაში შედეგად ვიღებთ გაუმართავ და აზრობრივად ბუნდოვან წინადადებებს, მაგალითად:

“ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროსა და მოსახლეობაში, ფაქტობრივად, ჯერჯერობით, მხოლოდ ელექტროენერგია არის ენერჯის ერთადერთი ძირითადი წყარო, რომელზეც მომხმარებელთა თითქმის მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება

არის ორიენტირებული, თანაც, ძირითადად, მუდმივი დებიტორის უფლების შენარჩუნებით, რაც მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შედეგაცაა“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, „საქართველოს რესპუბლიკა“ №153, 04.07.97 წ.).

მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებში ჰიპოტაქსური სინტაქსური კონსტრუქციების ნაცვლად უმჯობესია აზრი რამდენიმე რთული წინადადებით გადმოვიცეს. ამგვარ წინადადებებში ასევე გასათვალისწინებელია ჭარბი სიტყვებისა და ერთგვარი წევრების გამოყენების ფაქტორიც.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ ეს არ ეხება ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს (განკარგულება, დადგენილება, ბრძანება) და საქმიანი მიმოწერის ისეთ საბუთებს, როგორცაა წერილი, თანამდევნი წერილი, აქტი, ცნობა და მისთ. ამგვარი დოკუმენტები, რომლებიც თავისი დანიშნულებითა და სტრუქტურით არის მარტივი, ლაკონიური და ემსახურება ერთი კონკრეტული საკითხის წარმოჩენას, მარტივი წინადადებებით ფორმდება და მისთვის ხშირად არც ერთგვარი წევრების გამოყენებაა ნიშანდობლივი, მაგალითად:

„არჩეულ იქნეს გერმანე ფაცაცია საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 10.12.92.).

„საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომისიების კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით“ (პარლამენტის დადგენილება, 10.12.92.).

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, წარმოგიდგინთ „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს“ (პრემიერ-მინისტრის წერილი №63714, 11.09.15.).

“1. დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“ (მინისტრის ბრძანება №29, 24.09.15.).

„დაინიშნოს ივლიანე ხაინდრავა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ“ (პრეზიდენტის განკარგულება № 01/07/01, 01.07.14.).

საინტერესოა რთული წინადადების სტილისტიკური და ექსპრესიული ეფექტიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენადაა ამ ნიშნების მარეალიზებელი ერთეულები მიმაგრებული ტექსტთან, რომელიც სამეტყველო ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს ემსახურება, სწორედ ეს განსაზღვრავს საბოლოოდ ფუნქციურ სტილებს და, მათ შორის, ოფიციალურ მეტყველებასაც. ენობრივი ერთეულის ექსპრესიულ-სტილისტიკურ ეფექტს ქმნის, აგრეთვე, ამ ერთეულის აგებულება, მისი ფორმა, ამასთანავე ისიც, რა დანიშნულების საქმიან დოკუმენტშია იგი გამოყენებული.

ოფიციალურ-საქმიან მიმოწერაში იშვიათად გვხვდება ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ელემენტების გამოყენება. ასეთი ელემენტები მხოლოდ სხვადასხვა გამოსვლასა და ანგარიშში, მილოცვისა თუ სამძიმრის ტექსტშია შესაძლებელი. ამგვარი ტექსტებისათვის ბუნებრივიაა უშუალო, სასაუბრო ელემენტების ჩართვა და ამით მეტი ემოციური მუხტის შეტანა:

„...მაშინ ყველამ ერთხმად, აფხაზებთან და ოსებთან ერთად მკაფიოდ და ცალსახად განვაცხადეთ, რომ მიზნად ვისახავთ გავხდეთ თანამედროვე დემოკრატიული თანამეგობრობის სრულფასოვანი და ღირსეული წევრი, დავიმკვიდროთ ის ადგილი, რომელიც ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური კულტურის ერს სამართლიანად გვეკუთვნის. ეს მიზანი არასოდეს დაგვიყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ და, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მოქალაქეთა სახელით მკაფიოდ ვაცხადებ:

არც არასდროს დადგება! დღესაც ამ მიზანს ვემსახურებით!

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!” (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14.).

„ქართულ ისტორიაში 9 აპრილი სიამაყის ერთადერთი დღე არ არის – ჩვენი წარსული სავსეა ასეთი გამარჯვებებით, სულის გამარჯვებებით, ხშირად, შესაძლოა, ბევრად უფრო ძლიერ მტერზე, მაგრამ გამარჯვებით თავისუფლების მოყვარული

სულისა, რომელიც მუდმივად აძლიერებდა ჩვენს ქვეყანას, აძლევდა შესაძლებლობას, მომავალში მყარად გადაედგა ნაბიჯი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 09.04.14.).

საქმიანი დოკუმენტების სინტაქსი ხშირად იყენებს **უკავშირო რთულ წინადადებებს**, რაც ტექსტს უშუალობას, სიმსუბუქესა და მეტ თავისუფლებას სძენს. ამასთან, უკავშირო წინადადებებს გარკვეული ექსპრესიული ფუნქციაც აქვთ. დინამიკურობა, რაც მათ ახასიათებთ, ქმნის რიტმის გაძლიერების, თხრობის დაძაბულობის შთაბეჭდილებას. ამგვარი კონსტრუქციები წინადადებას სასაუბრო მეტყველების შეფერილობას აძლევს. ეს კი ოფიციალურ მეტყველებას, რომელიც თავისი აკადემიურობით გამოირჩევა, უაღრესად სჭირდება უკეთ აღქმისათვის. მაგალითად:

„ჩვენი მიზანია, ავაშენოთ ნამდვილად დემოკრატიული, პროგრესული, ევროპული სახელმწიფო და შევქმნათ ისეთი ძირითადი კანონი, როგორც ჩვენს ქვეყანას შეეფერება“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.04.14.).

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა, შეესწავლა სახელმწიფო საწარმოების მართვისა და განკარგვის პროცესი...“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„მოსამართლეს ექნება ვალდებულება, დაასაბუთოს კონკრეტულ მტკიცებულებებზე მითითებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

„განახლდა შსს-ს ვებგვერდი. მისი მეშვეობით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სამინისტროს სტრუქტურას, მიიღონ ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და მათი საქმიანობის შესახებ“ (მთავრობის ანგარიში, 04. 10.13.).

„მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ, ისარგებლონ მობილური აპლიკაციის მომსახურებით...“ (მთავრობის ანგარიში, 04. 10.13.).

„საქართველოს ახალარჩეულმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, განეხორციელებინა ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

უკავშირო რთულ წინადადებათაგან საქმიანი მიმოწერის დოკუმენტებში ნიშანდობლივია „გთხოვთ“ კონტექსტიანი, ე.წ. ინფინიტიური კონსტრუქციის წინადადებების ხშირი გამოყენება, განსაკუთრებით – წერილის დასასრულს, რომლებიც აგებულებით ჰიპოტაქსური კონსტრუქციისანი არიან, მაგრამ აქვთ მარტივი წინადადების სემანტიკა. ამგვარი კონტექსტი აღნიშნული სახის წერილების აუცილებელი კომპონენტია, რომელიც გარკვეულწილად აჯამებს სათქმელს და ითხოვს შესაბამისი სახელმწიფო მოხელისაგან კონკრეტულ გადაწყვეტილებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფრაზები ერთგვარად გაცვეთილია და შინაარსობრივზე მეტად ფორმობრივ აუცილებლობას უფრო წარმოადგენს, მაგალითად:

„გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს აღნიშნული ღონისძიების ფინანსური უზრუნველყოფა“, „ გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“, „ გთხოვთ უზრუნველყოთ აღნიშნული საკითხების სათანადოდ შესწავლა“, „ გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით“, „გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ წერილში დასმული საკითხი“, „გთხოვთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ შესაბამის უწყებასა და განმცხადებელს“, „ გთხოვთ გამათავისუფლოთ“ და მისთ.

თუ ოფიციალურ დოკუმენტებში წინადადებას შინაარსობრივად განვიხილავთ და დავახასიათებთ, ვნახავთ, რომ ის ძირითადად თხრობით ფორმას იყენებს და მისთვის ძახილისა და კითხვითი წინადადებები დამახასიათებელი არ არის. ოფიციალურ-საქმიანი სტილის დოკუმენტების გადმოცემის ფორმა ძირითადად ინფორმაციულია, ამიტომ წინადადების თხრობით ფორმას საჭიროებს. სამართლებრივი აქტებს რაც შეეხება, მისი გადმოცემის შინაარსი კატეგორიული და მბრძანებლურია, მაგრამ ამ შინაარსის გადმოსაცემად, ის ძახილის წინადადებას არ იყენებს და ამას ზმნის კავშირებითის ფორმით აღწევს. მაგალითად:

„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება

„საქართველოს საფოსტო ბანკის“ შესახებ

... 1. შეიქმნას „ საქართველოს საფოსტო ბანკის“ მზრუნველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით ...

2. **დაევალოს** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს (ნ. ჯავახიშვილი) **გაუწიოს** “ საქართველოს ეროვნულ ბანკს“ მეთოდოლოგიური დახმარება საბანკო საქმიანობის წარმოების საქმეში.
3. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ.ინჯია) **ხელი შეუწყოს** ბანკს თავის საქმიანობაში და **უზრუნველყოს** ბანკის მიერ ...
4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე) **აღმოუჩინოს** რეალური დახმარება „საქართველოს საფოსტო ბანკს“ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებაში მონაწილეობის მისაღებად და **გაუწიოს** მეთოდური დახმარება.

ე. შევარდნაძე

ქ.თბილისი, 1995 წლის 12 სექტემბერი“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27.09.95.)

„საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 886

2004 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის

გამართვის შესახებ

1. ... ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეული **გაიმართოს** საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით.
2. **დამტკიცდეს** საქართველოში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის თანდართული პროგრამა და მზადების გეგმა.
3. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, თბილისის მერიამ, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აქტიური **მონაწილეობა მიიღონ** და ყოველმხრივ **ხელი შეუწყონ** ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის ორგანიზატორებს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების მომზადებასა და გამართვაში.
4. ეთხოვოთ საქტელერადიომუწყებლობას (ზ.შენგელია), სხვა საინფორმაციო საშუალებებს **გააშუქონ** ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის მიმდინარეობა.
5. საქართველოში ისრაელ-საქართველოს მეგობრობის კვირეულის მზადებისა და გამართვის ღონისძიებათა კოორდინაცია **განახორციელოს** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ. მიხეილ სააკაშვილი“ (იხ. დანართი №23).

ამასთან ერთად, ოფიციალურ დოკუმენტებში მუდმივად გამოიყენება ზოგიერთი სინტაქსური ფიგურა, საქცევი, რომელიც სტილისტური ზეაწეულობითა და ექსპრესიულობით ხასიათდება, ეს ფიგურები ემყარება ერთგვაროვნების, გამეორების პროცესებს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილმა მაგალითებმა გვიჩვენა.

მრავალკომპონენტიანი რთული წინადადება დამატებით უნარს იძენს სასურველი ხარისხის ექსპრესიულობის მისაღწევად. პოტენციური ექსპრესიულობა დაკავშირებულია იმასთანაც, რომ ტექსტის სემანტიკა შეიძლება დახასიათდეს არა მარტო სინტაქსურ ერთეულთა სტილისტიკის მხრივ პარადიგმატულად, არამედ წინადადების წევრთა თანამიმდევრობასთან დაკავშირებული სტილისტიკური ხერხებითაც სინტაგმატიკურად, კერძოდ, წინადადების ნაწილებში სხვადასხვა ლექსიკური და სტრუქტურული ელემენტის გამეორება წინადადების შევსების საკუთრივ სტრუქტურული ან ლექსიკური მაჩვენებელი კი აღარ არის, არამედ წინადადების აგებულების სინტაქსურად მოწესრიგების ელემენტი ხდება. სწორედ ამ ელემენტთა ურთიერთგანლაგებასა და ურთიერთმიმართებას, ამასთან ერთგვაროვანი ნაწილების საერთო მიზანდასახულობას, ერთნაირი მოდალობისა და ზმნის დრო-კილოთა ფორმების გამეორებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპრესიული სინტაქსური ფიგურის აგებისას. რთულ წინადადებაში შეიძლება ისე განლაგდეს ენობრივი ერთეულები, რომ მათ გარკვეული სიმეტრია შექმნან, რაც კითხვის დროს თვალითაც აღიქმება, მაგალითად:

„განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტების **მშენებლობის**, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების **ხელშეუხებლობის**, დანაშაულისათვის სასჯელის **გარდაუვალობისა** და პოლიტიკური ნიშნით დევნის **დაუშვებლობის** მიმართულებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„წარმართა მუშაობა ქვეყნის უსაფრთხოებისა და რეგიონალური პოზიციების გამყარების მიმართულებით, **გალრმავდა** ინტეგრაციის პროცესი ევროკავშირისა და ნატოსთან“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ქართულ სასამართლო სისტემას, რომელიც დღეს მოკლედ მიმოვიხილეთ ამ შენობის ისტორიის ფონზე, ბუნებრივია, **ჰყავდა, ჰყავს და კვლავაც ეყოლება**

განსაკუთრებული მოსამართლეები, განსაკუთრებული პიროვნებები, რომლებიც ქმნიდნენ ამ სისტემისა და ჩვენი ერის ისტორიას“ (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

„განხორციელდა ისეთი ღონისძიებები, რომლებიც **განავითარებს** წვრილ და საშუალო ბიზნესს და სოფლის მეურნეობას, **დაიცავს** კერძო საკუთრებას და შრომით უფლებებს, **უზრუნველყოფს** მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირებას; შრომისუნარო მოქალაქეებს **შეუქმნის** ცხოვრების ღირსეულ პირობებს, რისთვისაც **დაამკვიდრებს** უსაფრთხო სოციალურ გარემოს და განავითარებს სოციალური სოლიდარობის სისტემას; **იზრუნებს** ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

რთულ წინადადებებში გარკვეული თანამიმდევრობის დაცვა, წინადადებებისა და ლექსიკური ერთეულების გამეორება თანდათან ამძაფრებს ექსპრესიასა და მოლოდინს, ინტერესს წინადადებაში გამოთქმული აზრის მიმართ, ამგვარ გამეორებებს აქვს თავისი ფუნქცია, სათქმელზე ყურადღების გამახვილების, აქცენტირების დანიშნულება, მაგალითად:

„განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე** დაფუძნებული ინსტიტუტების მშენებლობის, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობის, დანაშაულისათვის სასჯელის გარდაუვალობისა და პოლიტიკური ნიშნით დევნის დაუშვებლობის მიმართულებით“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ანაფორული სტრიქონები მრავალფეროვანია ოფიციალურ მეტყველებაში. იმის მიხედვით, თუ წინადადების რომელი წევრია გამეორებული, გვხვდება ანაფორული ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი და ირიბი დამატება და წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებიც, წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს:

“ეს ნიშნავს გამოხატვის **თავისუფლებას**, ეს ნიშნავს სიტყვის **თავისუფლებას**, ეს ნიშნავს მედიის **თავისუფლებას**, შეკრების **თავისუფლებას**, ეს ნიშნავს რწმენის არჩევისა და მისი აღსრულების **თავისუფლებას**; ეს ნიშნავს შრომის, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებას, ეს ნიშნავს უფლებას არა თუ არ იყო დაჩაგრული რაიმე ნიშნით, არამედ იყო **დაცული**“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„...ჩემთვის ეს კონკრეტული შემთხვევა არის ზოგადი, უფრო ფართო პრობლემის **სიმპტომი; სიმპტომი**, რომელმაც უნდა გვიბიძგოს სისტემის დახვეწისა და მომავალში ასეთი პრობლემის თავიდან აცილებისკენ“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„უნდა ჩამოვაყალიბოთ მართვის დასავლური სისტემა და ჭეშმარიტად სამართლებრივი **სახელმწიფო; სახელმწიფო**, სადაც სამართლის უზენაესობა არის ხელშეუვალი პრინციპი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14. 11.14.).

„მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით **მიმდინარეობს მუშაობა** ეროვნულ დონეზე ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის ამოქმედებასთან დაკავშირებით, **...მიმდინარეობს მუშაობა** იმისათვის, რომ განისაზღვროს სამედიცინო მომსახურების დონეების რეგიონალიზაცია...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ამისათვის, **მოხდება** საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლა მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით, **მოხდება** ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის შესწავლის ხელშეწყობა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით **მიმდინარეობს** დაზვერვის სამსახურის საქართველოს საგარეო უსაფრთხოების რეალობასთან მორგების პროცესი... **მიმდინარეობს** დაზვერვის სამსახურის საკანონმდებლო ბაზის დახვეწა...“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი არის ევროპული **არჩევანი**, რომელიც არასდროს გადაიხედება, რადგან ეს არის ხალხის **არჩევანი** და **არჩევანი**, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09 15.).

“ამავე დროს, ეს 120-წლიანი ისტორია არის დაპყრობილი ქვეყნის **ისტორია; ისტორია** ქვეყნისა, რომელიც თავისი ერის, თავისი საზოგადოების სამართლის აღსრულებას ნაკლებად, ნაწილობრივ თუ ახერხებდა” (პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14.).

„**განსაკუთრებულ** მადლობას გიხდით და **განსაკუთრებით** მოგმართავთ თქვენ, იმ ადამიანებს, რომელთა ოჯახებმაც იტვირთეს ჩვენი დღევანდელი გამარჯვებისა და სიამაყის ტვირთი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 09.04.14.).

ხაზგასმის ექსპრესიული ფუნქცია აქვს მაკავშირებელი სიტყვების, ზმნის (შემასმენლის) გამეორებასა და წინადადებების ერთგვაროვან წყობას:

„**მჯერა, რომ** ჩვენ დავამტკიცეთ, რამდენად ერთგული ვართ ჩვენი საერთო ფასეულობების მიმართ. **მჯერა, რომ** ჩვენი მეგობრები მსოფლიოს გარშემო შესაბამისად შეაფასებენ ჩვენს წვლილს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 27.06.14.).

ამგვარ წინადადებებში მაკავშირებელი სიტყვების, ზმნისა თუ სხვა ენობრივი ერთეულების გამეორების აუცილებლობა არ არის, მათ გარეშე ტექსტი აზრობრივად ბუნდოვანი არ იქნება, აქ მათ მხოლოდ სტილისტიკურ-ექსპრესიული ფუნქცია აკისრია. ტავტოლოგიის ოსტატურად გამოყენებით მიღწეულია ერთგვარი ეფექტი. წარმოდგენილ მაგალითებში გამეორების მიზანია მნიშვნელობაზე ყურადღების შეჩერება და კონცენტრაცია. შემოთავაზებულ ზოგიერთ მაგალითში კი სიტყვის გამეორება წინადადების სინტაქსური გამართულობის აუცილებლობითაა გამოწვეული. ამგვარი ტავტოლოგია სიტყვიერ ხელოვნებაში ბუნებრივ ტენდენციადაა მიჩნეული.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მომზადებული მილოცვის ტექსტები, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს ექსპრესიულ-ემოციურ კონტექსტს, რაც შესაძლებელია მიღწეულ იქნეს ლექსიკური ერთეულების გამეორებითა და ერთგვაროვანი სინტაქსური კონსტრუქციებით. ამგვარი ტექსტები მაქსიმალურად დაახლოებულია სასაუბრო ენასთან, შედარებით თავისუფალია ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი აკადემიზმისაგან, არის ლაკონიური, უფრო უშუალო, ბუნებრივი და ემოციური. ამგვარი ტექსტები უშუალობასთან ერთად დადებით - შემფასებლურია და შესაბამისად დატვირთულია ეპითეტებით, მეტაფორებითა და ხატოვანი გამოთქმებით, ერთგვარია ინტონაციური წყობა, რაც ოფიციალური მეტყველების სხვა ჟანრებისათვის დამახასიათებელი არ არის. მაგალითად:

„წერილი საქართველოს ქალებს

...რადამ უნდა გამაკვირვოს თითქოს და, რადამ უნდა შემძრას, მაგრამ როდესაც გავიგე თქვენი თავგანწირული და მართლაც ქალური განზრახვის შესახებ – ჩამოხვიდეთ აფხაზეთში და ჩადგეთ მებრძოლ მხარეთა შორის, სული შემეხუთა, როგორ გამწარებულხართ, რამდენი დარდი და ცრემლი გიტარებიათ და როგორ არ გაბოროტებულხართ, როგორი სიყვარულით და სხვისთვის ზრუნვით ხართ ისევ აღსავსე. თქვენთვის ნამდვილად ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც. თქვენ,

სილამაზისთვის და თაყვანისცემისთვის გაჩენილნი, მძიმე გზას შეუდექით, საქართველოში სიცოცხლის გადარჩენის მძიმე გზას...

თქვენი ედუარდ შევარდნაძე“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.09.93).

„ედმონდ კალანდაძეს

ბატონო ედმონდ,

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, მხნეობას, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ.

თქვენ დიდი ხელოვანი ბრძანდებით, რომელმაც მრავალფეროვანი და განუმეორებელი სამყარო შექმნა, თითოეული ჩვენგანი მშვენიერებას აზიარა და ეს ქვეყანა სიყვარულითა და სითბოთი სავსე ფერებით დაანახვა. თქვენი პალიტრა ტკივილით, სიხარულითა და სიყვარულით სავსე სინამდვილეა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, რომელიც ასე გვიყვარს და რომლითაც ასე ვამაყობთ. თქვენ მრავალ ქვეყანას აჩვენეთ, როგორია ქართველი კაცი, ქართული სული, როგორია საქართველო, საიდან მოვდივართ და საით ვისწრაფვით. თქვენ არაერთი საოცარი წამი გააჩერეთ – და ამით სიხარული და სილამაზე მიანიჭეთ ადამიანებს. თქვენი შემოქმედება ეს ჩვენი ცხოვრებაა, ეს ჩვენი რეალობაა, ეს ნამდვილი ხელოვნებაა, მისთვის დამახასიათებელი სისადავითა და სიდიადით გამორჩეული.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ შესანიშნავი შემოქმედებისათვის, იმ ღვაწლისათვის, რომელიც ჩვენს ქვეყანას საუკეთესოთა შორის მიუჩენს ადგილს. გისურვებთ წარმატებას ქართული კულტურისა და ჩვენი ქვეყნის სასახელოდ.

პატივისცემით,

მიხეილ სააკაშვილი“ (იხ. დანართი № 24).

ოფიციალურ ტექსტებში ნიშანდობლივია შეპირისპირებითი, შედარებითი წინადადებები, კერძოდ, ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები რომლებსაც დაწყვილებული კავშირები – ისე, როგორც – ქმნის და რომელიც ასევე გარკვეულ ემოციურ მუხტს და საკითხზე ყურადღების გამახვილების ფუნქციასაც ასრულებს, მაგალითად:

„სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის პროცესში შეიცვალა მიდგომები ისეთ კონცეპტუალურ საკითხებზე, როგორცაა, სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვ.“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

“დისკრიმინაციის აკრძალვა ხდება როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში” (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის განვითარების და ეკონომიკური ზრდისათვის, ისე თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისათვის“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ამჟამად სტანდარტში მოცემულია 12 სხვადასხვა ტიპის რაციონი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პატიმართა კატეგორიებს, ისე მათ ფიზიკურ აქტივობასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

ისეთი ოფიციალური დოკუმენტებისათვის, როგორცაა: დებულება, ანალიზი, საანგარიშო მოხსენება, სამართლებრივი აქტებიდან - განკარგულება, ბრძანებულება, ნიშანდობლივია ჩამონათვალის სახით წინადადებების განლაგება, საკვანძო სიტყვის გამოორება, რაც ასევე სპეციფიკური, დამახასიათებელი თავისებურება გახლავთ ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ამგვარი სახეობის საბუთებისათვის.

ჩამონათვალი არის ერთგვარი ფორმა, რომელიც ემსახურება და ხელს უწყობს წარმოდგენილი შინაარსის ხაზგასმასა და ამით მისთვის გარკვეული მნიშვნელოვნების შექმნას. მაგალითად:

„1. ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს სააგენტოსა და ცენტრის დამფუძნებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში;

2. ცენტრი აწარმოებს სამეცნიერო-აკადემიურ კვლევას სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებით, ამზადებს ანალიზს, დასკვნებს წარუდგენს სააგენტოს.

3. ცენტრი მართავს დისკუსიებს, სემინარებს, პრეზენტაციებს, ამუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საჭიროების შემთხვევაში, ცენტრი იწვევს დამოუკიდებელ ექსპერტებს და თანამშრომლობს ცენტრის არაწევრ უცხოურ და ადგილობრივ აკადემიურ ინსტიტუტებთან” (კვლევის ცენტრის დებულება).

მთავარი წევრების ამგვარი რიგი – შემასმენელი-ქვემდებარე – მეორდება სიტყვაფორმა „დაევალოს“ შემცველ ყველა წინადადებაში. ამგვარი სინტაქსური კონსტრუქციები საქმიანი საბუთების მნიშვნელოვანი, აუცილებელი კომპონენტი და დამახასიათებელი ნიშანია, ამით ხაზგასმულია ქმედება, რომლის შესრულებაც სავალდებულო ხდება წარმოდგენილი ნორმატიული აქტით, მაგალითად:

„ 1. დამტკიცდეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების, მეძუძურ დედათა დაცვისა და ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების თანდართული ერთიანი სახელმწიფო პროგრამა.

2. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურისა და განათლების დარგის მუშაკებს წახალისონ ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების პრაქტიკა, უზრუნველყონ მოსახლეობა სრული ინფორმაციით ხელოვნური კვების უარყოფითი შედეგებისა და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების შესახებ.

3. ... შეტანილ იქნეს ჩვილ ბავშვთა ბუნებრივი კვების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისი სპეციალური სალექციო და პრაქტიკული კურსი....

4. ეთხოვოს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კორპორაციას საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე შემოიღოს რეგულარული გადაცემები...“ (პრეზიდენტის ბრძანებულება, 04.01.97.).

ოფიციალურ-საქმიან სტილზე გავლენის მქონე ექსტრალინგვისტურ ფაქტორებსა და თავისებურებებზე საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ოფიციალურ მეტყველებაში ინფორმაციის გადმოცემასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განსჯასა და მტკიცებას, რასაც, თავის მხრივ, დასაბუთება ესაჭიროება. ამიტომ შესაძლებლობის, ვარაუდის, აუცილებლობის, პირობის, დაშვების, მიზნისა და სხვა მოდალობის განსხვავებულ ელფერთა გადმოსაცემად ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ფართოდ

გამოიყენება იმგვარი ენობრივი ერთეულები, რომლებიც გადმოგვცემენ მეტყველების შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, იქნება ეს ჩართული, თუ განკერძოებულ სიტყვათა და გამოთქმათა სხვა ჯგუფები. აღნიშნული ენობრივი ელემენტები სინტაქსურად არ არიან დაკავშირებული წინადადებასთან. ოფიციალურ ტექსტებში მათი გამოყენება უკავშირდება არსებული ვითარების დაზუსტებას, ხაზგასმას, საგანგებო სიტუაციაზე ყურადღების გამახვილებასა და ამასთან ერთად, იმის გადმოცემას, თუ როგორ უყურებს და აფასებს კომუნიკატორი წინადადებაში გამოხატულ აზრს. ოფიციალური მეტყველება, ჩვეულებისამებრ, გამოთქმულ მოსაზრებასა თუ გადაწყვეტილებას წარმოადგენს, როგორც ფაქტს. ამიტომ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების მრავალფეროვანი ჯგუფიდან ყველაზე მეტად იყენებს ჩართულს. ჩართულის სტილისტიკურ-სემანტიკური ფუნქციები შემდეგი ხასიათისაა: ინფორმაციული (მოუბარი აზოგადებს ან აკონკრეტებს ამბავს; მიუთითებს ნაამბობის თანმიმდევრობაზე ან მოწოდებული აზრის წყაროზე), შემფასებლური (მოუბარი აფასებს წარმოდგენილ აზრს/მოსაზრებას) ან ემოციურ-შემფასებლური (მოუბარი გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას ინფორმაციის მიმართ). მაშასადამე, ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მიუხედავად ფუნქციათა მრავალგვარობისა, ახასიათებთ ერთი სპეციფიკური ნიშანი: გადმოცემული ინფორმაცია დანახული და შეფასებულია მხოლოდ მთქმელის პოზიციიდან. ოფიციალურ დოკუმენტებში ჩართულის ჭარბად გამოყენებაც ზემოთ აღნიშნულ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებში უნდა ვეძიოთ. კერძოდ: საქმიანი დოკუმენტებში ინფორმაციულობის მაღალი ხარისხი, თავის მხრივ, იწვევს ლოგიკური მსჯელობისა თუ მოდალური ნიუანსების შემცველ წინადადებათა თუ შესიტყვებათა მომრავლებას, ზოგიერთ შემთხვევაში (მოხსენებები, გამოსვლები, ანგარიშები, პროექტები და მისთ.) კი – სასაუბრო ენის ნაკადის შემოჭრას. ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ადგილი წინადადებაში თავისუფალია.

ოფიციალურ დოკუმენტებში მრავლად დასტურდება ისეთი ჩართულები, რომელთა საშუალებითაც მთქმელი აფასებს, აზუსტებს, განაზოგადებს და, რაც მთავარია, დარწმუნებულია და ადასტურებს გადმოცემული აზრის უქველობას. ზოგიერთს შედგენილი შემასმენლის ფორმა აქვს. როგორც ცნობილია, როგორც

დადგენილია, როგორც აღვნიშნეთ, როგორც გათვალისწინებულია, როგორც ჩანს, როგორც მითითებულია, ცხადია, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რა თქმა უნდა, რასაკვირველია, კერძოდ და მისთ. მაგალითად:

„როგორც ცნობილია, პირადი ცხოვრების საიდუმლოება იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდად დაცული უფლება, მუდმივად ირღვეოდა პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობა“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ხაზგასმით მინდა ვთქვა ის, რომ უელსის სამიტისთვის მზადება უნდა იყოს ყველა ჩვენი დიპლომატიური მისიის მიზანი“ (პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14.).

„საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში განისაზღვრა ახალი ტიპის დაწესებულებები, კერძოდ, დაბალი და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს, მისივე წერილობითი თანხმობით, დაეკისრება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დადგენილი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო აქტივობებში“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

დიდი მნიშვნელობა აქვს საქმიან საბუთებში გადმოცემულ ინფორმაციაში გამოხატულ აზრთა თანამიმდევრობას და მის ლოგიკურ კავშირს წინ გამოთქმულ მოსაზრებასთან, ასეთ კონტექსტში ჩართულს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია და ხშირად გამოიყენება: **ჯერ ერთი, მეორეც, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ერთი, მეორე, მიუხედავად ამისა, მაგალითად, სხვათა შორის, აქვე მინდა აღვნიშნო და მისთ.**

„პირველი – ეხება სტიქიური მოვლენების პრევენციას, მეორე – ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას, მესამე – კი სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას გულისხმობს“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

„ერთი არის ჩვენი პოლიტიკური კურსი და მეორე – ყველა სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09 15.).

„აქვე მინდა აღვნიშნო, უელსის სამიტის უდიდესი მნიშვნელობა, რომელზეც ჩვენ ვიქნებით წარმოდგენილი სექტემბერის დასაწყისში“ (პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14.).

„თუმცა მიმდინარე ეტაპისათვის, სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალი სხვადასხვა სისტემაში იმართება, რაც, **ერთი მხრივ**, დაკავშირებულია DMFAS-ის მხარდაჭერისათვის ყოველწლიურ ხარჯებთან, ხოლო, **მეორე მხრივ**, EDMS-ის განვითარებისათვის საჭირო ფინანსურ რესურსებთან“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„**მაგალითად**, აქტიური ნივთიერება კეტოკონაზოლის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან ამოღების შესახებ ბრძანება სააგენტომ 8 თვის დაგვიანებით გამოსცა“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„**ამასთანავე**, პროგრამაში არ იყენებენ ვალის მდგრადობის ანალიზისა და რისკების შეფასებისათვის საჭირო ფუნქციონალურ მოდულებს“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„**სხვათა შორის**, ამ მხრივ ბევრი ჩინელი უკვე გაეცნო საქართველოს - ჩვენი ღვინის ექსპორტი ხომ 41 და 31 პროცენტით გაიზარდა 2014 და 2015 წლებში“ (პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 11.09.15.).

„ყველა იზოლატორში დამონტაჟდა ვიდეოკონტროლის სისტემები. პერიოდულად ხორციელდება დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა ტრენინგი, **მათ შორის**, ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების საკითხებზე“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

თანამიმდევრობის გამომხატველი ჩართულები მეტწილად ნიშანდობლივია ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტებისა და მსგავსი დანიშნულების საბუთებისათვის.

ოფიციალურ ტექსტებში ერთგვარი შემაჯამებელი ფუნქცია აკისრია ჩართულებს: **ამრიგად, ამდენად, მაშასადამე, ამასთან, ამასთან ერთად** და მისთ. ამგვარი განკერძოებული სიტყვები საინფორმაციო დანიშნულების მქონე საქმიან საბუთებში მრავლად დასტურდება. მაგალითად:

„**ამასთან**, ხშირ შემთხვევაში სახელმძღვანელო ლიტერატურა არის მოძველებული, ხოლო მისი ავტორი და საგნის ლექტორი წარმოადგენს ერთსა და იმავე პიროვნებას“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„ამდენად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად მიმაჩნია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გაძლიერება, მისი აღჭურვა კონტროლის განხორციელებისა და რეაგირების მეტი, ეფექტური მექანიზმებით“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„ამასთან, განსაკუთრებით უნდა შევჩერდე პროკურატურის რეფორმირების საკითხზე“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„ამასთან, გათვალისწინებულია ასევე საერთაშორისო სტანდარტი იძულების ღონისძიებების გამოყენებით მინიმალური ზიანის მიყენებასთან მიმართებით“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

ოფიციალური დოკუმენტების, განსაკუთრებით კი სამართლებრივი აქტების, აუცილებელი კომპონენტია მიღებული კანონისა თუ გადაწყვეტილების წყაროს მიმთითებელი ჩართული, რომლის საფუძველზეც გამოცემულია ან რომელსაც ეყრდნობა ესა თუ ის დოკუმენტი. ამგვარი სემანტიკის ჩართულობა: **შესაბამისად, საფუძველზე, თანახმად, მიხედვით, განმარტებით** და მისთ. მაგალითად:

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 257-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების **შესაბამისად**, საქართველოს პარლამენტი ადგენს: 1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი ...“ (პარლამენტის დადგენილება ბიუჯეტის შესახებ).

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის **შესაბამისად**, დამტკიცდეს ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა...“ (მთავრობის დადგენილება №496 15.08.14.).

„... საქართველოს კონსტიტუციის მე-100 მუხლის პირველი პუნქტისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-13 პუნქტის **თანახმად**, გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამხედრო ძალების ქვედანაყოფი..“ (პრეზიდენტის ბრძანება № 6, 24.07.15.).

„დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის **საფუძველზე**, ... გათავისუფლდეს გიორგი გორგილაძე პორტუგალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობიდან...“ (პრეზიდენტის განკარგულება № 29/07/02, 29.07.15.).

„საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის **საფუძველზე** და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 1 ნოემბრის №1553 ბრძანების **შესაბამისად**, ვბრძანებ“: (კანცელარიის უფროსის ბრძანება № 275, 14.06.13.).

„ამ შეთანხმების მიხედვით, გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელნი იქნებიან მუნიციპალიტეტები ან კერძო კომპანიები...“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„აუდიტის პერიოდში ჩატარებული ინსპექტირების ანალიზიდან ჩანს, რომ არ მომხდარა საქართველოს რეგიონებში არსებული ავთიაქების წარმომადგენელთა შერჩევის უზრუნველყოფა...“ (სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014.).

„წინასწარი მონაცემებით, დანარჩენები წარმატებით ასრულებენ მკურნალობას“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„არსებული პრაქტიკით, საორგანიზაციო კომისიაში ასევე შეიძლება შედიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები და ექსპერტები“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„**რეზოლუციის მსგავსად**, კანონი ითვალისწინებს პოლიციელის მიერ იძულების ღონისძიებების გამოყენების შედეგად დაზარალებული პირის მიმართ სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივ აღმოჩენის ვალდებულებასაც“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის, აზრის ხაზგასასმელად, ყურადღების გასამახვილებლად საქმიან საბუთებში გამოიყენება შემდეგი ჩართულები: **უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, საგულისხმოა, რაც მთავარია და სხვ.**

“**უპირველეს ყოვლისა**, დღეს ჩვენი მიზანია ავაშენოთ ქართული სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებისთვის” (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

“**სამწუხაროდ**, ბოლო წლის განმავლობაში ჩვენი რეგიონის და, ალბათ, არა მარტო ჩვენი რეგიონის უსაფრთხოების სისტემები მნიშვნელოვანწილად შეირყა და გამოცდის წინაშე დადგა” (პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14.).

“რასაკვირველია, ხელისუფლება უმთავრესია, ვისაც თითოეული ჩვენგანის განვითარების პირობათა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეკისრება“ (პრეზიდენტის სიტყვა, 14.11.14.).

„საგულისხმოა, რომ მიმდინარე წელს ევროპის საბჭოსთან ერთად შემუშავდა სამწლიანი სამოქმედო გეგმა...“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13).

„რეგიონში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით მიმდინარეობს დაზვერვის სამსახურის საქართველოს საგარეო უსაფრთხოების რეალობასთან მორგების პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს მის ინსტიტუციონალურ დახვეწას“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„სამწუხაროდ, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, 2014-15 წლების სახელმწიფოს ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ იქნა ასახული საქართველოს პარლამენტის ვალდებულება...“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

ოფიციალურ დოკუმენტებში ექსპრესიულობის გამომხატველი ჩართულები (ფიცის ფორმულები, საალერსო შინაარსის გამომხატველი და სხვ.) არ დასტურდება, რადგან ოფიციალურ ტექსტებში მაქსიმალურად შეზღუდულია ამგვარი სემანტიკა.

განკერძოებულ სიტყვებთან ერთად, წინადადების შემადგენლობაში ხშირად მოიპოვება აზრობრივად და ინტონაციურად გამოყოფილ, განკერძოებულ სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ წევრის შესახებ, ოფიციალური ტექსტი ხშირად მიმართავს ამგვარ განკერძოებულ გამოთქმებს – დანართებს, რომლებიც უფრო მეტ გამომსახველობით ძალას მატებს წინადადების იმ წევრს, რომელსაც ახლავს და მთლიანად წინადადებასაც. განკერძოება საქმიან საბუთებში ეხება როგორც მთავარ წევრებს, ასევე მეორეხარისხოვანსაც. ნიშანდობლივია ისეთი შემთხვევებიც, როცა დამაზუსტებელი წევრი უფრო ფართო ცნებას გამოხატავს, ვიდრე დასაზუსტებელი და ამასთან, დამაზუსტებელ წევრს შეიძლება ახლდეს თავისი დამაზუსტებელიც. განმმარტებელი სიტყვა ზოგჯერ ჩართულია წინადადებაში შენიშვნისა თუ ახსნა-განმარტების სახით და წერის დროს ფრჩხილებშია ჩასმული, განვიხილავთ სხვადასხვა მაგალითს:

“პრეზიდენტი ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს – კონსტიტუციურ ორგანოს, ნიშნავს მის მდივანს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„ერთ-ერთი მთავარი ადამიანური ფასეულობის – თავისუფლების – სრულფასოვნად განსახორციელებლად საკმარისი არაა ადამიანები დაცულნი იყვნენ პოლიტიკური ზეწოლისაგან“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„დღეისათვის საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია კანონპროექტები, შესაბამისი თანდართული დოკუმენტაციით“ (სამთავრობო გეგმა, 15.09.15.).

„შესაბამის განკარგულებას მე მას შემდეგ მოვაწერ ხელს, რაც თქვენ, საქართველოს პარლამენტი, მიიღებთ საარჩევნო კოდექსს“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

მივესალმები მასშტაბურ პროექტს – საყოველთაო დაზღვევას, რომელიც ამ პოლიტიკის ერთგვარი სიმბოლო გახდა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„სამინისტრო, როგორც წესი, არ ახდენდა საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ წერილობითი გადაწყვეტილების დროულ გაგზავნას ადრესატ დევნილ ოჯახებთან“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

“საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა შერჩევისას დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს – კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

„შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარედ, სოფელ ტყვიავში, მიმდინარეობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის მშენებლობა/მოწყობა, რაც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის ბოლოსათვის“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ რუხში, კონფლიქტის ზონასთან მიმდებარედ, 2014 წლის აგვისტოში დაიწყო ახალი მულტიპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომლისგანაც პრეზიდენტი ამ კონსტიტუციით უკვე გამიჯნულია, მას უფლება აქვს მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„2014 წელს ჩვენს წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა – არა მხოლოდ ჩავატაროთ თვითმმართველობის არჩევნები, არამედ რეალურად ავამუშაოთ თვითმმართველობის სისტემა“ (პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14.).

„ეროვნული ბანკის ამოცანის – საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობის, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის – სააგენტოს ამოცანად განსაზღვრა“ (პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, № 07-1/141, 31.07.15.).

“კანონპროექტის მიღების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა განვითარებული ქვეყნების მაგალითი, ... კერძოდ, განცალკევებული (S) მოდელის ქვეყნები (ევროკავშირის ქვეყნები: დანია, ბელგია, ლუქსემბურგი, ფინეთი, ირლანდია, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო; ევროპული ქვეყნები: შვეიცარია, ნორვეგია, ავსტრალია, ასევე კანადა, მექსიკა) და შერეული (M) მოდელის ქვეყნები, სადაც ზედამხედველობა სრულიად ან ნაწილობრივ დამოუკიდებლად ხორციელდება (ევროკავშირის ქვეყნები: ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი; ასევე იაპონია) (პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, № 07-1/141, 31.07.15.).

„... საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ მოქმედი ორგანული კანონით ეროვნული ბანკისათვის საფინანსო სექტორის (კომერციული ბანკები, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, აქტივების მმართველო კომპანიები, ანგარიშვალდებული საწარმოები, საგადასახადო სისტემის ოპერატორი და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი) ზედამხედველობის უფლებამოსილება გადაეცემა სააგენტოს“ (პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, №07-1/141, 31.07.15.).

„ზემოხსენებული კანონპროექტით, ძირითადი პრინციპების დონეზე ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის (შემდგომში - ეროვნული ბანკი) კანონით მინიჭებული მნიშვნელოვანი ფუნქციის – საფინანსო სექტორის ზედამხედველობის განხორციელების – სააგენტოსთვის გადაცემა“ (პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, № 07-1/141, 31.07.15.).

„ამ პრინციპების შესაბამისად მომზადებულ ცვლილებებს ექნებათ სწორედ ის შედეგი, რაზეც საუბრობენ შეფასების ავტორები – რომ „ხელისუფლებამ პროკურატურის ინიცირებული რეფორმის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციური გარანტიების შექმნა პროკურატურის სისტემის დამოუკიდებლობისთვის პოლიტიკური გავლენებისაგან“ (მთავრობის კომენტარები, 05.15.).

„შემუშავდა რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის ტრანსფორმაციის კონცეფციის მიმოხილვის დოკუმენტის პროექტი (მწვანე წიგნი)“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„დასრულდა 9 მუნიციპალიტეტში (ლაგოდეხი, თიანეთი, ხაშური, ნინოწმინდა, ახალგორი, ონი, ოზურგეთი, ხარაგაული, დუშეთი) კულტურის ობიექტების კინოჩვენებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით აღჭურვა“ (მთავრობის ანგარიში, 12.09.14.).

„ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მთავრობამ აღმოაჩინა დიდი რაოდენობით სრულიად უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერები, რომლებიც ძირითადად შეიცავდა სხვადასხვა საჯარო პირის – პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, სასულიერო პირების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, პირადი და ინტიმური ცხოვრების ამსახველ ვიდეოკადრებს“ (მთავრობის ანგარიში, 04.10.13.).

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენის გამომსახველობით საშუალებათა გვერდით მუდმივად მოქმედებს სამეტყველო ფორმულათა განახლების ტენდენცია. ნებისმიერი ცოცხალი ენის სტანდარტიზაცია შეზღუდულია თვით ენის ბუნებით, მისი ლექსიკური და გრამატიკული პოლივალენტურობით, მიუხედავად ამ შეზღუდვისა, ენაში საკმაოდაა მზა სამეტყველო ფორმულები, რომლებსაც საენათმეცნიერო ლიტერატურაში სინონიმური ტერმინებით: მყარი გამონათქვამები, კლიშე, შტამპი, შაბლონი, ტრაფარეტი – აღნიშნავენ (კვარაცხელია, 1990, 132). ამგვარი სამეტყველო სტერეოტიპები ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების ენაში სტანდარტიზაციის შინაგანი მოთხოვნით წარმოიქმნება და მისი კონსტრუქციული ელემენტია. მათი საშუალებით ადვილდება კომუნიკაციის პროცესი. სიტყვიერი ფორმულა ოფიციალური ენის სემანტიკურ და სტრუქტურულ ტევადობას, კონდენსაციას

განაპირობებს და შესაბამისად, დიდი ადგილი უჭირავს რაციონალური და მშრალი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაწყვეტად. მისი მემწეობით უფრო ზუსტად და ობიექტურად ხერხდება დამოკიდებულებათა გამოხატვა, მოვლენის განსჯა და ახსნა, ამა თუ იმ მოვლენასა თუ ინფორმაციაზე ოპერატიულად რეაგირება, ადვილდება ურთიერთგაგებისა და პროფესიული კომუნიკაციის პროცესი, იზოგება დრო და ენერგია სააზროვნო ამოცანის შესასრულებლად (არაბული, 2004, 251). თუმცა რეგულარული გამოყენების შედეგად მკრთალდება მათი ემოციურ-ექსპრესიული შეფერილობა და ეს გამონათქვამები ერთგვარი სავალდებულო ფორმულების სახეს იღებს. საქმიან საბუთებში მრავლად დასტურდება ამგვარი სტერეოტიპები, ოფიციალური დოკუმენტებისათვის ნიშანდობლივი სტანდარტული გამონათქვამებია: „მიღებულ იქნეს ცნობად“, „ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე“, „ცნობა ეძლევა მასზედ, რომ“ და მისთ. აქვე უნდა დასახელდეს ისეთი სტანდარტული განკერძოებული გამოთქმები, რომლებიც თავისებურ, ოფიციალურ სტილისტიკურ ელფერს სძენენ საქმის საბუთებს: საზოგადოდ, ამგვარად, ამდენად, არა მხოლოდ, კერძოდ, ძირითადად, ე.ი., ე.წ., როგორც ვხედავთ, როგორც ცნობილია, ამასთან, შესაძლებელია, თავის მხრივ და მისთ. ერთგვარი სავალდებულო ფორმულების სახეს იღებს სიტყვათშეთანხმებები, ფიგურალური გამოთქმები: საქმის კურსშია, გავლენის ქვეშ მოექცა, მოკლე ვადებში, ხაზგასმით აღინიშნა, წვლილი შეიტანა, მიიღო ზომები, ზეგავლენას ახდენს, ყურადღება გაამახვილა, სახეზეა, ახორციელებს ჩანაფიქრს, შედეგს მიაღწიეს, მჭიდრო კავშირი, გულწრფელი თანაგრძნობა, ნათელი დადასტურება, წარმოებს მოლაპარაკება, ზიანი მიადგა, პრობლემის გადაწყვეტა, პოზიციის დაფიქსირება, სიახლეთა დანერგვა, აღებული ვალდებულება, დასახული ამოცანა, ადგილი აქვს, ხელს უწყობს და მისთ. ამგვარი ლექსიკა ოფიციალურ ენას გამოარჩევს მეტყველების სხვა სახეებისაგან, თუმცა, არცთუ იშვიათად, მსგავსი ფორმები (ადგილი აქვს - რუს. Имеет место; საქმე იმაშია, რომ - რუს. дело в том что; თვალყურის დევნება რამეზე - наблюдать за чем то; სახეზეა - რუს. налицо და სხვ.) წარმოადგენენ უცხოენოვან კალკებს, არაბუნებრივ სტრუქტურულ ერთეულებს, აღარიბებენ ენას და ამით დამატებით პრობლემას ქმნიან სალიტერატურო ენის სიწმინდისა და ბუნებრიობის დაცვის თვალსაზრისით (არაბული, 2004, 252).

წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ:

1. ოფიციალური ენის სინტაქსი საერთოენობრივ პრინციპებსა და ნორმებს ეფუძნება, მაგრამ ოფიციალურ-საქმიანი სტილის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებისა და თვით ოფიციალური ტექსტის დანიშნულებიდან გამომდინარე, ხშირად აწესებს ტექსტის აგების სტრუქტურასა და წესს.

2. ოფიციალურ დოკუმენტებში რთული და არართული წინადადებების რაოდენობრივი შეფარდება რთულის სასარგებლოდ წყდება. ნაკლებად გამოიყენება შერწყმული წინადადებები, რთულ წინადადებებში ქვეწყობა თითქმის სამჯერ აღემატება თანწყობას. რთულ ქვეწყობილ წინადადებებში ერთდამოკიდებულებიანი ქვეწყობილი უფრო ნაკლებია, ხშირია ერთზე მეტდამოკიდებულებიანი სტრუქტურები. საკანონმდებლო და ნორმატიული სამართლებრივი აქტებისათვის, ანგარიშების, მოხსენებებისა და სამოქმედო გეგმებისათვის ნიშანდობლივია ზერთული სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებშიც, ხშირ შემთხვევაში, აზრობრივი ვითარების გარკვევა რთულია და შესაბამისად, რთულია ორაზროვნებისა და „სინტაქსური ასიმილაციის“ შემთხვევების თავიდან აცილება. ამიტომ ამგვარი კონსტრუქციების ნაცვლად სასურველია აზრი რამდენიმე რთული წინადადებით გადმოიცეს. ყურადღება უნდა მიექცეს ჭარბსიტყვაობის ფაქტორს. საქმიანი დოკუმენტების სინტაქსი ხშირად იყენებს უკავშირო რთულ წინადადებებსაც.

3. ოფიციალურ დოკუმენტებში მუდმივად გამოიყენება ზოგიერთი სინტაქსური ფიგურა, საექვევი, რომელიც სტილისტიკური ზეაწეულობითა და ექსპრესიულობით ხასიათდება, ეს ფიგურები ემყარება ერთგვაროვნებისა და გამეორების პროცესს.

4. ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში გამოყენებული განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები მრავალფეროვანია. მიმართვა, ჩართული, დანართი სინტაქსურად არ არიან დაკავშირებული წინადადებასთან ან მის რომელიმე წევრთან, მაგრამ მათი ფუნქცია მნიშვნელოვანია და უკავშირდება არსებული ვითარების დაზუსტებას, ხაზგასმას, საგანგებო სიტუაციაზე ყურადღების გამახვილებასა და ამასთან ერთად, იმის გადმოცემას, თუ როგორ უყურებს და აფასებს კომუნიკატორი წინადადებაში გამოხატულ აზრს, შესაბამისად ამგვარი ტექსტების კონტექსტი დადებით ან უარყოფით- შემფასებლურია.

მიმართვა ოფიციალურ ენაში

საზოგადოება, განვითარების შესაბამისად, აქტიურად ერევა და ცვლის ლექსიკურ თუ გრამატიკულ მიმართებებს ენაში. ეს არის გარდაუვალი პერმანენტული პროცესი და თვალსაჩინო ნიმუში იმისა, კულტურულმა და ყოფითმა მოვლენებმა როგორ შეიძლება შეცვალოს მიმართებანი ენის სემანტიკურ სისტემებს შორის.

ოფიციალურ ენაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ევფემიზმს (სიტყვის გაკეთილშობილებას), ხშირად გამოიყენება თავაზიანობის საფუძველზე წარმოქმნილი ევფემიზმები, გვხვდება დიპლომატიური ევფემიზმებიც.

ეთიკის სფეროს განეკუთვნება ენობრივი ეტიკეტიც, რომელიც თავისი არსით ევფემისტურ გამოთქმებს უახლოვდება. მიმართვის ფორმებად ”ბატონო”, „ქალბატონო”, მყოფადის გამოსახატავად „ბრძანდება”, „გახლავს” ფორმების გამოყენება სწორედ ენობრივი ეტიკეტის ნიშნითაა განპირობებული.

სხვადასხვაგვარია მიმართვა სოციალურად თანასწორთა და იერარქიულად მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანებისადმი, ამის მაგალითები საკითხის ისტორიის განხილვისას სიგელ-გუჯრებსა და სასამართლოს არხებში მრავლად ვიხილეთ. ამ მხრის საინტერესოა ქართული მწერლობაც. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების მიერ ერთმანეთისადმი მიწერილ წერილებშიც გამოყენებულია მიმართვის ფორმები. პოემაში მიმართვა ხშირად მისამართი პირისა თუ პიროვნებების ერთგვარ დახასიათებას, წერილის ავტორის მათდამი დამოკიდებულებას, კერძოდ: პატრონისადმი მოკრძალებას, ყმისადმი ნდობასა და პატივისცემას, მეგობრისადმი ერთგულებას, მტრისადმი დაუნდობლობას, ქალისადმი აღტაცებასა და ხოტბა-დიდებას გამოხატავს და ხშირად მთელი სტროფითაა წარმოდგენილი. პატრონყმური სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი განწყობითაა შესრულებული პატრონისა თუ ყმისადმი მიწერილი წერილები და ეს დამოკიდებულება იგრძნობა წერილებისეულ მიმართვებშიც:

„დაწერა, თუ: ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო,
ერთგულნო და მისანდონო, ამას ზედა გამოცდილნო,
თქვენ ჩემისა საწადლისა მიდგომილნო, ვითა ჩრდილნო,
წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოვლნო ერთგან შემოყრილნო! „

(რუსთაველი, 2011, 170, 1-4).

თუ თავისი ყმებისადმი მიმართვაში ავთანდილი მათ დამსახურებებსა და ერთგულებაზე ასე ხატოვნად საუბრობს, პოემის პერსონაჟი ქალების მიმოწერაში მიმართვა ძირითადად ხოტბა-დიდებას წარმოადგენს და, ჩვეულებისამებრ, ჰიპერბოლიზებულია:

„ფატმან სწერს: „ აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს-მყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო,
სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო,
ბროლო და ლალო - ოროვე კვლა ერთგან შენათხზენაო!“

(რუსთაველი, 2011, 1279, 1-4).

იგივე უნდა ითქვას ავთანდილის ფრიდონისადმი მიწერილ წერილში გამოყენებულ მიმართვის ფორმაზეც:

„დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქ - მოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფეო!“

(რუსთაველი, 2011, 1327, 1-4).

მორფოლოგიურ-სინტაქსური თვალსაზრისით პოემის ოფიციალურ მიმოწერაში მიმართვის ენა ეპოქის ენობრივი ნორმების შესაბამისადაა შესრულებული: თვალშისაცემია კომპოზიტებისა და ნაცვალსახელების სიჭარბე და გამოყენებული შორისდებულები. მიმართვა ხატოვანი და ექსპრესიულია, ჩვეულებისამებრ, წოდებითშია დასმული, მრავლობითობის შემთხვევაში ნარიანია: ჩრდილნო, ერთგულნო, გამზრდელნო და ა.შ.

მიმართვის სხვადასხვა ფორმიდან ქართული ენისათვის ისტორიულად ბუნებრივი ჩანს მიმართვა სახელით: დარეჯან, მერი, გიორგი და სხვ. ძველ ლიტერატურულ და საისტორიო ძეგლებში, კერძოდ, ქართულ სიგელ-გუჯრებსა და ბოძების წიგნებში დადასტურებულია მამისსახელიანი საკუთარი სახელები, კერძოდ, კონსტრუქცია სახელი + ნათესაობით ბრუნვაში დასმული მამის სახელი: „**იაკობ ზებედესი**“, „ **იოსებ დავითისი**“ და ა.შ. ამგვარად აგებული საკუთარი სახელები

გვხვდება სახარებისა და ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებშიც: იეზონია იეზერისი, ისუ ბარაბაძისი, ფალტია ბანიაძისი და სხვ. ეს ფორმები დღევანდელი სახელგვარეული ერთეულების ფარდია და არც ერთ შემთხვევაში მიმართვისას არ გამოიყენებოდა (კალაძე, 1984, 309). დამოწმებული შესიტყვებები შემოუნახავთ მთის კილოებსაც: უთურგაის გიორგი, ხოგაის მინდია და სხვ.

როგორც მეფეთა მიერ გამოცემულ სიგელ-გუჯრებში დასტურდება, მამის გარდა სახელთან ერთად აღსანიშნავია დედის დასახელებაც: დავითის ნარინის 1266-1268 წწ. სიგელებში ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა. დავითისგან ბაგრატუნისა, რუსუდანის ძისა, ნებითა ღმრთისაჲთა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა საქართველოდსა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა“ და სხვ.

სახელთან ერთად დედის დასახელება ნიშანდობლივია მხატვრულ ნაწარმოებებშიც, ამის მაგალითია "ამირანდარეჯანიანი", რომლითაც დაიწყო საერო ნაკადი ქართულ მწერლობაში და საფუძველი ჩაეყარა ქართულ საგმირო-სარაინდო რომანის განვითარებას. ნაწარმოების სახელწოდება კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივია აღნიშნული ფაქტი.

"ვეფხისტყაოსნის" ბიბლიოგრაფიულ სტროფში, რომელშიც ავტორად მოსე ხონელია მიჩნეული, ვკითხულობთ:

„ამირან დარეჯანის-მე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“.

(რუსთაველი, 2011, 1610, 1-4).

ოფიციალური დოკუმენტების მიმართვის ფორმულებში მამის სახელის გაჩენა ძირითადად გვიანდელი მოვლენაა და უკავშირდება საქართველოში რუსული პოლიტიკის შემოსვლას. თვით რუსულ ენაში სახელმამისსახელობითი მიმართვა შედარებით ადრე, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში, დაიწყო და დიდხანს სოციალურ ფუნქციას ინარჩუნებდა. მაგალითად, პეტრე I და ეკატერინე II თვითონ ამტკიცებდნენ იმ ადამიანთა სიას, რომლებსაც, მმართველის კეთილგანწყობის ნიშნად ან რაიმე სხვა

საგანგებო დამსახურების გამო, წილად ხვდებოდა სახელითა და მამის სახელით მოხსენიების პატივი, მხოლოდ მე-18 საუკუნეში პიროვნების მამის სახელით მოხსენიებამ საყოველთაო მოხმარების უფლება შეიძინა, დღეს ამგვარ მიმართვებს რუსულში, ძირითადად, ასაკობრივ-პრესტიჟული ფუნქცია აქვს (კალაძე,1984,310).

სწორედ ამ პერიოდიდან დასტურდება ქართულში სახელითა და მამის სახელით მიმართვის ფორმები **ივან პეტროვიჩის** ტიპისა, მაგრამ ქართულმა ენამ ვერ იგუა ასეთი ფორმები და „გააქართულა“. ბესიკთან ვხვდებით: “დიდო იმპერატრიცა, ეკატერინა ალექსისისავ...”, ასეთივე ფორმები დასტურდება ილია ჭავჭავაძის პირად წერილებშიც. მაგრამ ვერც ამგვარმა წარმოებამ მოიკიდა ფეხი და ქართულ საბუთებში, წერილებში მიმართვის ფორმები კვლავ რუსულისებურად გაფორმდა. ბესიკთან ვკითხულობთ: „მაღალშობილო ბრილადირო და კვალერო ვასილ სტეფანიჩ, მწყალობელო ჩემო ხელმწიფევ...“, რუსულიდან ნათარგმნ პუმკინის, ბულგაკოვის, დოსტოევსკის, გოგოლის, ტოლსტოის, კუპრინის, ფურმანოვის თხზულებებში მიმართვის ფორმები რუსულადაა გაფორმებული. კომუნისტური პერიოდის ოფიციალურ დოკუმენტებში კი მიმართვის ფორმად ძირითადად გადმოქართულებული ვარიანტი გვხვდება: სოფიო ბაგრატიის ასულო, ნიკოლოზ თომას ძევ და მისთ. (კალაძე,1984,313-314).

რუსულის კვალობაზე, კერძოდ, სახელითა და მამის სახელით, ზოგჯერ კი მხოლოდ მამის სახელით – **ზახარიჩ, ივანოვნა** – მიმართვა ატარებს სრულიად გამიზნულ, აზრობრივ, კერძოდ, სუბორდინაციულ ანდა ემოციურ დატვირთვას. ამგვარი მიმართვა ზოგჯერ იმის ნიშანია, რომ მიმართვის ობიექტი არის პატივსაცემი ადამიანი, ან უფროსია სამსახურში და მას ასე მიმართავენ ხელქვეითები.

სახელითა და მამის სახელით ან მხოლოდ მამის სახელით მიმართვის ფორმათა დამკვიდრება საბჭოური კონიუნქტურის შედეგი იყო. მას შემდეგ, რაც მოიხსნა ამგვარი მიმართვის საჭიროება, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაცია აღარ იყენებს მიმართვის ამ ფორმას. ქართულ ენას აქვს უამრავი საშუალება, მოკრძალება და თავაზიანობა გამოხატოს ქართული ლექსიკით.

ბატონო და ქალბატონო იმთავითვე თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები იყო და სხვაგვარად ვერ ავხსნით, თუ რატომ მიმართავდა მეფე გიორგი XI სულხან-საბა

ორბელიანს და მის ძმას ბატონობით: “..... მრავალი მოკითხვა მომიხსენებია, ... ბატონო სულხან...” (კალაძე, 1984, 323).

მხოლოდ თავაზიანობის გამომხატველი სიტყვა იყო **ბატონი**, როცა ის ქალის აღმნიშვნელი სახელის განსაზღვრებად გამოიყენებოდა: ბატონი დედაჩემი, მარიამ ბატონი, ასეთი მიმართვები ხშირად გვხვდებოდა მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების ნაწარმოებებსა და ქართველი ინტელიგენციის მიმოწერაში. ეს კი მოწმობს, რომ სიტყვა ბატონი კარგა ხანია დაცლილია სოციალური შინაარსისაგან და მის უპირველეს დანიშნულებას თავაზიანობის გამოხატვა წარმოადგენს. ოფიციალურ დოკუმენტაციაში დღეს **ბატონო** - მიმართვის მთავარი ფორმულაა, გამოყენების თვალსაზრისით **ბატონოს** გვერდით დგას **ქალბატონო** და ისიც წარმატებით ასრულებს თავაზიანობის ფუნქციას. თავაზიანობის გამოხატვის მიზნით გამოდგება პატივცემულო (კონტექსტისა და სიტუაციის შესაბამისად), მაგრამ საჭიროა მიმართვისას მას ახლდეს სახელი.

კომუნისტური რეჟიმის დროს მიმართვის ფორმულებში ყველაზე მეტად გამოიყენებოდა **ამხანაგო**. ამ პერიოდის ლექსიკამ ოფიციალურ დოკუმენტაციაში დააკანონა ამ სახელის მიმართვად გამოყენების წესი, კერძოდ, ამხანაგო საკუთარ ან მაიდენტიფიცირებელ არსებით სახელთან ერთად. ამ სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა – ამხანაგებო, კი თითქმის შეუცვლელი იყო ფართო აუდიტორიისადმი მიმართვის დროს. ეს ფორმა გამოიყენებოდა ოფიციალურ დოკუმენტებში, ძირითადად, მოხსენებებში. ტექსტის გარკვეული აზრაცები სწორედ ასეთი მიმართვით იწყებოდა.

ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ქართველი ქართველს ასე უნდა მიმართავდეს: **ბატონო ივანე, ქალბატონო ანა, ძვირფასო ბატონო გიორგი ან დიდად პატივცემულო ბატონო გიორგი (კონტექსტს გააჩნია)**, რუსულად მოაზროვნე ადამიანი კი მიმართვისას აუცილებლად მიიჩნევს მამის სახელის აღნიშვნასაც, ამიტომ გვექნება: **ვლადიმერ გიორგის ძე, სოფიო მიხეილის ასულო**. ოფიციალურ საბუთებში კი – დიდად/ღრმად პატივცემულო **იგორ გიორგის ძე** და ა.შ.

როგორ გამოიყენება თანამედროვე ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში მიმართვა და როგორ ფორმდება შესაბამისი საქმიანი საბუთი მისი გამოყენებისას?

მიმართვის ფორმას არ იყენებს სამართლებრივი აქტები: კანონი, ბრძანებულება, განკარგულება, დადგენილება, გადაწყვეტილება, ბრძანება, დეკრეტი, რეგლამენტი, შეთანხმება და ისეთი მეორე კატეგორიის დოკუმენტები, როგორცაა: ოქმი, სამოქმედო გეგმა, პროგრამა, განაჩენი, განჩინება, ზოგადი დანიშნულების საინფორმაციო წერილი, მიღება-ჩაბარების აქტი, დებულება, წესდება, მემორანდუმი, ხელშეკრულება, ცნობა და მისთ. ასეთი დოკუმენტები საყოველთაო დანიშნულებისაა და არ მოითხოვს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პირისადმი მიმართვას. მიმართვის ფორმის გამოყენება აუცილებელია წერილის, ანგარიშის, მოხსენების, დასკვნის, განმარტებითი ან მოხსენებითი ბარათის და საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი ზოგიერთი წერილისათვის, რომელიც კონკრეტული პიროვნებისთვისაა დანიშნული. მიმართვის გამოყენება აუცილებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წერილის ე.წ. „ქულში“ აღნიშნულია ადრესატი. **წერილის „ქულში“ მიმართვის თავაზიანობის მანიფესტანტის – ბატონო/ქალბატონო – გამოყენება საჭირო არ არის, რადგან „ქული“ მხოლოდ ინფორმაციას გვაწვდის ადრესატის შესახებ, კერძოდ, გვაცნობებს ვისთვისაა განკუთვნილი წერილი და არ ითხოვს უშუალო მიმართვის ფორმის – ბატონო/ქალბატონო კომპონენტის – გამოყენებას.**

მაგალითად: 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრს თამარ სანიკიძეს;**

2. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს **თავმჯდომარეს ზაზა ვაშაყმაძეს;**

3. ახალქალაქისა და კუმურდოს **მიტროპოლიტს ნიკოლოზს** (ფაჩუაშვილი);

4. მის აღმატებულება საქართველოს **პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს;**

5. მის სამეფო უმაღლესობას, არაბთა გაერთიანებული საემიროების **პრინცს აბდულა იბნ ზაქირს** და ა.შ.

თუ წერილს ასეთი ადრესატი ჰყავს, მომდევნო სტროფში სახელობითი ან შესაბამისი მიმართვა თავაზიანობის ფორმით აუცილებელია.

მაგ: 1. ქალბატონო თამარ;

2. ბატონო ზაზა;

3. თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ;

4. თქვენო აღმატებულებაგ / ბატონო პრეზიდენტო;

5. თქვენო უმაღლესობავ;

6. ქალბატონებო და ბატონებო (მოხსენებებში).

ამასთან აღვნიშნავთ, რომ წერილის „ქუდში“ თანამდებობის გარდა შესაძლებელია ადრესატის სხვა ტიტულებიც – წოდება, ხარისხი და ა.შ., იქნეს აღნიშნული. როგორია მათი დაწერილობის წესი?

თანამედროვე ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, ჩვენთვის საინტერესო თვალსაზრისით შეიძლება ითქვას:

თუ მსაზღვრელი პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი სახელია, მაშინ მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნება თავისებურებას გვიჩვენებს. ერთადერთი გამონაკლისი არსებობს, ოთხ ბრუნვაში, მათ შორის, ნათესაობითსა და მოქმედებითშიც მსაზღვრელი – პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელი სახელი, ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის სახით წარმოჩნდება. ამ წესის მიხედვით, პროფესიისა და წოდების აღმნიშვნელ სიტყვასთან სახელი ასეთ პარადიგმას გვიჩვენებს:

სახ. რექტორი/ პროფესორი მამუკა თავხელიძე

მოთხ. რექტორმა/ პროფესორმა მამუკა თავხელიძემ

მიც. რექტორ / პროფესორ მამუკა თავხელიძეს

ნათ. რექტორ /პროფესორ მამუკა თავხელიძის

მოქ. რექტორ /პროფესორ მამუკა თავხელიძით

ვით. რექტორ /პროფესორ მამუკა თავხელიძედ

წოდ. რექტორო/პროფესორო მამუკა თავხელიძე

თუ ამ წესს დავეყრდნობით, წერილის „ ქუდში“ სახელთან ერთად თანამდებობაც და ადრესატის სხვა რეგალიებიც: წოდება, სტატუსი და ა.შ., ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთების ანალიზი კი სულ სხვა ვითარებას გვიჩვენებს, კერძოდ: თუ წერილის „ქუდში“ სახელთან ერთად მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა – თანამდებობა, სტატუსი, პროფესია ან წოდება – არის წარმოდგენილი, მაშინ მსაზღვრელი, არსებული წესისაგან განსხვავებით, ითხოვს იმავე

ბრუნვის ფორმას, რომელსაც სახელი, ამ შემთხვევაში, მიცემითი ბრუნვის ნიშანს, მაგალითად:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრს** თამარ **სანიკიძეს**;

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს **თავმჯდომარეს** ზაზა **ვაშაყმაძეს**;

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **პროფესორს** მამუკა **თავხელიძეს**

თუ სახელს თანამდებობასთან ერთად ახლავს სხვა რეგალიებიც – წოდება, სტატუსი, პროფესია, მაშინ ყველა ასეთი დამატებითი კომპონენტი საერთო წესს ექვემდებარება და სახელთან ფუძის სახით იწარმოება, მაგალითად:

საქართველოს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის **რექტორს**, **პროფესორ** მამუკა **თავხელიძეს**

რა განაპირობებს ამგვარ სახეცვლილებას მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობაში?

საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი დოკუმენტის „ქუდი“ წერილის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიგვითითებს წერილის დანიშნულებისა და ადრესატის თაობაზე. ამდენად, ის ინფორმაცია, რომელიც წერილის პირველივე სტროფშია ჩადებული, შესაბამისად განსაზღვრავს წერილის მიმართვის ფორმას, აგების პრინციპს, მის ლექსიკასა და ეტიკეტს. აქედან გამომდინარე, წერილის „ქუდში“ ფუნქციური დატვირთვა სწორედ ბირთვულ სიტყვაზე – ამ შემთხვევაში ადრესატის თანამდებობაზე, მოდის, რომელშიც ფოკუსირებულია ადრესატის სახეობა. მიცემითი ბრუნვის ნიშანი ამ ინფორმაციას მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს და ამ ნიშნით მოითხოვს მიცემითი ბრუნვის ნიშანს, შემდგომი კომპონენტები კი – იქნება ეს ტიტული, წოდება თუ სხვა ინფორმაცია – თანმხლებია, ჭარბია, შესაბამისად, გვხვდება მიცემითი ბრუნვის გარეშე, როგორც ეს არის მიღებული ზემოთ აღნიშნულ პარადიგმაში.

სხვა ვითარებას გვიჩვენებს, როცა წერილის „ქუდში“ მოცემული მთავარი, მანიფესტანტი სიტყვის (ამ შემთხვევაში - თანამდებობის) თანმხლები მეორე კომპონენტი (წოდება) ვრცელ ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად:

საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს ჯემალ ჭკუასელს.

ასეთ შემთხვევაში თანამდებობაც და წოდებაც ითხოვს ბრუნვის იმავე ფორმას, რომელსაც ადრესატის გვარი. მიგვაჩნია, რომ ამგვარ ვითარებას განაპირობებს, მეტი ინფორმაციულობის გამო, მეორე კომპონენტის პირველთან დაცილების ფაქტორი.

წერილის ქუდიცა და მიმართვის ფორმაც ცალ-ცალკე სტრიქონად იწერება, ე.წ. „ქუდი“ წერილის მარჯვენა მხარეს, მიმართვა კი – მარცხენა მხარეს. მიმართვის ფორმა ყოველთვის მძიმით გამოიყოფა. წერილის „ქუდს“ სასვენი ნიშანი არ ესაჭიროება.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი საქმიანი წერილების „ქუდში“ ორგანიზაციისა თუ შესაბამისი უწყების მხოლოდ სრული იურიდიული დასახელება უნდა იყოს მითითებული. თუ წერილს კონკრეტული ადრესატი ჰყავს და მას თავაზიანობის ფორმით მივმართავთ, მაშინ მთლიანად წერილი ასეთივე თავაზიანობის ფორმით (თქვენობით) უნდა გაფორმდეს. არის კატეგორია წერილებისა, რომელიც ასეთ კონტექსტს არ საჭიროებს. ამგვარია ოფიციალური პირის მისალოცი ან მიმართვა ახალგაზრდებისა და ბავშვებისადმი სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღთან (გამარჯვება სხვადასხვა ასპარეზობასა თუ კონკურსში, პასუხი წერილზე და ა.შ.) დაკავშირებით. ასეთი წერილებში თავაზიანობის ფორმა – ქალბატონო/ბატონო, არ გამოიყენება და, შესაძლებელია, მთლიანად წერილი მეორე პირის მხ.რიცხვის ნაცვალსახელით გაფორმდეს. მიმართვის ფორმად კი მხოლოდ სახელი იქნეს გამოყენებული ან მიმართვის უშუალო, შესაბამისი კონტექსტი – ჩემო პატარა მეგობარო, ჩემო ელენე, ელენე და სხვ.

სრულიად განსხვავებულია მიმართვის ფორმა საეკლესიო მიმოწერის სფეროში. ის, უპირველეს ყოვლისა, კანონიკურად სწორად უნდა იქნეს ფორმულირებული. საქართველოში სხვადასხვა რელიგიათა წარმომადგენლებიც ცხოვრობენ, ქართველების გარდა აქ მოსახლეობენ სხვა ეთნოსებიც, ამიტომ გასათვალისწინებელია ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციის სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მყოფი სასულიერო პირისადმი მიმართვის ნორმები და თავისებურებები.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის იერარქია ასეთია: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეპისკოპოსი-მიტროპოლიტი,

მთავარეპისკოპოსი, მღვდელი - არქიმანდრიტი, დეკანოზი. თითოეულ საფეხურზე მყოფ სასულიერო პირს, გაწეული ღვაწლის შესაბამისად, ენიჭება ხარისხი და მათდამი მიმართვის ფორმაც შესაბამისად აღმატებულია:

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – **თქვენო უწმიდესობავ;**

მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი – **თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ;**

ეპისკოპოსი – **თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ;**

დეკანოზი, არქიმანდრიტი – **თქვენო მაღალღირსებავ;**

მღვდელი – **თქვენო ღირსებავ.**

მიმართვის ამგვარი ფორმები თავაზიანობასაც გამოხატავს და თანამდებობრივ სტატუსსაც, თუმცა რთული კონსტრუქციისაა და ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს. შესაძლებელია, ამის შედეგი იყოს ის, რომ ენამ სასაუბრო მეტყველებაში მიმართვის შედარებით მარტივი ფორმები: მეუფე, მამა, აირჩია. მაგალითად: მამა გიორგი, მეუფე დიმიტრი და სხვ.

რაც შეეხება ოფიციალურ ენაში ადამიანის საკუთარი სახელისა და გვარის გამოყენების წესებს, აღვნიშნავთ, რომ ქართული ენა უპირატესობას სახელობითი მიმართვის ფორმას ანიჭებს. ამიტომ მიმართვისას ოფიციალურ ენაში თავაზიანობის ფორმას, რუსულისაგან განსხვავებით, თან მხოლოდ სახელი ახლავს. მიმართვისას ადამიანთა საკუთარი სახელები წოდებითში წარმოითქმის და იწერება დაბოლოების გარეშე: **გურამ, ნოდარ, თენგიზ, დავით, ლუკა, პეტრე, შაქრო, დუტუ, ხოლო** ოფიციალურ დოკუმენტებში მას თუ თავაზიანობის ფორმასაც დავურთავთ მიმართვისას გვექნება: **ბატონო დავით, ქალბატონო რუსუდან, ბატონო მერაბ, ბატონო გიორგი** და ა.შ.

უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული : **ბარონო! გრაფო! ჰერცოგო! ლორდო! მარკიზო! მილორდო!** და სხვ. ასევე: **გრაფო გლოსტერო! მილორდო ველინგტონო!** და სხვ.

უცხოური : „მადამ“, „მისტერ“, „ სერ“, „ ლედი“, „მის“, „მისის“ ქართულში გაუფორმებლად დარჩება (სალიტერატურო ენის ნორმები, 1986, 62-63).

თუ მიმართვა წინადადების თავშია, ის მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა; თუ შუაშია, ორივე მხრიდან მძიმით; თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე დაისმის, მის შემდეგ კი ის ნიშანი, რომელიც წინადადებას შეეფერება. თუმცა მიმართვა, ოფიციალურ მეტყველებაში, ძირითადად, წერილის თავში გამოიყენება.

როგორია საქმიან საბუთებში გვარ-სახელის ერთად გამოყენების წესი?

თანამედროვე ქართულ ენაში პიროვნების დასახელების დროს ბუნებრივი წყობაა სახელი და გვარი: მაია მაჭავარიანი, ქეთევან ჯორჯაძე, ასმათ კობახიძე და სხვ. სიების შედგენა (ანბანზე გაწყობა) მოითხოვს შებრუნებულ წყობას, გვარი და სახელი: მაჭავარიანი მაია, ჯორჯაძე ქეთევან, კობახიძე ასმათ და სხვ. ოფიციალური დოკუმენტების ტექსტში ან ხელრთვისას, ჩვეულებისამებრ, სახელი უსწრებს გვარს. ასეთ შემთხვევებში სახელი ფუძის სახით რჩება. თუ გვარ-სახელს ახლავს მამის სახელი, ის ყოველთვის უშუალოდ მოსდევს პირის სახელს, რა ადგილიც არ უნდა ეკავოს ამ უკანასკნელს. მაგ: გრიგოლ ზურაბის ძე ორბელიანი, ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე. მამის სახელის თანმხლები სიტყვები ძე და ასული დამოუკიდებლად (უდევისოდ) იწერება. თუმცა თანამედროვე ქართული ენისათვის სახელ-მამისსახელობითი მიმართვა თითქმის აღარ დასტურდება.

ცალკე აღსანიშნავია უცხოური გვარების დაწერილობის წესი. თუ გვარში -ი ხმოვანი ფუძის ნაწილია, ქართულში ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც ფუძეხმოვნიანი: ბოტიჩელი – ბოტიჩელიმ, წოდ.ბოტიჩელი, ფელინი – ფელინიმ, წოდ.ფელინი, პაგანინი – პაგანინიმ, წოდ. – პაგანინი და სხვ. (არაბული, 2004,112).

ий. ьий. Ой - ზე დამთავრებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური - ი ფუძისეულია. უნდა ითქვას და დაიწეროს: გორკი – გორკიმ, ჩერნიშევსკი – ჩერნიშევსკიმ, ტოლსტოი – ტოლსტოიმ და სხვ.

თანხმოვანზე დაბოლოებული რუსული გვარები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს: ლებედევ-ი ლებედევო! გრიბოედოვ-ი გრიბოედოვო! და ასე: ამხანაგო პეტროვო! და სხვ. (სალიტერატურო ენის ნორმები, 1986, 62-63).

როგორაა ეს საკითხი სხვა ენებში – ფრანგულში, გერმანულსა და ინგლისურში? უნდა აღინიშნოს, რომ ეპისტოლარული პროტოკოლი, რომელიც ამ საკითხებს განაგებს, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა წესს ექვემდებარება, თუმცა საერთაშორისო მიმოწერისას

ყველა მათგანი საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით სარგებლობს და შესაბამისად აფორმებს ოფიციალური მიმოწერისათვის განკუთვნილ დოკუმენტებს. განვიხილოთ თითოეული ზემოთ აღნიშნული ენის ოფიციალურ მეტყველებაში არსებული მიმართვის ფორმები.

საუკუნეების განმავლობაში ქვეყნებს შორის ფართოდ გავრცელებულმა ეპისტოლარულმა ურთიერთობებმა ამ ჟანრში საერთაშორისო ნორმა დაამკვიდრა. ადრესატის ტიტულისა და მის მიმართ საკადრისი, თავაზიანი მიმართვისა და შესაფერისი სიტყვების შერჩევა ოფიციალური წერილის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამ მხრივ ფრანგები გამორჩეულად მგრძობიარენი არიან.

ცხადია, ეპისტოლარულ პროტოკოლში იცვლება სტილი და ფორმა, მაგრამ არსებობს უცვლელი ფორმულირებები. მაგალითად, ფრანგები ოდითგანვე მიიჩნევდნენ, რომ წერილის ადრესატმა მის მიმართ წერილის ავტორისაგან პატივისცემა და მოწიწება უნდა იგრძნოს, რადგან თავაზიანად ფორმულირებული სათქმელი კეთილგანწყობას განაპირობებს.

შესაბამისად, ბატონისა და ქალბატონის წინ მისი დიპლომატიური, არისტოკრატიული, რელიგიური თუ პოლიტიკური სტატუსი უნდა იქნეს მითითებული.

ამასთან, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ადრესატის გვარ-სახელის გამართულ ორთოგრაფიას, რადგან არაფერი იქნება თვალში იმაზე ცუდად მოსახვედრი, ვიდრე დამახინჯებულად წარმოდგენილი გვარ-სახელი ან თანამდებობა, მით უფრო, თუკი ეს უკანასკნელი დაკნინებულია.

ქართულისაგან განსხვავებით, ფრანგულ საქმიან საბუთებში სახელობითი მიმართვა ზედმეტ ფამილიარობად და ცუდ ტონად ითვლება. მიღებულია ასეთი მიმართვა : *Monsieur le Ministre, Madame le Ministre.*

ოფიციალური, დიპლომატიური მიმოწერისას ფრანგული პროტოკოლით ასევე უკიდურესად ცუდი ტონია შენობითი ფორმის გამოყენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორივე მხარე ერთმანეთს კარგად იცნობს. თუკი წერილი ოფიციალურ კორესპონდენციას წარმოადგენს, მიჩნეულია, რომ იგი დიპლომატიური მიმოწერის ისტორიის ნაწილია და უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ფორმას.

ფრანგული საქმისწარმოებაც საერთაშორისოდ დადგენილ ნორმებს ექვემდებარება: პრეზიდენტს სხვა ქვეყნის პრეზიდენტი მიმართავს – მხოლოდ: **ბატონო პრეზიდენტო (Monsieur le Président)**, იმ შემთხვევაში თუ ისინი ახლოს იცნობენ ერთმანეთს და პირადი მეგობრობა აკავშირებთ, ასევე დაემატება, ხელით მინაწერი „**ძვირფასო მეგობარო (Cher ami)**“. თუ პრეზიდენტს სხვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, მინისტრი, ელჩი ან სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი უგზავნის ოფიციალურ წერილს, შესატყვისი მიმართვის ფორმაა **თქვენო აღმატებულება** - **Votre Excellence** (ჯავახიშვილი გ., კონსულტაცია).

თუ ქართული ენა სახელობითი მიმართვის ფორმას ანიჭებს უპირატესობას, **ინგლისურში** საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილ საბუთებში გვარობრივი მიმართვის ფორმაა დამკვიდრებული. საერთაშორისო მიმოწერისათვის განკუთვნილი დოკუმენტები აქაც ისეთ ნორმებსა და წესებს ემყარება, როგორც ფრანგული, ქართული და სხვ. შესაბამისად, გვექნება: **თქვენო აღმატებულება** – **Your Excellency** ან **ზოგჯერ, ბატონო პრეზიდენტო – Mister President** და სხვ.

გერმანულ სინამდვილეში ანგელა მერკელამდე კანცლერის მდებრობითი სუფიქსით გაფორმებას ფუტურისტული ანალოგიც კი არ მოეპოვებოდა, ამჟამად **Kanzlerin** – „ქალი კანცლერი“ ოფიციალური, სახელმწიფო, კოდიფიცირებული ენის კუთვნილებად იქცა.

ამრიგად, მიმართვა საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი წერილების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და აუცილებელი კომპონენტია. ის ინფორმაცია, რომელიც წერილის პირველივე სტროფშია ჩადებული, შესაბამისად განსაზღვრავს წერილის აგების პრინციპს, მის ლექსიკასა და ეტიკეტს. მიმართვა დაწერილობის თავისებურებებით გამოირჩევა. ძველ საისტორიო ძეგლებში, კერძოდ, ქართულ სიგელ-გუჯრებსა და ბოძების წიგნებში უმაღლესი ხელისუფალისადმი მიმართვის ფორმაში მთელი მისი ძალაუფლება და ძლევამოსილება იყო წარმოდგენილი. მამისსახელობითი მიმართვის ფორმების გარდა დასტურდება დედის სახელის მოხსენიებაც. კომუნისტურ ეპოქაში მიმართვის ფორმად ერთმნიშვნელოვნად მიჩნეული იყო სიტყვა **ამხანაგო**.

თანამედროვე ქართული ენა სახელობითი მიმართვის ფორმას ანიჭებს უპირატესობას და საქმიან დოკუმენტებში მას ახლავს თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები ბატონო/ქალბატონო. ასეთი წერილების ე.წ. „ქუდში“, დანიშნულების შესაბამისად, მიმართვის ფორმის გამოყენება საჭირო არ არის. საერთაშორისო მიმოწერისათვის განკუთვნილ წერილებში მიმართვა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს ექვემდებარება და შესაბამისი წესით ფორმდება, კერძოდ: თქვენო აღმატებულება – Your Excellency, ასე მიმართავენ სახელმწიფოს მეთაურებსა და უმაღლესი დიპლომატიური რანგის მოხელეებსაც. ადრესატის ვინაობა კი წერილის ბოლოსაა მითითებული. ქართულ ტესტებში მიმართვის ფორმად მიჩნეულია: ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო მინისტრო და ა.შ. სრულიად განსხვავებულია მიმართვის ფორმა საეკლესიო მიმოწერის სფეროში. მიმართვის აღმატებული ფორმა: თქვენო უწმიდესობავ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო მაღალღირსებავ, თქვენო ღირსებავ თავაზიანობასაც გამოხატავს და თანამდებობრივ სტატუსსაც. თუმცა მიმართვის ამგვარი ფორმები რთული კონსტრუქციისაა და ხელოვნურობის ელფერს დაიკრავს. შესაძლებელია, ამის შედეგი იყოს, რომ ენამ სასაუბრო მეტყველებაში მიმართვის შედარებით მარტივი ფორმები აირჩია: მეუფე, მამა. თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო პირებისადმი მიმართვაც.



PRIME MINISTER
OF GEORGIA

Tbilisi, 23 October 2015

Your Excellency,

On behalf of the Georgian government and that of my own, allow me to extend to you and the People of Hungary my most sincere congratulations on the occasion of the 59th Anniversary of the 1956 Hungarian Revolution, which was a clear demonstration of the Hungarian nation's devotion to freedom and democracy.

I would like to underline the importance of Hungary's friendly relations with Georgia. We highly appreciate your continuous support for Georgia's European and Euro-Atlantic aspirations and remain hopeful that the bilateral cooperation will be further strengthened for the mutual benefit of our nations.

Excellency, allow me to convey the assurances of my highest consideration, and wish you further success, as well as peace, prosperity and welfare to the friendly Hungarian people.

Sincerely,

Irakli Garibashvili

A handwritten signature in black ink, consisting of a series of loops and a long horizontal stroke, enclosed within a large, thin oval.

H.E. Viktor Orbán
Prime Minister of Hungary
Budapest

N 68133

დასკვნა

წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ:

1. საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ ოფიციალური საქმისწარმოების განვითარების რთული გზა გაიარა, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური გარემო მთლიანად ასახულია იმდროინდელ სიგელ-გუჯრებსა და სახელმწიფო სამართლის საბუთების ფორმასა და შინაარსზე, ლექსიკასა და სტრუქტურაზე. ადრეულ ტექსტებში ყურადღებას იპყრობს სიგელის შედგენის წესის ცოდნა და მეფის ტიტულატურა, რომელიც მის წარმომავლობასა და ძლევამოსილებას უსვამდა ხაზს. ირანისა და ოსმალეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ საქართველოში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა და ქართულ სინამდვილეში საუკუნეების განმავლობაში დაამკვიდრა ამ ქვეყნების საქმისწარმოების წესი და ტერმინოლოგია. სპარსელების ბატონობის დროს საქმიანი დოკუმენტები ორენოვანი, ქართულ-სპარსული, იყო; ოსმალეების ბატონობის დროს კი – მხოლოდ ნათარგმნი. იმდროინდელ დოკუმენტებში მრავლადაა უცხოენოვანი სახასიათო ტერმინოლოგიაც.

2. სულ სხვა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში რუსეთის მმართველობის დროს. ფაქტობრივად დასტურდება რუსული საქმისწარმოებისა და სასამართლო საქმეების გარჩევის გადმოღებული მოდელი, რთული კანცელარიულ-ბიუროკრატიული წესით. ქართული ენა ხმარებიდან იყო ამოღებული, ყველა დოკუმენტი რუსულად ფორმდებოდა. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარია გამოცემულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებს 1819 წლიდან „საქართველოს გაზეთის“ მეშვეობით ამცნობდა მოსახლეობას.

3. საბჭოთა სივრცეში ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მახასიათებელი ჰქონდა: საყოველთაო რუსიფიკაცია და რესპუბლიკებსა და ავტონომიურ წარმონაქმნებში ეროვნული ენების განვითარება. რუსული სავალდებულო ენა იყო ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში, რუსული თარგმანით გადიოდა ფილმების უდიდესი ნაწილი. რუსულ ენაზე იქმნებოდა ყველა ოფიციალური დოკუმენტი, იმართებოდა დედაქალაქის ან რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული და ადმინისტრაციული სხდომები. როგორც საარქივო მასალების გაცნობამ ცხადყო,

საქართველოს ცენტრალურ რაიონებსა და რეგიონებში პარტიული ორგანიზაციების საქმისწარმოებაც რუსული იყო. ბეჭდვით სიტყვას, კერძოდ, ოფიციალურ ბეჭდურ პროდუქციას, ცენზურა უწევდა ზედამხედველობას.

4. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის, ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვის აუცილებლობა დღესაც აქტუალურია. თანამედროვე პოლიტიკურმა ვითარებამ, ენისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებამ, განხორციელებულმა განათლების რეფორმამ სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულება შეცვალა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მასზე ზრუნვის, მისი განვითარების მდგომარეობა. ენის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მოშლამ მრავალი პრობლემა შექმნა ენის სიწმიდის თვალსაზრისით, რაც დაუყოვნებლივ მოგვარებას საჭიროებს. თანამედროვე საქართველო დასავლური სამყაროს ნაწილად იქცა და დამკვიდრდა ინგლისური ენა, რომლის გავლენაც ქართულზე მნიშვნელოვანი და, ხშირ შემთხვევაში, განმსაზღვრელია. ინგლისურენოვანი ტერმინოლოგია კვლავ უპირობოდ იკავებს ადგილს ქართულ სინამდვილეში. ელექტრონული დოკუმენტბრუნვაც საქმისწარმოების ახალ ფორმებსა და ტექსტისადმი სხვაგვარ დამოკიდებულებას აწესებს, წერილობითი სტანდარტები კი საქმისწარმოების ენას ენათმეცნიერების რეკომენდაციების გარეშე ტოვებს.

5. ოფიციალურ-საქმიანი სტილი, მისი სოციოლინგვისტური თავისებურებები ფუნქციონალური სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ამ სტილს მხოლოდ წერითი მეტყველება ახასიათებს და შეიძლება განიმარტოს, როგორც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და ადამიანთა ოპტიმალური, ოფიციალური და საქმიანი ურთიერთობის საშუალება. საქმიანი საბუთები წინასწარ მზადდება, იწერება და მისი შინაარსი, ძირითადად, განზოგადებული, ობიექტური და გაუპიროვნებელია. ლოგიკურობა, სიცხადე, სიზუსტე მეტ-ნაკლებად ყველა ფუნქციურ სტილს ახასიათებს, მაგრამ ყველა ეს თვისება საკუთრივ ოფიციალურ-საქმიანი სტილის მოთხოვნაა, როგორც მისი არსებობის საფუძველი. ოფიციალურ-საქმიანი სტილის ფუნქციონირების სფეროებია: სახელმწიფო, სამოქალაქო და სამართლებრივი ურთიერთობანი.

6. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები მრავალფეროვანია, თავისი დანიშნულებით, ფორმით, აგების პრინციპითა და გაფორმების წესით ისინი

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სტრუქტურა გამოსცემს თავისი კომპეტენციის შესაბამის აქტს და ამ შემთხვევაში მათი უფლებამოსილება რეგულირდება კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“, თუმცა საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთების შედგენის წესი საერთოა ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებისა თუ უწყებისათვის.

პირობითად გამოვყოფთ I და II კატეგორიის დოკუმენტებს. I კატეგორიის დოკუმენტად მივიჩნევთ სამართლებრივ აქტებს, რომლებსაც კანონის ძალა გააჩნია და სავალდებულო შესასრულებელია შესაბამისი უწყებისა თუ ზოგადად საზოგადოებისათვის. II კატეგორიის დოკუმენტებს მივაკუთვნებთ საქმიან საბუთებს, ამავე კატეგორიას განეკუთვნება დიპლომატიური დანიშნულების საბუთებიც. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების სახეებია: კანონი, ბრძანებულება, განკარგულება, დადგენილება, გადაწყვეტილება, ხელშეკრულება, დეკრეტი, ბრძანება, განაჩენი, განჩინება, მოხსენება, ანგარიში, წესდება, დებულება, პროგრამა, რეცენზია, მემორანდუმი, ნოტა, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, ოქმი, აქტი, სამოქმედო გეგმა, პროექტი, წერილი, განცხადება, პატაკი, დახასიათება, ცნობა და მისთ.

დიპლომატიური დანიშნულების დოკუმენტები მრავალფეროვანი და რამდენადმე განსხვავებულია სტრუქტურულად, ლექსიკითა და შესრულების მანერითაც კი. ისინი ოფიციალური მიმოწერის საერთაშორისო ნორმების შესაბამისად ფორმდება და ხშირ შემთხვევაში ეტიკეტის მიხედვით ერთგვარ კომპლიმენტებსაც შეიცავს. საერთოდ, საქმიანი დოკუმენტები, მისი შინაარსის, სტილისა და დანიშნულების გათვალისწინებით, დაცლილია ემოციური და ექსპრესიული შინაარსისა და ლექსიკისაგან, ხატოვანი საშუალებები აქ მხოლოდ ხელისშემშლელ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ. მიუხედავად ამისა, ხატოვანი ელემენტები, დიპლომატიური დოკუმენტების მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია.

7. ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენა ფუნქციური სტილის შექმნაზე უდავოა. ოფიციალური ენა თვითონ ირჩევს ისეთ მახასიათებლებსა და გამომსახველობით ფორმებს, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება ამ სტილის დანიშნულებასა და ფუნქციას. სიზუსტე, სიცხადე, სტანდარტიზაცია, ლოგიკურობა, ლაკონიურობა, ობიექტურობა, განზოგადებისა და განყენებულობისაკენ მისწრაფება –

ყველა ეს ნიშან-თვისება, ამავდროულად, ოფიციალური მეტყველების განმსაზღვრელი მოთხოვნებიც არის. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია დოკუმენტის თემატიკა, შინაარსი. თითოეული მათგანისათვის საერთო კრიტერიუმებია: ერთმნიშვნელობიანი, სემანტიკურად არაორაზროვანი და გამჭვირვალე ენობრივი საშუალებები. ამის გარდა, ნიშანდობლივია სპეციფიკური მახასიათებლებიც, მაგალითად, სხვადასხვაგვარია სამართლებრივი აქტების, საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი წერილებისა თუ დიპლომატიური შინაარსის საბუთების მახასიათებლები.

სამართლებრივი აქტები უკიდურესი სიმკაცრით, აკადემიზმითა და ობიექტურობით გამოირჩევა, მკაცრად განსაზღვრულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება და კანონის შესაბამის ჩარჩოშია მოქცეული. მისი ლექსიკა უაღრესად კონკრეტული და ნორმატიულია.

დიპლომატიური შინაარსის დოკუმენტები: წერილები, რეკომენდაციები, ნოტები, კომუნიკეები და სხვ. საერთაშორისო ნორმებით დადგენილ ეტიკეტსა და თავაზიანობის ფორმებს ეყრდნობა და თავისი ხასიათით ინტერნაციონალურია, რაც აახლოებს სხვადასხვა ენათა ამ სახეობის მეტყველებებს. ამგვარი დოკუმენტებისათვის უცხო არ არის ემოციური ელემენტები, სტილურად შეფერილი ლექსიკა და სხვ.

საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი საბუთები მკაცრად განსაზღვრულ ფორმობრივ ნორმებს ეყრდნობა, მაგრამ მისი შინაარსი უკიდურესი სიმკაცრითა და აკადემიზმით არ გამოირჩევა, ასეთ საბუთებში მთავარია აზრის გადმოცემის სიცხადე და ლაკონიურობა, თანამიმდევრულობა ან თანწყობის პრინციპი. ენობრივი გამოხატულების ოფიციალური, მაგრამ, სამართლებრივ აქტებთან შედარებით, უფრო სადა ლექსიკა.

თანამედროვე ოფიციალური დოკუმენტების გადმოცემის ძირითადი ფორმაა მონოლოგი, კერძოდ: **აღწერა, თხრობა და მსჯელობა**. ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება იყოს კრიტიკულ-პოლემიკურიც, რომელიც სხვადასხვა თვალსაზრისის შეფასებისა და საკუთარი კონცეფციის დასაცავად გამოიყენება. მონოლოგის ამ თითოეულ ტიპს თავისი ქვეტიპებიც აქვს. მაგალითად, აღწერის ქვეტიპებია: ვისამე ან რისამე აღწერა, დახასიათება არსებითი ნიშნების ჩამოთვლით და

ა.შ. თხრობის ქვეტიპებია: კონკრეტული, განზოგადებული და ინფორმაციული. ასევე დიფერენცირებულია მსჯელობათა ტიპები. გადმოცემის საშუალებათა – აღწერა, თხრობა, მსჯელობა – გამოყენების ხვედრითი წილი იცვლება იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანი საბუთი იქმნება.

8. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის უპირატესია სახელების გამოყენება. ამას ზმნის დესემანტიზაციის პროცესიც უწყობს ხელს, თუმცა ნიშანდობლივია სპეციფიკური მაწარმოებლებით შექმნილი განზოგადებული შინაარსის მატარებელი სახელების – ზედსართავი სახელებისა და სახელზმნების – აქტიურობა. ოფიციალურ ტექსტებში განსაკუთრებით ხშირად დასტურდება პირის (ძირითადად მესამე) აგრეთვე ჩვენებითი და მიმართებითი ნაცვასახელები, მაგრამ, საქმიანი საბუთების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, აქაც ვხვდებით გარკვეულ თავისებურებებს, კერძოდ, საქმიან საბუთებთან შედარებით, სამართლებრივ აქტებში მეტად შეზღუდულია პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოყენება, ამგვარ დოკუმენტებში უფრო მეტად დასტურდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულობას უსვამს ხაზს. სამართლებრივი აქტებისათვის ასევე უცხოა თავაზიანობის გამომხატველი ფორმებისა და შესაბამისი ნაცვალსახელების გამოყენების საჭიროება.

ოფიციალურ-საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი განზოგადებულობა, სიზუსტე, ლაკონიურობა, ნეიტრალური პოზიციის გამომხატველი ძირითადი მორფოლოგიური საშუალებით – ზმნის ვნებითი გვარის ფორმით მიიღწევა. განზოგადებისა და აბსტრაქტიზების ფაქტორი იწვევს პასიური კონსტრუქციების მაღალ სიხშირეს, რაც ხორციელდება ნიშნიანი, უნიშნო, პერიფრასტული ვნებითისა და შედგენილი შემასმენლების ფორმათა გამოყენებით. ოფიციალურ-საქმიან საბუთებში ძირითადად დასტურდება ვნებითი გვარის აწმყო დროის ფორმები (აწმყოს მწკრივი) და მეორე სერიის II კავშირებითი, რომელიც შეუცვლელ ფორმად არის მიჩნეული სამართლებრივ აქტებში: დადგენილებებში, ბრძანებულებებში, განკარგულებებში, გადაწყვეტილებებში, ბრძანებებსა და სხვა მსგავს დოკუმენტებში, და რომელიც აღწერით ვნებითს აძლევს კატეგორიულობის, შესაძლებლობის, სასურველობის, აუცილებლობის მოდალურ სემანტიკას. აქვე დავსძენთ, რომ თუ სპეციალურ

ლიტერატურაში ორგანული ფორმების ნაცვლად აღწერითი ვნებითის ფორმათა დამკვიდრება ენის გამომსახველობითი უნარის შესუსტებად არის მიჩნეული, ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში ეს ფორმები სწორედაც რომ ზუსტი გამომსახველობითი უნარის მქონე ფორმებია.

სახელზმნას საქმიან საბუთებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სახელზმნის ორივე ფორმა – საწყისი და მიმღობა – აქტიურადაა ჩართული ოფიციალური ტექსტების სინტაქსურ კონსტრუქციებში და, შეიძლება ითქვას, მთავარი წარმმართველი ძალაცაა. საწყისის ისეთი სახის დოკუმენტებში, როგორცაა სამართლებრივი აქტები, ანგარიშები, ხაზგასმის, მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების აქცენტირების, შემაჯამებელი და ამასთან განმაზოგადებელი ფუნქციაც აკისრია, ამიტომ ეს ენობრივი კატეგორია აღნიშნული საქმიანი საბუთების მნიშვნელოვანი კომპონენტი და ხშირად ცალკეული თავების, ქვეთავებისა და პუნქტების მთავარი ლექსიკური შინაარსის მატარებელიცაა, რადგან, ერთი მხრივ, გამოხატავს აქტიურ მოქმედებას, მაგრამ ამასთან ზმნის არაუღლებადი ფორმაა და დგას განყენებულად, რაც მას განმაზოგადებელ თუ შემაჯამებელ ფუნქციას სძენს და ზუსტად მიესადაგება აღნიშნულ დანიშნულებას – ესაა ვერბალური სახელდება, ქმედების დასახელება. მიმღობა საქმიან საბუთებში მრავალგვარი ფორმით გვხვდება, ის ოფიციალურ ტექსტებში არის როგორც განსაზღვრება, ისე – შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი. საქმიანი საბუთებისათვის ნიშანდობლივია შერწყმული წინადადებები, რომლებშიც გარკვეული ემოციური დატვირთვა მოდის ერთგვარ წევრებზე, ენობრივი ერთეულებისა და წინადადებების გამეორებაზე. ერთგვარი წევრები ხშირად განსაზღვრებებია, რომლებიც სხვადასხვა ნიშნით ახასიათებს ამა თუ იმ ფაქტს, მოვლენას. ამდენად, მისი ხვედრითი წილი ოფიციალურ ტექსტებში მაღალია. ვნებითი გვარის მიმღობა აღწერილობითი ვნებითის აუცილებელი კომპონენტია, რომელიც მთლიანად მიესადაგება საქმიანი საბუთების სტილს, შინაარსს, გადმოცემის ფორმასა და ზოგადად ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითად მახასიათებლებს. ვნებითი გვარის მიმღობა ისეთი ნაზმნარი სახელია, რომელიც რაიმე მოქმედებას ჩადენილად, განცდილად წარმოგვიდგენს, ამიტომაც ოფიციალურ ტექსტებისათვის ნიშანდობლივი მისი გამოყენების მაღალი ხარისხი.

9. ოფიციალურ დოკუმენტებში რთული და მარტივი წინადადებების რაოდენობრივი შეფარდება რთულის სასარგებლოდ წყდება. შერწყმული წინადადებები ხშირად გამოიყენება, ნაკლებად – რთული თანწყობილი.

რთულ წინადადებებში ქვეწყობა თითქმის სამჯერ აღემატება თანწყობას, ხშირია ერთზე მეტდამოკიდებულებიანი სტრუქტურები, ჰიპოტაქსური სინტაქსური კონსტრუქციები. ამგვარ წინადადებებში ხშირად აზრობრივი ვითარების გარკვევა რთულია. ამგვარი წინადადების კონსტრუქციულ არასრულფასოვნებას, სიტყვათა განლაგებასთან ერთად, ქმნის ერთგვარ წევრთა სიჭარბეც.

საქმიანი დოკუმენტების სინტაქსი ხშირად იყენებს უკავშირო რთულ წინადადებებს, რაც ტექსტს უშუალობას, სიმსუბუქესა და მეტ თავისუფლებას სძენს. ოფიციალურ დოკუმენტებში მუდმივად გვხვდება ზოგიერთი ისეთი სინტაქსური ფიგურა, საქცევი, რომელიც სტილისტიკური ზეაწეულობითა და ექსპრესიულობით ხასიათდება, ეს ფიგურები ემყარება ერთგვაროვნებისა და გამეორების პრინციპს.

ოფიციალურ მეტყველებაში ინფორმაციის გადმოცემასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა განსჯასა და მტკიცებას, რასაც, თავის მხრივ, დასაბუთება ესაჭიროება. ამიტომ შესაძლებლობის, ვარაუდის, აუცილებლობის, პირობის, დაშვების, მიზნისა და სხვა მოდალობის განსხვავებულ ელფერთა გადმოსაცემად ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში მრავლად დასტურდება განკერძოებულ სიტყვათა და გამოთქმათა ჯგუფები. ყველაზე მეტად საქმიანი საბუთები იყენებს ჩართულსა და დანართს. განკერძოება საქმიან საბუთებში ეხება როგორც მთავარ, ასევე მეორეხარისხოვან წევრებსაც. ნიშანდობლივია ისეთი შემთხვევებიც, როცა დამაზუსტებელი წევრი უფრო ფართო ცნებას გამოხატავს, ვიდრე დასაზუსტებელი და ამასთან, დამაზუსტებელ წევრს შეიძლება ახლდეს თავისი დამაზუსტებელიც. განმმართველი სიტყვა ზოგჯერ ჩართულია წინადადებაში შენიშვნისა თუ ახსნა-განმარტების სახით და ფრჩხილებშია ჩასმული.

10. მიმართვა საქმიანი მიმოწერისათვის განკუთვნილი წერილების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და აუცილებელი კომპონენტია. ის ინფორმაცია, რომელიც წერილის პირველსავე სტროფშია ჩადებული, შესაბამისად განსაზღვრავს წერილის აგების პრინციპს, მის ლექსიკასა და ეტიკეტს. მიმართვა დაწერილობის

თავისებურებებით გამოირჩევა. ძველ საისტორიო ძეგლებში, კერძოდ, ქართულ სიგელ-გუჯრებსა და ბოძების წიგნებში უმაღლესი ხელისუფალისადმი მიმართვის ფორმაში მთელი მისი ძალაუფლება და ძლევამოსილება იყო წარმოდგენილი. მამისსახელობითი მიმართვის ფორმების გარდა დასტურდება დედის სახელის მოხსენიებაც. კომუნისტურ ეპოქაში მიმართვის ფორმად ერთმნიშვნელოვნად მიჩნეული იყო სიტყვა ამხანაგო.

თანამედროვე ქართული ენა სახელით მიმართვის ფორმას ანიჭებს უპირატესობას და საქმიან დოკუმენტებში მას ახლავს თავაზიანობის გამოხატველი სიტყვები ბატონო/ქალბატონო. ასეთი წერილების ე.წ. „ქუდში“, დანიშნულების შესაბამისად, მიმართვის ფორმის გამოყენება საჭირო არ არის. საერთაშორისო მიმოწერისათვის განკუთვნილ წერილებში მიმართვა საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებს ექვემდებარება და შესაბამისი წესით ფორმდება, კერძოდ: თქვენო აღმატებულება – Your Excellency, ასე მიმართავენ სახელმწიფოს მეთაურებსა და უმაღლესი დიპლომატიური რანგის მოხელეებსაც. ადრესატის ვინაობა კი წერილის ბოლოსაა მითითებული. ქართულ ტესტებში მიმართვის ფორმად მიჩნეულია: ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო მინისტრო და ა.შ. სრულიად განსხვავებულია მიმართვის ფორმა საეკლესიო მიმოწერის სფეროში. მიმართვის აღმატებული ფორმა: თქვენო უწმიდესობავ, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო მაღალღირსებავ, თქვენო ღირსებავ თავაზიანობასაც გამოხატავს და თანამდებობრივ სტატუსსაც. თუმცა მიმართვის ამგვარი ფორმები რთული კონსტრუქციისაა და ხელოვნურობის ელფერს დაიკრავს. შესაძლებელია, რომ ამის შედეგად, სასაუბრო მეტყველებაში სახელთან ერთად მიმართვის შედარებით მარტივი ფორმები – მეუფე, მამა – დამკვიდრდა. თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციის სასულიერო პირებისადმი მიმართვაც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973 – აბულაძე ც., „ორი ფირმანი ერასტი მდივანბეგს“, აღმოსავლური ფილოლოგია, თბილისი, 1973;
2. აბულაძე, 2011 – აბულაძე ც., კონსულტაცია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებთან დაკავშირებით, 2011;
3. აფხაზეთის მთავრობის დადგენილება № 37, 26.08.15. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება № 37, 26.08.15., „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №6 დადაგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
4. აფხაზეთის მთავრობის დადგენილება № 11, 11.03.15. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება № 11, 11.03.15., „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის რეორგანიზაციისა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ ჩამოყალიბების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne. gov.ge;
5. აფხაზეთის მთავრობის დადგენილება № 29, 25.09.15. – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება № 29, 25.09.15., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne. gov.ge;
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.09.1993;
7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 07.01.1997;
8. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.09.1993;
9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27.09.1995;
10. ივერია, 1877 – გაზეთი „ივერია“, № 7, 1877;
11. გიორგი ვოლსკის განცხადება, 27.08.15. – საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ვოლსკის, განცხადება, 27.08.15., საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;

12. დეკლარაცია „ ქალი – მშვიდობის დესპანი“ – საქართველოს რელიგიურ გაერთიანებათა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ერთობლივი დეკლარაცია“ ქალი – მშვიდობის დესპანი“, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ვებგვერდი, religion.geo.gov.ge;
13. დოლიძე, 1985 – დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბილისი, 1985;
14. თოფურია ვ., გიგინეიშვილი ივ. – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, 1998;
15. კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ – საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90052>;
16. კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ – საქართველოს კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270> ;
17. კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ – საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
18. კანცელარიის უფროსის ბრძანება №275, 14.06.13. – საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის ბრძანება №275, 14.06.13., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
19. კვლევის ცენტრის დებულება – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან არსებული კვლევის ცენტრის დებულება, სააგენტოს ვებგვერდი, religion.geo.gov.ge;
20. კომისიის დადგენილება № 46/2015, 21.09.15. – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 46/2015, 21.09.15., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
21. მთავრობის ანგარიში, 04.10.13. – სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში, „მლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, 04.10.13., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge);

22. მთავრობის ანგარიში, 12.09.14. – სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში, „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, 12.09.14., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი gov.ge;
23. მთავრობის ანგარიში 09.15. – სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში, „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, 09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
24. მთავრობის განკარგულება №2100, 28.12.12. – საქართველოს მთავრობის განკარგულება №2100, 28.12.12., „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის უძრავი ქონების გაცვლის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 მარტის № 725 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
25. მთავრობის განკარგულება №2043, 24.12.12. – საქართველოს მთავრობის განკარგულება №2043, 24.12.12., „ რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
26. მთავრობის განკარგულება №965, 16.07.10. – საქართველოს მთავრობის განკარგულება №965, „ სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში საქართველოს მთავრობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 16.07.10., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
27. მთავრობის განკარგულება № 1551, 03.12.10. – საქართველოს მთავრობის განკარგულება „კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, №1551, 03.12.10., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
28. მთავრობის განკარგულება № 2036, 23.09.15. – საქართველოს მთავრობის განკარგულება „სს საპარტნიორო ფონდის“ მიერ სესხის გაცემის შესახებ“, №2036, 23.09.15., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
29. მთავრობის დადგენილება № 219, 26.08.13. – საქართველოს მთავრობის დადგენილება №219, 26.08.13., „ბაკურიანში, დიდველის ტერიტორიის განაშენიანების

რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

30. მთავრობის დადგენილება № 496, 15.08.14. – საქართველოს მთავრობის დადგენილება №496, 15.08.14., „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიურად გამოქვეყნების შესახებ“, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

31. მთავრობის დადგენილება № 508, 24.09.15. – საქართველოს მთავრობის დადგენილება № 508, 24.09.15., „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;

32. მთავრობის კომენტარები, 05.15. – საქართველოს მთავრობის კომენტარები არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ანგარიშზე, 05.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

33. მთავრობის პროგრამა, 2014 – საქართველოს მთავრობის პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, 2014, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

34. მთავრობის სტრატეგიული გეგმა – საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ათპუნქტიანი გეგმა 2011-2015, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

35. მინისტრის ბრძანება № 27, 14.09.15., საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №27, 14.09.15., „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;

36. მინისტრის ბრძანება №29, 24.09.15. – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება №29, 24.09.15., „ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;

37. პარლამენტის დადგენილება 10.12.92. – საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 10.12.92., „გერმანე ფაცაციას საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორად არჩევის შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.12.1992;

38. პარლამენტის დადგენილება – საქართველოს პარლამენტის დადგენილება 10.12.92., „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის კომისიების კანონის შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 12.12.92.;

39. პარლამენტის დადგენილება, 03.14. – საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის 2014-2020 წლებისათვის დამტკიცების შესახებ“, 03.14., საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;

40. პარლამენტის დადგენილება №4285 –ის, 18.09.15. – საქართველოს პარლამენტის დადგენილება №4285 –ის, 18.09.15., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;

41. პარლამენტის დადგენილება ბიუჯეტის შესახებ – საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;

42. პარლამენტის სამოქმედო გეგმა – საქართველოს დია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 2015-2016, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;

43. პრეზიდენტის ბრძანებულება 09.12.96. – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „სინჯის აღმნიშვნელი სახელმწიფო დამღების შემოდების შესახებ“, 09.12.96., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 07.01.97.;

44. პრეზიდენტის ბრძანებულება – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ 1997-1998 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სათბობ-ენერგეტიკული სექტორის დარგების ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“, 10.06.97., გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ № 153, 04.07.97.;

45. პრეზიდენტის ბრძანება № 6, 24.07.15. – საქართველოს პრეზიდენტის-სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება № 6, 24.07.15., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

46. პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები – საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები პარლამენტის მიერ 2015 წლის 17 ივლისს მიღებულ საქართველოს ორგანულ კანონპროექტზე „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ და გამომდინარე

კანონპროექტებზე, 31.07.15., № 07-1/141, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge).

47. პრეზიდენტის განკარგულება № 01/07/01, 01.07.14. – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 01/07/01, 01.07.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

48. პრეზიდენტის განკარგულება 29/07/02, 29.07.15. – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №29/07/02, 29.07.15., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

49. პრეზიდენტის სიტყვა, 21.02.14. – საქართველოს პრეზიდენტის წლიური მოხსენება ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, 21.02.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

50. პრეზიდენტის სიტყვა, 17.03.14. – საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა ავღანეთში, ლეზერნიკის სამხედრო ბაზაზე, 17.03.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

51. პრეზიდენტის სიტყვა, 09.04.14. – საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა 9 აპრილის 25 წლისთავთან დაკავშირებით, 09.04.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

52. პრეზიდენტის სიტყვა, 04.08.14. – ყოველწლიურ ამბასადორიალზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა, 04.08.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge.);

53. პრეზიდენტის სიტყვა, 07.10.14. – საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ამერიკის სავაჭრო პალატის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, 07.10.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი president.gov.ge;

54. პრეზიდენტის სიტყვა, 11.12.14. – საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა უზენაეს სასამართლოში, 11.12.14., საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;

55. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 24.08.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა კონსტიტუციის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე

საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში, 24.08.15, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

56. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 02.09.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა ამბასადორიალზე, 02.09. 15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

57. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 11.09. 15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვა პეკინის საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის უნივერსიტეტში, 09.11.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

58. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 26.09.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა გაეროს სამიტზე, 26.09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

59. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 27.09.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა მსოფლიო ლიდერების შეხვედრაზე, 27.09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

60. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 28.09.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვა გაეროს მდგრადი განვითარების სამიტზე, 28.09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

61. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 01.10.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიაზე, 01.10.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

62. პრემიერ-მინისტრის სიტყვა, 10.12.09. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიტყვა საქართველოს-თურქეთის ბიზნეს-ფორუმზე, 10.12.09., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge).

63. პრემიერ-მინისტრის წერილი „China Daily“- ში, 10.09.15.– საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილი „China Daily“- ში, 10.09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;

64. პრემიერ-მინისტრის წერილი №63714, 11.09.15. – საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილი საქართველოს პარლამენტს, №63714, 11.09.15., საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;

65. პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, 2014 – მთავრობის პროგრამა „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, 18.11. 2008., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
66. ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, თბილისი, 2009;
67. რეფორმის სტრატეგია, 23.05.15. – პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია, 23.05.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
68. რუსთაველი, 2011 – რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 2011;
69. საერთაშორისო შეთანხმება, 2015 – შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, № 41/19, 23.04.15., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
70. საკრებულოს დადგენილება №122, 09.10.15. – რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №122, 09.10.15., „ რუსთავის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლოს მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
71. საკრებულოს გადაწყვეტილება №1-4, 28.01.13. – ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №1-4, 28.01.13., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
72. საკრებულოს გადაწყვეტილება №11-14, 05.06.14. – ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება №11-14, 05.06.14., საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
73. სამთავრობო გეგმა, 15.09.15., – ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში, 15.09.15., საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
74. სამდივნო წიგნები H 368, 797, 798, HD 4174, 10692, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი;
75. სამოქალაქო განათლება, ლექსიკონი-ცნობარი, I ნაწილი, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010;

76. სამოქალაქო განათლება, ლექსიკონი-ცნობარი, II ნაწილი, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2010;
77. საქართველოს კონსტიტუცია – საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
78. საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, gov.ge;
79. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი, parliament.ge;
80. საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი, president.gov.ge;
81. საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, matsne.gov.ge;
82. სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, 2014 – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
83. სურგულაძე, 2006 – სურგულაძე მ., ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს., თბილისი, 2006;
84. ტფილისის უწყებანი, 1828 – გაზეთი „ტფილისის უწყებანი“, №11, 1828;
85. ფუთურიძე, 1955 – ფუთურიძე ვ., ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბილისი, 1955;
86. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2011;
87. ჯავახიშვილი, 1996 – ჯავახიშვილი ივ., თხზულებები, ტ. IX, თბილისი, 1996;
88. ჯავახიშვილი გ.– ჯავახიშვილი გოჩა, საქართველოს საელჩო საფრანგეთში, დესპანი, კონსულტაცია ფრანგული ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების წესთან დაკავშირებით, 2012 ;
89. არაბული, 2004 – არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი, 2004;
90. აფრიდონიძე შ. – ჩვენი ენა ქართული, თბილისი, 2007;
91. ბენდიანაშვილი, დაუშვილი, 2008 – ბენდიანაშვილი ალ., დაუშვილი ალ., რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბილისი, 2008;

92. ბენდიანაშვილი, 1980 – ბენდიანაშვილი ალ., ეროვნული საკითხი საქართველოში 1800-1921 წლებში, თბილისი, 1980;
93. გვანცელაძე თ. – ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბილისი, 2006;
94. გვენცაძე ალ. – ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბილისი, 1971;
95. გოგოლაშვილი გ. – მეორე კავშირებითის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი თანამედროვე ქართულში, ქსკს, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984;
96. გოგოლაშვილი გ. – ახალი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იკე, XXXVI, თბილისი, 2008;
97. გოგოლაშვილი გ. – ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, იკე, XXXVII, თბილისი, 2009;
98. გოდერძიშვილი ქ. - ერთი ონომასტიკური ოდენობის მართლწერისათვის, ონომასტიკური კრებული, ახალციხე, 2014;
99. გუგუშვილი პ. – ქართული ჟურნალისტიკა, ტ .I, თბილისი, 1941;
100. დოლიკაშვილი, 2008 – დოლიკაშვილი ლ., დანელიშვილი ლ., ჯოლია გ., თორია მ., შტააძე ხ. – ეტიკეტი და კორესპონდენცია, თბილისი, 2008;
101. ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თსუ, გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტი, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2015;
102. სალიტერატურო ენის ნორმები, 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბილისი, 1986;
103. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №1, თბილისი, 1985;
104. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი № 2, თბილისი, 1985;
105. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №3 თბილისი, 1987
106. თოფურია ვ. – ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1988;

107. თოფურია ვ. – ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965;
108. თოფჩიშვილი რ. – ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბილისი, 2005;
109. კალაძე, 1984 – კალაძე ც., სახელ-მამისსახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში, ქსკს, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984;
110. კიკნაძე გრ. – თხზულებანი, III, 1999;
111. კვარაცხელია, 1981 – კვარაცხელია გ., ოფიციალურ-საქმიანი სტილის ზოგადი ნიშნები, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. VI, 1981 ;
112. კვარაცხელია, 1990 – კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბილისი, 1990;
113. კვაჭაძე ლ. – თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966;
114. კვესელავა ი. – საქართველოს ისტორიის ქრონიკები, I, თბილისი, 1983;
115. კობაიძე მ. – ვინაობისა და ენის დაგეგმვის პოლიტიკიდან საქართველოში, იკე, ტ. XXXVI, თბილისი, 2008;
116. მართლწერისა და სტილისტიკის საკითხები, თბილისი, 2010;
117. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული მიეზანი, XIV, თბილისი, 1987;
118. მელიქიშვილი დ. – ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, სალექციო კურსი, თსუ, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, 2014;
119. პაპიძე ა. – ზმნასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, წიგნი მესამე, თბილისი, 1980;
120. პაპიძე ა. – ახალი თაობის ენობრივი პოზიცია - სოციოკულტურულ ცვლილებათა საგანგაშო პროდუქტი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 11, 2005;
121. საბაშვილი ბ. – მრავლობითი რიცხვის -თ(ა) სუფიქსიანი ფორმების გამოყენების შესახებ ახალ ქართულ სალიტერატურო ქართულში, ქსკს, წიგნი პირველი, თბილისი, 1972;
122. საღინაძე რ. – ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995;
123. ტაბიძე მ., 2005 – ტაბიძე მ., ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, 2005;

124. ტაბიძე მ., 2005 – ტაბიძე მ., სამეტყველო ლოგიკის სოციალურ-კულტურული განპირობებულობის საკითხისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 11, 2005;
125. ტაბიძე მ. – ფარული და ღია ენობრივი დაგეგმვის თავისებურებანი მე-19 საუკუნის საქართველოში, სპეკალი №5, 2012;
126. ტაბიძე მ. – საქმის ქაღალდების ენობრივი თავისებურებანი ქართული ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 50-ე კონფერენცია, თბილისი, 1992;
127. ტაბიძე მ. – ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქციონირების საზღვრები და თავისებურებები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „ქართული ენის როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში“, თბილისი, 2011;
128. ტაბიძე მ. – სასამართლოს გადაწყვეტილებათა ენობრივი თავისებურებები, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, შრომები, ტომი I, თბილისი, 2015;
129. ტაბიძე მ. – ფუნქციური სტილები – საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის შედეგი თუ მიზეზი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის სამეცნიერო შრომათა კრებული, IV, თბილისი, 2015;
130. ტაბიძე მ. – ენობრივ საკითხებზე გამართულ პოლემიკათა სოციოლინგვისტური ასპექტები (ქართულ სინამდვილეში), ქუთაისური საუბრები, საერთაშორისო სიმპოზიუმი, VI, ქუთაისი, 1999;
131. ტაბიძე ნ., 1969 – ტაბიძე ნ., პირველი ქართული გაზეთი, თბილისი, 1969;
132. უთურგაიძე თ. – გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002;
133. ფეიქრიშვილი ჟ. – ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი, 1992;
134. ფოჩხუა ბ. – ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1974 წ.
135. ფუტყარაძე, 2006 – ფუტყარაძე ტ., ქართული ენის ისტორია, ქუთაისი, 2006;

136. ფუტკარაძე ტ., დადიანი ე., შეროზია რ. – „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ და საქართველო, ქუთაისი, 2010;
137. ქავთარაძე ივ. – დეფექტური ზმნები ძველ ქართულში, მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1945;
138. ქართული ენა, 2009 – ქართული ენა და ლიტერატურა, I, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2009;
139. ღამბაშიძე რ. – პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ზოგი საკითხი, ქსკს, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984;
140. ღვინაძე, 1989 – ღვინაძე თ., ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბილისი, 1989;
141. ღლონტი ალ. – ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 1971;
142. ღლონტი ალ. – ქართული წინადადება, თბილისი, 1996;
143. შანიძე, 1973 – შანიძე ა. - ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია, თბილისი, 1973;
144. შალამბერიძე გ. – ქართული მართლწერა, თბილისი, 1958;
145. ჩიქობავა არნ. – ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952 ;
146. ჩიქობავა არნ.– ზოგადი ენათმეცნიერება, II, თბილისი, 1983 ;
147. ჩიქობავა არნ. – სალიტერატურო ენა და ნორმა, ქსკს II, თბილისი, 1979 ;
148. ცქიტიშვილი ნ. – უზუსტობანი წინადადებათა აგების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პრესის ენაში, ქსკს, თბილისი, 1980;
149. ჭიპაშვილი ჰ. – ჭიპაშვილი ჰ., დიპლომატია, თბილისი, 2005;
150. ჭუმბურიძე ზ. – ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბილისი, 1956;
151. ჯაფარიძე თ. – სოციოლინგვისტიკის შესავალი, თბილისი, 2005;
152. ჯორბენაძე ბ. – ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბილისი, 1980;
153. Аверинцев С. – Проблема индивидуального стиля в античной и византийской риторической теорий, литература и искусство в системе культуры, 1988;

154. Архив канцелярии Главнокомандующего гражданской части на Кавказе, связь 7123 весьма секретное дело № 2, 93, 1864;
155. Бразоль Б. – Царствование Николая II (1894-1917) в цифрах и фактах, Минск, 1991;
156. Габуниа Т – Лингвистическая природа текстов деловой коммуникации, Тбилиси, 2005;
157. Каппелер А. – Россия – многонациональная империя, Традиция.Прогресс. Традиция., Москва, 2000;
158. Национальные окраины Росийской империи, Стоновление и развитии системы управления, Москва, 1998;
159. Национальная политика в императорской Росии сб. документов, Москва, 1997;
160. Рагимова П. – Национальная политика Российского Правителсьтво в конце XIX - начале XX Века, Вестник, № 5, 2010.
161. Табидзе М. – Изменения в речевом этикете на фоне социо-политических перемен в Грузии XIX-XX веков. СИНЕРГЕТИЧЕСКАЯ ЛИНГВИСТИКА VS. ЛИНГВИСТИЧЕСКАЯ СИНЕРГЕТИКА, ПЕРМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕСРТИТЕТ, ПРОГРАММА, I МЕЖДУНАРОДНОЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКОЙ КОНФЕРЕНЦИИ, Пермь , 2010;
162. Табидзе М. – О некоторых аспектах языкового законодательства в Грузии в XIX-XX веках, XI коллоквиум Европейского общества Кавказоведов. 20-22 июня 2002 . МГУ им. М.В.Ломоносова, Филологический факультет; Институт языкознания Российской Академии наук, М., 2002,
163. Теплоухова М. – Этно-национальная политика в Российской империи XIX - начала XX вв., Ойкумена, 2011, №2.
164. Тифлисский Вьстникъ, 1874 – Г азета „Тифлисский Вьстникъ“, № 52, 16.05.1874;